

2014 წელი №1

აღვრეკატი

საქართველოს აღვრეკატთა ასოციაციის ჟურნალი



ჟურნალის მომზადება და გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.



ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ უზრუნველყოფს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადამწყვეტილებების მომზადებას.



სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე: როინ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:

ზაზა ხატიაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი, ზურაბ ძლიერიშვილი, ინგა თოდრია, ნინო გვენეტაძე, პაატა ტურავა, მარიკა ცისკაძე, თედო ნინიძე, ოთარ გამყრელიძე, ინიგო ნაგორე, ჯეიმს მოლიტერნო.

რედაქტორი და პროექტის კოორდინატორი: ეკა ხიმშიაშვილი

კორექტორი: ირმა მაისურაძე

დიზაინი: ბადრი მელაძე

დაკაბადონება: დავით ხოსიაური

ბეჭვდა: შპს გამომცემლობა „მინიატურა“

ISSN - 1987-5 474



ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება კომერციული მიზნით, ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ნებართვის გარეშე, აკრძალულია.“

სარჩევი

ჟურნალის საკრედიტო კოლეგიის თავმჯდომარის მიმართვა	5
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიავილის მიმართვა	6
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს განცხადება	9
CCBE-ს პრეზიდენტის ალდო ბალგარელის წერილი საქართველოს ხელისუფლებას	11
ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობა: პრიორიტეტები და მიმართულებები	
- სისხლის სამართლის კომიტეტის დებულება	14
- სამოქალაქო სამართლის კომიტეტის დებულება	16
- ეთიკის კომისიის გადანყვევტილება	19
- ეთიკის კომისიის რეკომენდაცია	22
ადვოკატი და განათლება	
- აკრედიტებული ტრენინგების ჩამონათვალი (2014 წელი, აპრილი)	25
- ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამა (2014 ზაფხულის გამოცდა)	25
რეგულაციები	
- განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემის წესები	26
- ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ელექტრონული ფორმით ჩატარების წესები	29
- ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსების დებულება	33
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს დებულება	34
აქტუალური ინტერვიუ	
- ინტერვიუ უფასო იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე ელზა ლემკაშელთან	36
- ინტერვიუ ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრ ადვოკატ ირაკლი ყანდაშილთან (ადვოკატთა სასწავლო პროგრამებისა და განგრძობადი იურიდიული განათლების ხელმძღვანელი)	39

- ინტერვიუ ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრ ადვოკატ დავით ასათიანთან (ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი)	42
--	----

სასამართლო პრაქტიკა

- ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, მოკლე მიმოხილვა	45
- ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო საქმე: რეზნიკი რუსეთის წინააღმდეგ.....	46
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N-3/1/531.....	55
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საექსპერტო შეფასება	73

ქართული სამართლის ძეგლები

მეფე გიორგი VIII-ს სასისხლო სიგელი მღვდელ გიორგი ჟურულის შვილისადმი, 1460 წ. ეტრატი.....	75
--	----

ადვოკატი და მეცნიერება

პავლე ბერია - „კანონიერების პრინციპის დაცვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ“	77
--	----

ღვანულმოსილი ადვოკატები

გურამ უგრეხელიძე.....	92
-----------------------	----



ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის მიმართვა

პატივცემულო,
კოლეგებო!

წარმოგიდგინებ
ჟურნალ „ადვო-
კატის“ 2014 წლის
პირველ ნომერს,
რომელიც მომზადდა
ასოციაციის ახლად
არჩეული მმართვე-

ლობის აქტიური ჩართულობითა და
ახალი სარედაქციო კოლეგიის მიერ.

ჟურნალი აგრძელებს იმ ტრადიციებს,
რომლებიც დაინერგა და წარმატებით
განხორციელდა ასოციაციის წინა
აღმასრულებელი საბჭოს მიერ და
რომელშიც დიდი წვლილი ბატონმა
ზაზა ხატიაშვილმა და წინა სარედაქციო
კოლეგიამ, განსაკუთრებით მისმა
რედაქტორმა ზვიად კორძაძემ შეიტანეს.

ჟურნალი „ადვოკატი“, როგორც
ადვოკატთა ასოციაციის ბეჭდვითი
ორგანო, გააგრძელებს ტრადიციულად
ასოციაციაში მიმდინარე მოვლენების
შესახებ ინფორმაციების მოწოდებას.
განსაკუთრებით იმ სიახლეების
შესახებ, რომლებსაც ადგილი
ექნება აღმასრულებელ საბჭოში,
ეთიკის კომისიაში და მუდმივმოქმედ
კომიტეტებში. პირველსავე ნომერში
თქვენ გაცნობით ეთიკის კომისიის
რეკომენდაციასა და ეთიკის კომისიის
რიგით გადაწყვეტილებას. აქვე იხილავთ
სამოქალაქო და სისხლის სამართლის
კომიტეტების ახალ დებულებებს.

ჟურნალ „ადვოკატის“ ახალი
ნომერი ბევრ სიახლესაც გთავაზობთ.
სტრუქტურულად ჟურნალი დაიყოფა
რუბრიკებად, სადაც ცალ-ცალკე
ადგილი დაეთმობა ადვოკატებისათვის
საინტერესო თემებს. მაგალითად,
ცალკე რუბრიკებად გამოიყოფა ისეთი
საკითხები როგორიცაა: ადვოკატი და
განათლება, ადვოკატი და მეცნიერება,
სასამართლო პრაქტიკა და სხვ.
რუბრიკაში „ადვოკატი და განათლება“
ადვოკატებს მიეწოდებათ სრული
ინფორმაცია სასწავლო ცენტრის მიერ

ჩატარებული ღონისძიებების შესახებ,
აგრეთვე ტრენინგების გრაფიკი.
ხოლო რუბრიკაში „სასამართლო
პრაქტიკა“ წარმოდგენილი იქნება
არა მხოლოდ სტრასბურგის
ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოს გადაწყვეტილებები,
არამედ საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოსა და საქართველო
სასამართლოების მნიშვნელოვანი
გადაწყვეტილებები.

ჟურნალი გააგრძელებს ადვოკატ-
მეცნიერთა ნახალისებას და პირველ
რიგში დაბეჭდავს სარედაქციო კოლეგიის
მიერ შერჩეულ მათ სამეცნიერო
სტატიებს. სწორედ ამიტომ არის ცალკე
რუბრიკად გამოყოფილი „ადვოკატი და
მეცნიერება“.

ჟურნალი ასევე აგრძელებს
სამართლის ძველი ძეგლების
გამოქვეყნებას, და, რაც მთავარია,
– ასოციაციის წევრებისათვის
ღვანულმოსილი ადვოკატების
ცხოვრებისა და საქმიანობის გაცნობას.
წინამდებარე ნომერში შემოგთავაზებთ
ბატონი გურამ უგრეხელიძის,
პროფესიონალი ადვოკატისა და
უბადლო მჭევრმეტყველის, ცხოვრებისა
და საქმიანობის შესახებ ამონარიდს
პროფ. ოთარ გამყრელიძის 1980 წელს
გამოქვეყნებული სტატიიდან.

ჟურნალი „ადვოკატი“ ოდნავ
სახეცვლილი ფორმატით იბეჭდება და
ვიმედოვნებთ, რომ მას ასეთად მიიღებს
მისი მკითხველი. ადვოკატთა ასოციაციის
ახლად არჩეული აღმასრულებელი
საბჭო იზრუნებს იმისათვის, რომ
ჟურნალმა „ადვოკატმა“ ნორმატიულ
აქტებთან ერთად თვალსაჩინო ადგილი
დაიკავოს ადვოკატის სამუშაო მაგიდაზე.

**პატივისცემით,
რონ მიგრიაული
ჟურნალის სარედაქციო
კოლეგიის თავმჯდომარე,
ადვოკატი, ასოცირებული
პროფესორი**



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილის მიმართვა

ჩემო მეგობრებო და კოლეგებო, მე მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმ დიდი მხარდაჭე-

რისათვის, რაც თქვენ ჩემთნ მიმართებაში დააფიქსირეთ. ევროპის არცერთ ქვეყანაში ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს არ მიუღია ამხელა მხარდაჭერა არჩევნებზე, რაც ჩემთვის სტიმულია, რათა უკეთ დავიცვა თქვენი უფლებები.

ჩემი არჩევიდან ორ თვეში შევძელი და უფასო იურიდიული დახმარების სამსახური გამოვვლიჯეთ სასჯელალსრულებისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს. დღეს, ეს სამსახური არის დამოუკიდებელი და ჩვენი კოლეგები, რომლებიც ზენოლის ქვეშ იმყოფებოდნენ და უხდებოდათ ერთდროულად ათეულობით საქმეზე გამოსვლა, დარწმუნებული ვარ უკეთ მოემსახურებიან სოციალურად დაუცველ ფენას და აღარ გამოვლენ იმ საქმეებზე, რომელსაც პროკურატურა დაავალებთ.

ადვოკატთა ასოციაციამ ბათუმში ადვოკატის სახლი შეიძინა, სადაც ასევე განთავსდება სასწავლო ცენტრი და ადვოკატებს განათლების მისაღებად აღარ მოუწევთ ქუთაისში წასვლა.

ჩვენს მთავარ პრობლემად რჩება საპროცესო უფლებების არქონა. 2012 წლის 29 მაისს ქუთაისელ ადვოკატებთნ ერთად პარლამენტის წინ მოვანწყვეთ საპროტესტო აქცია. აქციაზე მოვიდა ქუთაისში მოღვაწე ადვოკატების თითქმის 100%. ჩვენ გვეცვა მაისურები, რომლებსაც ეწერა 111-ე მუხლი. სწორედ ამ აქციის დამსახურებაა, რომ 2014 წლის სექტემბრიდან ძალაში შევა სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის ახალი რედაქცია, რომელიც ადვოკატებს უფლებას აძლევს, მიმართონ

სასამართლოს ამოღებისა და ჩხრევის თაობაზე. ჩემი ინიციატივით მუშაობენ სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებებზე, რომლის თანახმადაც, ადვოკატისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედება გახდება.

მაგრამ მთავარ პრობლემად, ჩემო მეგობრებო, რჩება ადვოკატის როგორც ინსტიტუტის დევნა ხელისუფლების მხრიდან, რაც ჩემს შემფოთებას იწვევს.

მე, ზაზა ხატიაშვილი, როგორც იცით, არ ვგეუები და ვერც შევგეუები ადვოკატის უკანონოდ დაკავების არც ერთ ფაქტს. მრავალი ჩასაფრებული ადამიანი დამიპირისპირდა, როდესაც დავიცავი გიორგი ონიანის, როგორც ადვოკატის უფლებები. მე ბრალს მდებენ ნაციონალურ მოძრაობასთან გარიგებაში, მიყენებენ ბინძურ ბრალდებებს. დღეს, ჩემს წინააღმდეგ მომართულია სახელმწიფო მანქანა, რომელიც სხვადასხვა თანამოაზრე ადვოკატის სახელით ჩემს პროფესიულ განადგურებას, ჩემს პროვოცირებას ცდილობს. მე არ ვიცი, რა მელიოდება ხვალ. დღეს, მე სტიმულს მაძლევს ის მხარდაჭერა და მანდატი, რაც ადვოკატთა კორპუსმა 2013 წლის 08 დეკემბერს საერთო კრებაზე 80%-იანი მხარდაჭერით გამომიცხადა.

საქართველოს ახალმა პარლამენტმა შეკრებიდან 2 თვეში პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა 200-ზე მეტ პატიმარს და გაათავისუფლა ისინი, რაშიც მეც მივიღე მონაწილეობა. აღნიშნული უნდა გამხდარიყო ჭკუის სასწავლებელი ყველა ხელისუფლებისთვის, მაგრამ მოხდა პირიქით. კანონმდებლობაში შევიდა ისეთი ცვლილებები, რომლებმაც საქართველო დააბრუნა ბოლშევიზმის

ერაში. განსაკუთრებით, აღსანიშნავია მოწმის პირდაპირ სასამართლოში დაკითხვის წესის 2 წლით გადავადება, რამაც საქართველოს სამართლიან გარემოში ცხოვრების პერსპექტივა მოუსპო. ტელევიზორის საშუალებით კვირაში რამოდენიმეჯერ ხორციელდება მოწმედ დაბარებულ მოქალაქეებზე ზემოქმედება, დევნა, რაც ჩემს შემფოთებას იწვევს.

ჩემო მეგობრებო და კოლეგებო, პროკურატურამ ადვოკატ გოგა ონიანს ბრალი წაუყენა უკანონო დაკავების ორგანიზებისთვის, მაშინ როდესაც პირები, ვინც ე.წ. დაზარალებული შათირიშვილი დააკავა, საქმეში მოწმეებად გვევლინებიან, ხოლო პროკურატურა თვლის, რომ მათ დანაშაული არ ჩაუდენიათ. თუ არ მოხდა დანაშაული, მაშინ როგორ არის გოგა ონიანი არარსებული და არჩადენილი დანაშაულის ორგანიზატორი? მე, 14 წელი ვიყავი ადვოკატი, მეხუთე წელია ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ვარ. ჩემს პრაქტიკაში არ ყოფილა, პროკურატურას ადამიანი დაეკავებინოს არაღიარებული, არარსებული დანაშაულის ორგანიზების გამო. ჩემო მეგობრებო, თუ მე, ზაზა ხატიაშვილი, დავუშვებდი ადვოკატ გოგა ონიანის ასეთ უკანონო დაკავებას, მაშინ ვიქნებოდი თუ არა უწესო ადამიანი? მე, ზაზა ხატიაშვილი, ვარ ყველა ადვოკატის თავმჯდომარე, მათიც, ვისაც ვუყვარვარ, და მათიც, ვისაც ვძულვარ, ასევე იმ ათეულობით ადვოკატისა, ვინც ჩემი დახმარებით დატოვა საპატიმრო დაწესებულება ან გადაურჩა დაჭერას. მე, ზაზა ხატიაშვილი, თუ დავუშვებდი გოგა ონიანის დაკავებას არარსებული ბრალით, ეს შექმნიდა პრეცედენტს სხვა ადვოკატებთან მიმართებაში და ხელისუფლება ისევ აავსებდა ციხეებს ადვოკატებით.

პატივცემული ადვოკატებო, როდესაც საქართველოს პარლამენტმა პოლიტიკატორის სტატუსით გაათავისუფლა დაკავებულები და იხელმძღვანელა ევროსაბჭოს ასამბლეის

2012 წლის 3 ოქტომბრის დადგენილებით პოლიტიკატორის სტატუსის თაობაზე (რომელიც, ეტყობა, ზოგ-ზოგიერთებს არც წაუკითხავთ), იგივე დადგენილებით ვიხელმძღვანელებ მე, როდესაც გოგა ონიანის დაკავებას პოლიტიკური საფუძველი მივანიჭე. აღნიშნულს არაპირდაპირ დაეთანხმნენ ფილიპ დიმიტროვი, ევროკავშირის ელჩი, საია, საერთაშორისო გამჭვირვალობა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები.

ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტმა ალდო ბალგარელმა საქართველოს ხელისუფლებას გამოუგზავნა წერილი ქართველ ადვოკატთა კორპუსის დევნასთან დაკავშირებით (იხილეთ გვ. 11). სწორედ ამ წერილს მოჰყვა ევროკავშირის ელჩის ფილიპ დიმიტროვის განცხადებაც. ხელისუფლებამ არ იცის, რა მოიმოქმედოს. მათ იციან, რომ მე არ გავჩერდები, ვიდრე ადვოკატის შეურაცხყოფლები არ დატყდებიან საბრალდებო სკამზე. პროკურატურა იმდენად გათავხედდა, ადვოკატებს იბარებენ პროკურატურაში და აყენებენ ფიზიკურ შეურაცხყოფას, მაგრამ რადგან რომელი საჯარო ბაზო ახალაიას ადვოკატია, შეურაცხყოფა უნდა მიაყენონ? ხოლო მე უნდა გავჩუმდე? ადვოკატ ნონა კირთაძეს გორის რაიონის სასამართლოში შეურაცხყოფას აყენებს ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი გოგა ბერძენიშვილი. ადვოკატმა მოიპოვა ინციდენტის ვიდეო-მტკიცებულებები, მაგრამ პროკურატურა შეუვალია. და ბოლოს, ყველაზე დიდი საშინელება, რაც აქამდე არც ერთი ხელისუფლების დროს არ მომხდარა - ყოფილი პრემიერ-მინისტრის ეკონომიკურმა მრჩეველმა გია ხუხაშვილმა დაიბარა ადვოკატები ორ ფინანსურ სუბიექტს შორის გამართული საქმის გარჩევის დროს და უკანონოდ ჩაწერა ადვოკატ დიმიტრი გაბუნიას საუბარი, რომელიც შემდეგ ადვოკატის საწინააღმდეგოდ გამოიყენა და მესამე მხარეს გადასცა. აღნიშნულ საქმეებზე აპელირებს ევროპის

ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი ალლო ბალგარელიც, მაგრამ ზოგიერთი ადვოკატი ამტკიცებს, რომ ხელისუფლება არ დევნის ადვოკატებს და ამას ზაზა ხატიაშვილი იგონებს. საბედნიეროდ, ასეთი ადვოკატები ძალიან ცოტანი არიან.

მას შემდეგ, რაც მე გავხდი ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ციხეში 111 ადვოკატი დამხვდა. პირველი, რაც გავაკეთე, შევქმენი ადვოკატის უფლებათა დაცვის კომისია და დავიწყე უკანონოდ დაკავებული ადვოკატების საქმეების მოძიება და შესწავლა. ერთ-ერთი იყო მარიანა იველაშვილის საქმე, რომელიც ჩემი დიდი წვალეების შედეგად გათავისუფლდა საპატიმრო დანესებულებიდან. თქვენ ყველას გახსოვთ, როგორ მებრძოდა ყოფილი ხელისუფლება, როდესაც მე აქციებს ვმართავდი ადვოკატების უფლებების დაცვის გამო.

მინდა იცოდეთ, რომ რაც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ვარ, 300-მდე ადვოკატს დავვხმარე. ათეულობით ადვოკატი გადავარჩინე დაპატიმრებას, არც ერთი ადვოკატი, ვისაც უკანონოდ დევნიდნენ, არ დამიტოვებია ყურადღების გარეშე. გპირდებით, გავაგრძელებ თქვენს დაცვას და არც ერთ ხელისუფლებას არ მივცემ იმის უფლებას, რომ ადვოკატის ინსტიტუტი გაანადგუროს. რამოდენიმე დღის წინ ტელევიზიით გამოვიდა მარიანა იველაშვილი, რომელმაც განაცხადა, თითქოს ზაზა ხატიაშვილმა კი არა, პრეზიდენტმა და ამიტომ გამათავისუფლესო, ევროპელი ადვოკატები დამეხმარნენო. ყველასთვის ცნობილია, რომ მარიანა იველაშვილის გასათავისუფლებლად ჩემი პირადი ხარჯებით ორჯერ ვიყავი პარიზში. ისიც ცნობილია, რომ ვიდრე მე გავხდებოდი ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, მარიანა იველაშვილი წელიწადზე მეტი იჯდა ციხეში და არავინ არაფერი იცოდა მის შესახებ, მისი საქმე ხომ მე გავსაჯაროვე.

პატივცემულო კოლეგებო,

დღეს მე, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს, მიპირისპირდებიან მხოლოდ ერთი მიზეზით: მე, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, არ უნდა დავიცვა თქვენი უფლებები. მათ სურთ დაცვის ინსტიტუტის მოსპობა. თქვენ ხედავთ, თუ როგორ მივდივართ წინ. ამიტომ უნდა დავდგეთ ერთად და არ შევუშინდეთ სიძნელეებს. ადვოკატთა კორპუსი არ ყოფილა ასეთი ერთსულოვანი და ერთ მუშტად შეკრული, როგორც ახლაა. მისი მიზანია ადვოკატის პროფესიის დაცვა. ჩვენ ვერავინ ვერასოდეს ვერ გვათქმევინებს უარს ჩვენი პროფესიული ღირსების დაცვაზე.

პატივცემულო კოლეგებო, როგორც იცით, ჩემი ინიციატივით ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში შევიდა ცვლილება და საწევრო შენატანიდან 5%—ის გადარიცხვა ხდება ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდში. ადვოკატთა ასოციაცია აღნიშნული ფონდიდან ეხმარება გაჭირვებულ ადვოკატებს, როდესაც მათ სჭირდებათ სამედიცინო დახმარება. სამწუხაროდ, მათი რიცხვი ძალიან დიდია და მხოლოდ ადვოკატთა ასოციაციას გაუჭირდება ჩვენი კოლეგების დახმარება. გთხოვთ, გულთან მიიტანოთ ჩვენი კოლეგების მდგომარეობა და წელიწადში მინიმუმ 10 ლარი გადარიცხოთ ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდში (ანგარიში იხ. ქვემოთ). მართალია, ადვოკატთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის არ არის ძნელი 10 ლარის გადახდა, მაგრამ ეს დიდი შეღავათი იქნებოდა ჩვენი გაჭირვებული კოლეგებისთვის.

**„ადვოკატთა სოციალური
დახმარების“ ფონდი
VTB Bank Georgia
ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგარიშის ნომერი
GE77VT6600005005003608**

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს განცხადება

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭო ბოლო დროის განმავლობაში კონკრეტული ადვოკატების მიმართ განხორციელებული ზენოლის, დაკავებისა და ამ საკითხებზე ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის განცხადების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება და დაუშვებლად მიიჩნევს ნებისმიერ ქმედებას, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობასა და ადვოკატთა ერთიანი ასოციაციის მიმართ ნდობას.

უპირველესად, აღვნიშნავთ, რომ ადვოკატი, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი, მოქმედებს მისი კლიენტის, დაცვის ქვეშ მყოფი პირის კანონიერი ინტერესების, არსებული კანონმდებლობის მოთხოვნებისა და ადვოკატთა პროფესიული ქცევის წესების შესაბამისად. ამასთან, ადვოკატს, როგორც სამართალწარმოების თანასწორ სუბიექტს, თავისი კლიენტის ინტერესების დაცვასთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი გააჩნია ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელებისა და სამართლის უზენაესობის დამკვიდრების პროცესში.

ზემოაღნიშნული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, ადვოკატი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და მასზე რაიმე სახის ზენოლა თუ საქმიანობისათვის ხელშეშლა დაუშვებელია. საადვოკატო საქმიანობის დამოუკიდებლობისა და ჩაურევლობის სტანდარტები აღიარებულია როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ისე ევროკავშირისა და ევროსაბჭოს სხვადასხვა საერთაშორისო

დოკუმენტებში. საადვოკატო საქმიანობის განხორციელების გარკვეული გარანტიები აგრეთვე, განმტკიცებულია საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით.

აღვნიშნავთ, რომ ადვოკატთა საქმიანობის განხორციელებისას არსებული გარანტიები არათავისუფლებს ადვოკატს პასუხისმგებლობისაგან, როცა საქმე კანონდარღვევას ან დანაშაულს ეხება. შესაბამისად, ადვოკატის სტატუსი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმუნიტეტად პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად. თუმცა, საგამოძიებო და მართლმსაჯულების ორგანოები განსაკუთრებული სიფრთხილით და დასაბუთებულობის ყველაზე მაღალი სტანდარტით უნდა მოქმედებდნენ, როცა საქმე ადვოკატის ბრალდებას ეხება, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ადვოკატის ქმედება საადვოკატო უფლებამოსილების განხორციელებას არ უკავშირდება.

საგამოძიებო ორგანოები და სასამართლო ადვოკატის დაკავების, მისი პირადი, საცხოვრებელი სახლის, სამუშაო ადგილისა თუ კომპიუტერის ჩხრეკისა და აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა დარწმუნდნენ, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები და საპროცესო ზომები წარმოადგენს გამოძიების ინტერესებისათვის უკიდურესად აუცილებელ და გარდაუვალ ღონისძიებებს, რომელთა გამოყენების გარეშე რეალური საფრთხე ექმნება მართლმსაჯულების აღსრულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვოკატის მიმართ ასეთი ღონისძიებების გამოყენება არ შეესაბამება ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობის

გარანტიებს და საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს არა მარტო ადვოკატს, არამედ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირების, კლიენტებისა და, ზოგადად, მართლმსაჯულების ინტერესებს.

ბოლო პერიოდში ადგილი ჰქონდა ადვოკატის წარმოებაში არსებულ საქმეზე მისი მოწმედ დაბარების, ადვოკატზე ფიზიკური ზეწოლისა და ადვოკატის საქმიანობაში ჩარევის ფაქტებს, რომლებიც დეტალურადაა აღწერილი ევრობის ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საზოგადოებების საბჭოს (CCBE) პრეზიდენტის წერილში საქართველოს ხელისუფლების მიმართ, თუმცა, სამწუხაროდ, დღემდე არ ხდება აღნიშნული ფაქტების ეფექტიანი გამოძიება.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა ადვოკატი კანონის წინაშე თანასწორია. ადვოკატთა ასოციაციის წესდებით, ადვოკატის უფლებებისა და პროფესიული თავისუფლებების დაცვა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პირდაპირი მოვალეობაა, მიუხედავად იმისა, თუ რა საქმიანობით იყო დაკავებული ესა თუ ის პირი ადვოკატის სტატუსის მიღებამდე.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს მიაჩნია, რომ კონკრეტული საქმეების პოლიტიკურ კონტექსტში განხილვა არ შეესაბამება მართლმსაჯულების

ინტერესებს და მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ პირს და, უპირველეს ყოვლისა, ადვოკატთა ასოციაციის წევრებს, თავი შეიკავონ დაუსაბუთებელი, შეურაცხმყოფელი, არაკოლეგიალური და პოლიტიკური ხასიათის განცხადებებისაგან, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადვოკატის დამოუკიდებლობას, ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოების ნდობას და არღვევს კონკრეტული პირების უდანაშაულობის პრეზუმფციას.

მიგვაჩნია, რომ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მხრიდან კონკრეტული ადვოკატის მხარდამჭერი პოზიციის დაფიქსირება შეესაბამება ადვოკატის უფლებების დაცვის მიზნით ასოციაციის თავმჯდომარის უფლებამოსილებას, რაც გათვალისწინებულია ადვოკატთა ასოციაციის წესდებით. ამასთან, ნებისმიერი სხვა პირის, მით უფრო, ადვოკატის მხრიდან ასოციაციის თავმჯდომარის მისამართით დაუსაბუთებელი და შეურაცხმყოფელი ფაქტების გავრცელება შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც ადვოკატთა დამოუკიდებელი და ერთიანი პროფესიული გაერთიანების წინააღმდეგ მიმართული ქმედება.

2014 წლის 27 თებერვალი

**საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს,
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია
საქართველო, თბილისი 0103, მ. აბდუშელიშვილის ქ. 1**

**საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს
საქართველოს მთავრობა
საქართველო, თბილისი 0114. ინგოროყვას ქ. 7**

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
დავით უსუფაშვილს
საქართველოს პარლამენტი,
საქართველო, ქუთაისი 4600 აბაშიძის ქ.26.**

ბრიუსელი, 2014 წლის 18 თებერვალი

თქვენო აღმატებულებავ,

ბ-ნო თავმჯდომარე,

გწერთ ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭოს სახელით, რომელიც წარმოადგენს 32 წევრი სახელმწიფოს ადვოკატთა გაერთიანებებსა და იურიდიულ საზოგადოებებს და 12 მომავალ ასოცირებულ და დამკვირვებელ ქვეყანას, ხოლო მათი საშუალებით - 1 მილიონზე მეტ ევროპელ ადვოკატს.

1960 წელს თავისი დაფუძნებიდან, CCBE ცდილობს წარმოაჩინოს ევროპელი ადვოკატების მოწინავე მოსაზრებები, დაიცვას მოქალაქეთა უფლებები და ის სამართლებრივი პრინციპები, რომელსაც ემყარება დემოკრატია და კანონის უზენაესობა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, რომელიც არის CCBE-ს დამკვირვებელი წევრი, ჩვენი ყურადღება გაამახვილა საქართველოში ადვოკატთა დაშინების ბოლოდროინდელ შემთხვევებზე.

კერძოდ, CCBE-ს ეცნობა, რომ ადვოკატ რომელ საჯაიას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა

პროკურორმა, როდესაც ადვოკატი მივიდა პროკურატურაში საპროცესო მოქმედების განსახორციელებლად.

ადვოკატ ნონა კირთაძეს, რომელიც მივიდა გორის რაიონულ სასამართლოში თავისი კლიენტის ინტერესების დასაცავად, შემოსავლების სამსახურის მოხელემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა სასამართლოს შენობაში. მან ასევე სცადა მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაც, მაგრამ ის შეაჩერეს იქ მყოფებმა და სასამართლოს დაცვამ.

კიდევ ერთი შემთხვევა, რომელმაც მიიპყრო CCBE-ს ყურადღება, არის ადვოკატ გოგა ონიანის საქმე, რომელიც თავისი ოჯახის წევრებთან ერთად გახდა სახელმწიფო მოხელეების გენლოს ობიექტი. CCBE-ს ეცნობა, რომ პროკურორი ცდილობდა, ხელი შეეშალა მისთვის მისი კლიენტის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ასევე სერიოზული შეშფოთება გამოხატა ადვოკატ დიმიტრი გაბუნიას საქმესთან დაკავშირებით, რომლის მიმართ მუქარას ახორციელებდა სახელმწიფო მოხელე, რომელმაც დავის მოგვარების მიზნით ანონიმურად ჩაიწერა ორი

მხარის წარმომადგენელი ადვოკატების შეხვედრა, და შემდეგ, აღნიშნული ჩანაწერი მესამე მხარეს გადასცა. ამ ორი ადვოკატიდან ერთ-ერთი ადვოკატი იყო დიმიტრი გაბუნია.

CCBE-ს სურს ყურადღება გაამახვილოს იმაზე, რომ სახელმწიფოებს აქვთ პოზიტიური ვალდებულება - უზრუნველყონ ადვოკატების მიერ თავიანთი პროფესიული ფუნქციების შესრულება დაბრკოლებების გარეშე და მათი უსაფრთხოების დაცვა.

სახელმწიფოს მოვალეობები - ადვოკატების საქმიანობის გარანტიების მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლებიც ჩამოყალიბებულია ადვოკატთა როლის შესახებ გაეროს ძირითად პრინციპებში (1990) (შემდეგში „ძირითადი პრინციპები“)

კერძოდ, ძირითადი პრინციპების მე-16 პუნქტში ნათქვამია:

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადვოკატებმა (ა) შეძლონ თავიანთი პროფესიული ფუნქციების შესრულება დაშინების, დაბრკოლების, ღირსების შელახვისა და არასათანადო ჩარევის გარეშე; (ბ) შეძლონ, თავისუფლად გადაადგილდნენ და კონსულტაცია გაუწიონ კლიენტს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ; და (გ) თავიანთი პროფესიული მოვალეობების, წესებისა და ეთიკის შესაბამისად განხორციელებული რაიმე ქმედების გამო, არ განიცადონ გაკიცხვა ან დევნა ადმინისტრაციული, ეკონომიკური, სოციალური ან სხვა სანქციების მუქარით.

ასევე მე-17 პუნქტში ნათქვამია:

როდესაც ადვოკატთა უსაფრთხოებას, მათ მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების გამო, საფრთხე ემუქრება, ისინი სათანადოდ უნდა იყვნენ დაცულნი ხელისუფლების

მიერ.

CCBE-ს ასევე სურს ხაზი გაუსვას, რომ ძირითადი პრინციპების, მე-18 პუნქტის შესაბამისად, ადვოკატები, თავიანთი ფუნქციების შესრულების გამო, არ უნდა იყვნენ იდენტიფიცირებულნი მათ კლიენტებთან ან მათი კლიენტების ქმედებასთან;

პრეამბულაში, ძირითადი პრინციპები აძლიერებს მთავრობის როლს, ხელი შეუწყოს ადვოკატების როლის დამკვიდრებას. კერძოდ, მასში ნათქვამია:

წინამდებარე ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ შეიქმნა მონაწილე სახელმწიფოების დასახმარებლად, რათა მათ ხელი შეუწყონ და უზრუნველყონ ადვოკატთა როლის დამკვიდრება. მთავრობებმა, შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ფარგლებში, პატივი უნდა სცენ და ანგარიში გაუწიონ წინამდებარე პრინციპებს და ისინი უნდა გადაეცეს როგორც ადვოკატებს, ასევე სხვა პირებს, კერძოდ, მოსამართლეებს, პროკურორებს, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მთლიანად საზოგადოებას.

ადვოკატთა უფლებებთან დაკავშირებით სახელმწიფოების პოზიტიური ვალდებულებები ასევე გამეორებულია წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის ადვოკატის პროფესიის თავისუფლების ძირითადი პრინციპების შესახებ რეკომენდაციაში N R(2000)21 (მიღებული 2000 წლის 25 ოქტომბერს).

რეკომენდაციის 1-ლ პრინციპში (ადვოკატის პროფესიის თავისუფლების ძირითადი პრინციპების შესახებ საერთო პრინციპები) ნათქვამია:

1. ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული

ადვოკატის პროფესიის თავისუფლების პატივისცემის, დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით დისკრიმინაციისა და არასათანადო ჩარევის გარეშე საზოგადოების ან ხელისუფლების მხრიდან, კერძოდ, ადამიანის უფლებების შესახებ ევროპული კონვენციის შესაბამისი დებულებების გათვალისწინებით.

(. . .)

4. ადვოკატს არ უნდა დაეკისროს ან დაემუქრონ რაიმე სახის სანქციით ან ზეწოლით, როდესაც ისინი მათი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მოქმედებენ.

(. . .)

6. მიღებული უნდა იქნას ყველა აუცილებელი ზომა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ადვოკატი-კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობის პატივისცემა. ამ პრინციპიდან გამონაკლისები შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონის უზენაესობის პრინციპებს შეესაბამება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, CCBE მოგმართავთ თხოვნით, შეისწვლოთ ადვოკატთა დაშინების

ეს ფაქტები და ადვოკატების მიმართ შეურაცხყოფისა და ძალადობის არსებობისას დააყენოთ ყველა დამნაშავეს პასუხისმგებლობის საკითხი.

CCBE ასევე მოგმართავთ თხოვნით, გაატაროთ აუცილებელი ღონისძიებები მომავალში ადვოკატთა მიმართ ძალადობის თავიდან ასაცილებლად და უზრუნველყოთ, რომ ქართველმა ადვოკატებმა შეძლონ თავიანთი პროფესიული ფუნქციების შესრულება დაშინების, დაბრკოლების, ღირსების შელახვისა და არასათანადო ჩარევის გარეშე. ადვოკატების მიმართ ყველა მოქმედება და მუქარა მათი პროფესიული მოვალეობების ლეგიტიმურად შესრულებასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ და ეფექტურად უნდა იქნას შეწყვეტილი.

მადლობას მოგახსენებთ ჩვენი პრობლემის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის.

**პატივისცემით
(ხელმოწერა)**

**ალდო ბალგარელი
CCBE-ს პრეზიდენტი**

ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობა: პრიორიტეტები და მიზართულებები

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
სისხლის სამართლის კომიტეტის
დეკლარაცია

დამტკიცებულია:
ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“
აღმასრულებელი საბჭოს 2014 წლის 10 თებერვლის
სხდომის გადაწყვეტილებით

1. კომიტეტის საქმიანობის მიზნები და ამოცანები

1.1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი“) იქმნება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 15.1 მუხლის „წ“ პუნქტისა და 16¹ მუხლის თანახმად.

1.2. კომიტეტის საქმიანობის წესს (დებულებას) ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

1.3. კომიტეტი:

1.3.1. შეისწავლის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებულ პრობლემებს და შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს.

1.3.2. ატარებს სამუშაოს სისხლის სამართლის სფეროში სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გამოვლენისა და არსებული მდგომარეობის ანალიზის მიზნით.

1.3.3. ამზადებს მასალებს სისხლის სამართლის სფეროში მომუშავე ადვოკატთა მიერ სასამართლოში წარმოთქმული სიტყვებისა და სხვა ნამუშევრების ყოველწლიური კრებულის გამოსაცემად.

1.3.4. ამზადებს წერილებს, მიმართვებსა და სხვა დოკუმენტებს სახელმწიფო დაწესებულებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში

წარსადგენად.

1.3.5. ნახალისების მიზნით, გეგმავს და ატარებს პროფესიულ კონკურსებს სისხლის სამართლის ნომინაციებში საუკეთესო ადვოკატების გამოსავლენად.

1.3.6. აწყობს პრევენციებს და სხვა ღონისძიებებს.

1.3.7. ასრულებს ნებისმიერ სხვა საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია მისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებასთან და არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

2. კომიტეტის შემადგენლობა და საქმიანობის წესი

2.1. კომიტეტი შედგება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 12 (თორმეტი) წევრისაგან, რომლებსაც გავლილი აქვთ ადვოკატთა ტესტირება სისხლის სამართლის ან საერთო სპეციალობით, საიდანაც არაუმეტეს 3 წევრს შეარჩევს კომიტეტის თავმჯდომარე მისი უფლებამოსილების ვადით, ხოლო 8 წევრს ადვოკატთა ასოციაციის წევრთაგან შეარჩევს ღია კონკურსის წესით, 2 წლის ვადით.

2.2. კომიტეტს ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც აღმასრულებელი საბჭოს წევრთაგან ნიშნავს აღმასრულებელი საბჭო, საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის წესდების 15.1 მუხლის „ქ“ პუნქტის თანახმად.

2.3. კომიტეტი თავისი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად ქმნის დროებით სამუშაო ჯგუფებს და ამტკიცებს მათ შემადგენლობას. ჯგუფი იქმნება კომიტეტის რომელიმე კონკრეტული ამოცანის ან ფუნქციის შესასრულებლად, განსაზღვრული ვადით.

2.4. კომიტეტს აქვს ბიუჯეტი, რომელსაც ამტკიცებს აღმასრულებელი საბჭო. ბიუჯეტის ხარჯვის მიზნებს და მიმართულებებს განსაზღვრავს თავად კომიტეტი.

2.5. კომიტეტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომიტეტის წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილებები კომიტეტის სხდომაზე მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომიტეტის თავმჯდომარის ან სხდომის თავმჯდომარის ხმა. კომიტეტის გადაწყვეტილება მიიღება დადგენილების სახით.

2.6. კომიტეტის სხდომები იმართება თვეში ერთხელ. კომიტეტის თავმჯდომარის ან წევრთა 1/3-ის ინიციატივით შეიძლება მოწვეულ იქნას კომიტეტის რიგგარეშე სხდომა.

2.7. სხდომის მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ კომიტეტის წევრებს ეცნობება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კოორდინატორის მიერ.

კოორდინატორი უზრუნველყოფს სხდომის მოწვევის შესახებ შეტყობინებისა და დღის წესრიგის პროექტის კომიტეტის წევრებისათვის გაცნობას, სხდომამდე ერთი დღით ადრე მაინც.

2.8. კომიტეტის თავმჯდომარე, აგრეთვე, კომიტეტის შემასგენლობის 1/3 უფლებამოსილია სხდომის დაწყებამდე დააყენოს წინადადება სხდომის დღის წესრიგში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

2.9. კომიტეტის სხდომაზე, დამსწრე წევრთა ან წევრის მოთხოვნით დგება ოქმი, რომლსაც ადგენს კოორდინატორი. ოქმს ხელს აწერს კომიტეტის ან სხდომის თავმჯდომარე.

2.10. კომიტეტის თავმჯდომარეს ან წევრს უფლებამოსილება უწყდება შემდეგი ერთ-ერთი მიზეზით:

- პირადი განცხადებით;
- თუ ზედიზედ 2 თვის განმავლობაში მონაწილეობს არ მიიღებს კომიტეტის მუშაობაში და ეს გარემოება საპატიოდ არ იქნება ჩათვლილი კომიტეტის მიერ;

3. დებულების მოქმედების ვადა

3.1. კომიტეტის წინამდებარე დებულება ძალაშია საქართველოს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების დღიდან და მოქმედებს კანონით დადგენილი წესით მის გაუქმებამდე.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
სამოქალაქო სამართლის კომიტეტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა
(ახალი რედაქცია)

"დამტკიცებულია"

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“
აღმასრულებელი საბჭოს 2014 წლის 10 თებერვლის
გადაწყვეტილებით

1. ზოგადი დებულებები

1.1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სამოქალაქო სამართლის კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი“) წარმოადგენს ასოციაციის მუდმივმოქმედ ორგანოს.

1.2. კომიტეტი შექმნილია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 15.1 მუხლის „წ“ პუნქტისა და 16¹ მუხლის თანახმად.

1.3. კომიტეტის საქმიანობის წესს (დებულებას) ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

1.4. კომიტეტის საქმიანობა ეფუძნება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სტრატეგიული განვითარების ინტერესებს.

2. კომიტეტის საქმიანობის მიზანი

2.1. კომიტეტის მიზანია სამოქალაქო და სამოქალაქო-საპროცესო და კერძო სამართალში (გარდა კომერციული სამართლისა) არსებული პრობლემების შესწავლა, ხარვეზების გამოვლენა და სასამართლო პრაქტიკის განზოგადება.

3. კომიტეტის ამოცანები და საქმიანობა

3.1. კომიტეტის ამოცანებია:

3.1.1. კანონპროექტების მომზადება სამოქალაქო და სამოქალაქო-საპროცესო და კერძო სამართლებრივ საკითხებზე;

3.1.2. სამოქალაქო და სამოქალაქო-საპროცესო და კერძო სამართლებრივ საკითხებზე პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტებზე დასკვნების მომზადება;

3.1.3. სამოქალაქო და სამოქალაქო-საპროცესო და კერძო სამართლის სფეროში მომუშავე ადვოკატთა სამეცნიერო ნაშრომების კრებულის სახით გამოცემა;

3.1.4. წახალისების მიზნით პროფესიული კონკურსების ჩატარება სამოქალაქო და სამოქალაქო-საპროცესო და კერძო სამართლის ნომინაციებში საუკეთესო ადვოკატების გამოსავლენად.

3.2. დასახული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად კომიტეტი:

3.2.1. უგზავნის მის მიერ მომზადებულ კანონპროექტებს ან კანონპროექტებზე მომზადებულ დასკვნებს შესაბამის სახელმწიფო უწყებებს;

3.2.2. წარადგენს განცხადებებსა და მიმართევებს კომიტეტის მიერ მომზადებულ კანონპროექტებთან ან კანონპროექტების ირგვლივ მომზადებულ დასკვნებთან დაკავშირებით;

3.2.3. ქმნის სამუშაო ჯგუფებს, განსაზღვრავს მათ შემადგენლობასა და მოქმედების ვადას;

3.2.4. აწყობს სემინარებსა და სამეცნიერო კონფერენციებს;

3.2.5. მიმართავს წერილობით სახელმწიფო ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს;

3.2.6. ინვესტს ექსპერტებს;

3.2.7. აანალიზებს და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას;

3.2.8. ასრულებს ნებისმიერ სხვა საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია მისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებასთან და არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობასა და ასოციაციის წესდებას.

4. კომიტეტის შემადგენლობა

4.1. კომიტეტი შედგება არანაკლებ 15 წევრისაგან, რომელთაგან 2/3 მაინც უნდა იყოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ხოლო დანარჩენი წევრები შეიძლება არჩეულ იქნან სამეცნიერო წრებიდან, მოსამართლეთა წრიდან ან შესაბამისი პროფილის მქონე სახელმწიფო უწყებებიდან.

4.2. კომიტეტის წევრ მოქმედ ადვოკატს უნდა გააჩნდეს ადვოკატთა ასოციაციის სერტიფიკატი სამოქალაქო სამართლის ან საერთო სპეციალობით და არანაკლებ 3-წლიანი პროფესიული პრაქტიკა. კომიტეტის წევრი ადვოკატები შეირჩევიან ღია კონკურსის წესით, კომიტეტის თავმჯდომარის მიერ.

4.3. კომიტეტს ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს აღმასრულებელი საბჭო.

4.4. კომიტეტის თავმჯდომარე აირჩევა იმ ვადით, რა ვადითაც აირჩევა აღმასრულებელი საბჭო.

4.5. კომიტეტის დანარჩენ წევრებს ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო კომიტეტის თავმჯდომარის წარდინებით. თუ აღმასრულებელმა საბჭომ არ დაამტკიცა თავმჯდომარის მიერ წარდგენილი წევრების ნახევარი მაინც, თავმჯდომარეს უფლება აქვს 10 დღის ვადაში ხელახლა წარუდგინოს

აღმასრულებელ საბჭოს კომიტეტის წევრები. თუ აღმასრულებელმა საბჭომ არ დაამტკიცა წარდგენილი წევრთა 1/3 მაინც, მაშინ კომიტეტის თავმჯდომარე ტოვებს თანამდებობას.

4.6. კომიტეტის წევრები აირჩევიან 2 წლის ვადით. შესაძლებელია კომიტეტის წევრის ხელახალი არჩევა.

4.7. კომიტეტის წევრი შეიძლება ვადამდე იქნას განწვეული კომიტეტის შემადგენლობიდან:

4.7.1. პირადი განცხადების საფუძველზე, რომელიც წარედგინება კომიტეტის თავმჯდომარეს;

4.7.2. თუ იგი ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო ზედიზედ 3 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ მიიღებს მონაწილეობას კომიტეტის სხდომებში ან კომიტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში;

4.7.3. თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

4.7.4. გარდაცვალების შემთხვევაში;

4.8. კომიტეტის წევრის ვადამდე განწვევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კომიტეტის წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით, გარდა 4.7.1. და 4.7.4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. კომიტეტის სხდომის მოწვევა და ჩატარება

5.1. კომიტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს სხდომებზე, რომლებიც მოიწვევა თვეში სულ მცირე ერთხელ მაინც. კომიტეტის პირველი სხდომა მოიწვევა მისი შემადგენლობის დამტკიცებიდან 30 დღის ვადაში.

5.2. კომიტეტის რიგით სხდომას ინვესტს კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო კომიტეტის რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეული იქნას კომიტეტის თავმჯდომარის ან კომიტეტის წევრების არანაკლებ 1/3-ის ინიციატივით.

5.3. კომიტეტის სხდომის მოწვევის ორგანიზაციულ საკითხებს

უზრუნველყოფს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შესაბამისი კოორდინატორი. კოორდინატორი სხდომის ჩატარებამდე 7 დღით ადრე კომიტეტის წევრებს ელექტრონული ფოსტით უგზავნის სხდომის მოწვევის შესახებ შეტყობინებას და დღის წესრიგის პროექტს.

5.4. კომიტეტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომიტეტის წევრთა ნახევარზე მეტი.

5.5. კომიტეტის თითოეული წევრი უფლებამოსილია დააყენოს წინადადება სხდომის დღის წესრიგში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

5.6. კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ ამ დებულებით სხვა უმრავლესობა არ იქნება დადგენილი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია კომიტეტის თავმჯდომარის ხმა.

5.7. კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრის გზით.

5.8. კომიტეტის გადაწყვეტილება მიიღება დადგენილების სახით.

5.9. კომიტეტის სხდომაზე დგება ოქმი, რომელსაც ადგენს კოორდინატორი. ოქმში მიეთითება სხდომის ჩატარების დრო, დამსწრე წევრები და მიღებული გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი. ოქმს ხელს აწერს კომიტეტის თავმჯდომარე.

6. კომიტეტის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა

6.1. კომიტეტის წევრები თავის საქმიანობას ახორციელებენ საზოგადოებრივ ხაზის გზით.

6.2. კომიტეტის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები და მოწვეული ექსპერტები ძირითადად შეიძლება დაფინანსდეს გრანტის ან შემოწირულობის ფარგლებში. დასაშვებია კომიტეტის ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსება ასოციაციის მიერ გამოყოფილი ბიუჯეტის საფუძველზე.

6.3. კომიტეტისათვის გამოსაყოფი ბიუჯეტი უნდა დამტკიცდეს აღმასრულებელი საბჭოს მიერ.

6.4. კომიტეტისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მიზნებს და მიმართულებებს განსაზღვრავს თავად კომიტეტი.

7. დებულების შეცვლა

7.1. წინამდებარე დებულების ცვლილებებსა და დამატებებს, აგრეთვე დებულების ახალ რედაქციას ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

7.2. დებულების ცვლილებებისა და დამატებების ან დებულების ახალი რედაქციის პროექტს ამზადებს სამოქალაქო სამართლის კომიტეტის თავმჯდომარე და დასამტკიცებლად წარუდგენს ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს.

8. დებულების მოქმედების ვადა

8.1. კომიტეტის წინამდებარე დებულება ძალაშია საქართველოს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების დღიდან და მოქმედებს კანონით დადგენილი წესით მის გაუქმებამდე.

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება

საქმე N055/12

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.05.2012

საჩივრის ავტორი: კლიენტი

საპროცესო კოლეგია: მესამე დისციპლინური კოლეგია

სავარაუდო დარღვევა: კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის ვალდებულების დარღვევა

შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრა

გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი: 22.06.2012

განხილვის კოლეგია: პირველი დისციპლინური კოლეგია

შედეგი: დისციპლინური საქმის ეთიკის კომისიისათვის განსახილველად გადაცემის თაობაზე

განმხილველი: ეთიკის კომისია

შედეგი: ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა

დისციპლინური სახდელის სახე: საქმიანობის უფლების შეწყვეტა

გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი: 20.02.2013

ფაქტობრივი გარემოებები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატმა აიღო ვალდებულება კლიენტის ინტერესები წარმოედგინა სამოქალაქო საქმეზე სასამართლოში. ის კლიენტს, როგორც ადვოკატი ისე უწევდა მომსახურებას საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე. ადვოკატმა მომსახურების დაწყებამდე არ განუმარტა კლიენტს, რომ იგი სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი იყო. ადვოკატი სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ სააპელაციო სხდომაზე არ დაუშვა მხარის წარმომადგენლის სტატუსით, რადგან ადვოკატი არ იყო სპეციალიზირებული სამოქალაქო სამართლის მიმართულებით და კლიენტი დარჩა დაცვის გარეშე.

საპროცესო კოლეგიის

გადაწყვეტილების შინაარსი

საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ თუ საქმის განხილვის წესით გამოკვლევისას დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი საჩივრის ავტორს მომსახურებას უწევდა სამოქალაქო საქმეზე, ხოლო ასოციაციის მიერ საქმიანობის უფლებამოსილება

მინიჭებული ჰქონდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, ასევე თუ ადვოკატმა არ აცნობა კლიენტს, რომ მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე იყო სპეციალიზირებული და სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მხარე ადვოკატის გარეშე დარჩა, ადვოკატის მიერ სავარაუდოდ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები.

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების შინაარსი

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

ადვოკატი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა ერთიან სიაში ირიცხებოდა, როგორც სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი.

ადვოკატი სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ სააპელაციო სხდომაზე არ დაუშვა მხარის წარმომადგენლის სტატუსით, რადგან ადვოკატი არ იყო

სპეციალიზირებული სამოქალაქო სამართლის მიმართულებით.

ეთიკის კომისიის დისციპლინური კოლეგიის მიერ დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

ადვოკატი კლიენტის ინტერესებს წარმოადგენდა სამოქალაქო სამართლის საქმეზე.

ადვოკატმა არ განუმარტა კლიენტს, რომ იგი სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი იყო.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა დაარღვია კლიენტის კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის ვალდებულება.

ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების განევა იმ მიმართულებით, რომლითაც არ ყოფილა სპეციალიზირებული, არღვევს კლიენტის კვალიფიციურად წარმომადგენლობის ვალდებულებას, ვინაიდან ადვოკატმა საადვოკატო მომსახურება უნდა განახორციელოს მხოლოდ იმ მიმართულებით, რომელშიც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, გააჩნია შესაბამისი გამოცდილება და არის სპეციალიზირებული. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, „ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში. საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ადვოკატად მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ადვოკატს.“ მოთხოვნებს ადვოკატისთვის ადგენს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ადგენს კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ვალდებულებას, ხოლო „გ“

ქვეპუნქტის თანახმადაც, საადვოკატო საქმიანობის დაწყებამდე ადვოკატს უნდა გააჩნდეს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის ერთწლიანი გამოცდილება, რაც აღირიცხება ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების იმპერატიული მოთხოვნები მიზნად ისახავს, რომ ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში არ დაიშვას არაკვალიფიციურ პირთა განწევრიანება, მათთვის ადვოკატის სტატუსის მინიჭება და ამით პოტენციურ კლიენტთა ინტერესების დაზიანება. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, წარმოადგენს ერთ-ერთ მაკონტროლებელ ინსტრუმენტს ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისთვის, რათა უზრუნველყოს მისი წევრების მიერ განეული საადვოკატო მომსახურების კვალიფიკაციის სტანდარტთან შესაბამისობა, რაც იქნება გარანტი იმისა, რომ პოტენციური კლიენტის ინტერესები დაცული იქნება კვალიფიციურად სამივე ინსტანციის სასამართლოში. ადვოკატს ფიცის დადების (განცხადების დაწერის) შემდეგ ეკისრება ვალდებულება, მოიქცეს წინდახედულად, გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს მისი პროფესიისთვის დამახასიათებელი რისკი, გაითვალისწინოს კლიენტის ინტერესები და ობიექტურად შეაფასოს თავისი უფლებამოსილებისა და კვალიფიკაციის თანხვედრა კლიენტის ინტერესებთან და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება საადვოკატო საქმიანობის განევასთან დაკავშირებით. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულების სისტემის არსებით ნაწილს, მოეთხოვება, საზოგადოების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას გამოიჩინოს გულისხმიერება საკუთარი საქმისადმი, რათა არა მხოლოდ კლიენტის კონკრეტული ინტერესის

დაზიანება აიცილოს თავიდან, არამედ - საზოგადოების ნდობის დაკარგვაც ადვოკატთა კორპუსის მიმართ.

სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი კლიენტის ინტერესებს, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოში საქმისწარმოებისას წარმოადგენდა მინდობილობისა და ხელშეკრულების საფუძველზე. ადვოკატი, როგორც საქმის მასალებიდან დგინდება, კერძოდ, მის მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტებიდან, საქმეს აწარმოებდა არა როგორც წარმომადგენელი, არამედ როგორც ადვოკატი. შესაგებელში შევსებულია ადვოკატისათვის დათმობილი ველი, კერძოდ, მითითებულია ადვოკატის სიითი ნომერი, ხოლო სააპელაციო საჩივარში სიითი ნომრის ნაცვლად, მითითებულია კავშირის დასახელება. ორივე საპროცესო დოკუმენტს ხელს მხოლოდ ადვოკატი აწერს.

მოცემულ შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შეგებებული სარჩელის წარუდგენლობის გამო (შეგებებული სარჩელის მოთხოვნები დაყენებული იყო შესაგებელში), სასამართლომ ვერ იმსჯელა სადაო სამართლებრივ საკითხზე, რის მიმართაც კლიენტს გააჩნდა იურიდიული ინტერესი და რის გამოც მიმართა ადვოკატს საადვოკატო მომსახურებისთვის. ადვოკატმა წარადგინა სააპელაციო საჩივარი და კლიენტს კვლავ შეუქმნა მოლოდინი, რომ სააპელაციო სასამართლო განიხილავდა მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის საკითხსაც. ასევე, ადვოკატმა არ აცნობა კლიენტს იმის თაობაზე, რომ მას კვალიფიკაცია

სისხლის სამართლის მიმართულებით ჰქონდა მინიჭებული და ვერ შეძლებდა მისი ინტერესების წარმოდგენას სააპელაციო სასამართლოში, რის გამოც კლიენტი სასამართლო სხდომაზე დარჩა საადვოკატო მომსახურების გარეშე და ვერც თავად შეძლო თავისი უფლებების დაცვა. ერთი მხრივ, ადვოკატის ქმედებების შედეგად, კლიენტის საქმისწარმოება გაჭიანურდა, ვინაიდან 2009 წლის 16 ივნისიდან 2011 წლის 21 მარტის ჩათვლით განხორციელებული საადვოკატო საქმიანობის შედეგად კლიენტისათვის შეუძლებელი გახდა მოთხოვნის დაყენება სასამართლოში, ხოლო მეორე მხრივ, მას მიაღდა მატერიალური ზიანი, ვინაიდან მან გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, ასევე ადვოკატს გადასცა სასამართლო ხარჯებისათვის გარკვეული თანხა, ხოლო განუღო მატერიალურ ხარჯს დაემტა ახალი ადვოკატისა და საქმის თავიდან წარმოებასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯები. ადვოკატის ქმედებების შედეგად, კლიენტმა შეწყვიტა მასთან ურთიერთობა, დაკარგა რა ადვოკატის მიმართ ნდობა. კომისიამ სახდელის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ის ზიანი, რაც მიაღდა კლიენტს, ასევე ზიანი, რაც ადვოკატმა ზემოაღნიშნული ქმედებით მიაყენა ადვოკატის პროფესიას, რადგან ეთიკური ვალდებულებების დაცვა არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტის ინტერესებს ემსახურება, არამედ საადვოკატო საქმიანობისა და ზოგადად ადვოკატთა კორპუსისადმი ნდობითა და პატივისცემით განმსჭვალავს საზოგადოებას.

შენიშვნა: ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით დს-შ/15-13 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

ეთიკის კომისიის რეკომენდაცია

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:
ციცინო ცხვედიანი – კომისიის თავმჯდომარე
ეკატერინე გასიტაშვილი – კომისიის წევრი
ზურაბ ძლიერიშვილი – კომისიის წევრი
პავლე აბაიაძე – კომისიის წევრი
თეა ჭეიშვილი – კომისიის წევრი
გიორგი ტურაბაშვილი – კომისიის წევრი
ზვიად კორძაძე – კომისიის წევრი
გოჩა სვანიძე – კომისიის წევრი
თორნიკე ბაქრაძე – კომისიის წევრი
ხათუნა გრიგალაშვილი – კომისიის წევრი
სანდრო ჯორბენაძე – კომისიის წევრი
ია გაბედავა – კომისიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.12.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 021/13

შეკითხვა:

არის თუ არა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რომელიმე ნორმის/ნორმების დარღვევა, როცა ადვოკატი დასრულებული სისხლის სამართლის საქმეების ორდერებს გაასაჯაროებს ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე? ხაზი გაესმის მხოლოდ ორდერებს და არა სისხლის სამართლის საქმეებს, როდესაც ზემოაღნიშნული ემსახურებოდა საჯარო დანებსებულების წინაშე, კონკურსში მონაწილეობის პროცესში, მოქმედ ადვოკატად მუშაობისა და გამოცდილების დადასტურებას ამავე ადვოკატის მხრიდან, ამავე ადვოკატის ინიციატივით.

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, 1. „ადვოკატი ვალდებულია: ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად; ბ)

კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია. 2. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი: „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი:

„კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილი: „ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია: „ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე; ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს; გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის“.

ეთიკის კომისიამ 2013 წლის 05 მარტის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №142/12 აღნიშნა, რომ „სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე ადვოკატებმა პროფესიული მოვალეობების შესრულებისას უნდა განახორციელონ დაცვის უფლება კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით...“

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №094/11 დაადგინა: „კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის განსაჯაროების აკრძალვას, ინფორმაციის დაცვა ასევე მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას, არ გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ.“

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №112/11 აღნიშნა, რომ: „კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობის არსებობის შემთხვევაში, კლიენტი ადვოკატს უმხელს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რასაც ადვოკატი კლიენტის თანხმობით იყენებს სისხლის სამართლის საქმეზე კლიენტის ინტერესების დასაცავად... კლიენტის სრული ნდობა ადვოკატისადმი

და განდობილი კონფიდენციალური ინფორმაცია, ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას, სათანადოდ განახორციელოს კლიენტის ინტერესების დაცვა.“

ადვოკატის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა ნებისმიერი მესამე პირისთვის, წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას. ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კლიენტის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნულ შემთხვევებში.

მოცემულ შემთხვევაში, უნდა შეფასდეს, რამდენად ვრცელდება კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპი ორდერში აღნიშნულ ინფორმაციაზე. ასევე, შეკითხვის ფარგლებში უნდა შეფასდეს, ადვოკატის მიერ დასრულებულ საქმეებზე ორდერების წარდგენა ადმინისტრაციული ორგანოსთვის პრაქტიკული პროფესიული საქმიანობისა და გამოცდილების დადასტურების მიზნით, წარმოადგენს თუ არა ადვოკატის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გაუმჟღავნებას. აღნიშნული საკითხი უშუალოდაა დაკავშირებული კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპთან, რომელიც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ძირეული პრინციპია და მის დასაცავად ადვოკატი ყველა კანონიერ გზას უნდა იყენებდეს,

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 01 თებერვლის გადაწყვეტილებით განსაზღვრულია ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ადვოკატის ორდერი. კერძოდ, ორდერის სავალდებულო რეკვიზიტებია: ა) იურიდიული ფირმის, ბიუროს, ადვოკატის დასახელება, მისამართი, ორდერის გაცემის თარიღი; ბ) დოკუმენტის დასახელება - ორდერი; გ)

ადვოკატის სახელი, გვარი, სიითი ნომერი; დ) იურიდიული პირი - სახელწოდება, რეგისტრაციის ნომერი; ე) დავალების შინაარსი (უნდა მოიცავდეს საპროცესო მოქმედებას და მათი შესრულების ადგილს ან ორგანოს); ვ) ორდერის გამცემი პირის ხელმოწერა; ზ) ორდერის მოქმედების ვადა.

ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნავს, რომ ორდერი, რომელიც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილ მხოლოდ მინიმალურ რეკვიზიტებს შეიცავს, არ წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. შესაბამისად, ადვოკატს შეუძლია საადვოკატო საქმიანობაში მისი პროფესიული გამოცდილების დასადასტურებლად, დასრულებული სისხლის საქმეებზე გაცემული ორდერების წარდგენა. კონფიდენციალურ ინფორმაციად არ მიიჩნევა ორდერში აღნიშნული მხოლოდ სავალდებულო რეკვიზიტები. ადვოკატმა არ უნდა გაასაჯაროვოს ორდერი, კერძოდ, არ უნდა წარუდგინოს ადმინისტრაციულ ორგანოს ისეთი სახით, რომელიც მინიმალური რეკვიზიტების გარდა, მოიცავს სხვა სახის მონაცემებს, რაც პირის იდენტიფიცირების

შესაძლებლობას იძლევა, რადგან სხვა მაინდენტიფიცირებელი ინფორმაცია, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კონფიდენციალურია და ასეთის გამოყენება, მხოლოდ კლიენტის თანხმობითაა შესაძლებელი.

დასკვნა:

ორდერში აღნიშნული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 01 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგენილ მხოლოდ მინიმალურ რეკვიზიტებს და მასში არ არის აღნიშნული სხვა სახის ინფორმაცია, არ წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და შესაბამისად, შესაძლებელია საადვოკატო საქმიანობის გამოცდილების დადასტურებისათვის წარედგინოს ადმინისტრაციულ ორგანოს.

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე.

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის წევრი:

კომისიის წევრი:

კომისიის წევრი:

კომისიის წევრი:

კომისიის წევრი:

კომისიის წევრი:

კომისიის წევრი:

კომისიის წევრი:

კომისიის წევრი:

კომისიის წევრი:

კომისიის წევრი:

/ციცინო ცხვედიანი/

/ეკატერინე გასიტაშვილი/

/ზურაბ ძლიერიშვილი/

/პავლე აბაიძე/

/თეა ჭეიშვილი/

/გიორგი ტურაზაშვილი/

/ზვიად კორძაძე/

/გოჩა სვანიძე/

/თორნიკე ბაქრაძე/

/ხათუნა გრიგალაშვილი/

/სანდრო ჯორბენაძე/

/ია გაბედავა/

ადვოკატი და განათლება

აკრედიტებული ტრენინგები ჩამონათვალი (2014 წელი, აპრილი)

1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე გამოყენება;
2. ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და მსხვერპლთა დაცვის საკითხები;
3. დელიქტური სამართალი;
4. მორალური ზიანი და უსაფუძვლო გამდიდრება;
5. ქონების რეგისტრაცია;
6. მოთხოვნის უზრუნველყოფა;
7. ინტელექტუალური საკუთრება;
8. სასაქონლო ნიშნები;
9. საერთაშორისო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება;
10. სამოქალაქო სამართლის პრობლემური საკითხები;
11. იურიდიული დოკუმენტების შედგენის პრაქტიკული საკითხები;
12. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია;

13. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზები;
14. ვინდიკაციური და კონდიქციური სარჩელები;
15. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
16. სამართლებრივი მართლწერის უნარ-ჩვევები;
17. პირდაპირი დაკითხვა/ჯვარედინი დაკითხვა;
18. საპროცესო შეთანხმებისა და მოლაპარაკების წარმოების უნარ-ჩვევები;
19. სასამართლო ფსიქიატრია/ავტო-საგზაო შემთხვევათა ექსპერტიზა.

დეტალური ინფორმაცია აკრედიტებული ტრენინგების შესახებ იხილეთ ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ვებ გვერდზე edu.gba.ge

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამა (2014 წლის გაზაფხულზე დაგეგმილი გამოცდებისთვის)

კონსტიტუციური სამართალი

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი

- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (დამატებითი ოქმებით);
- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (პროტოკოლი);
- ბავშვის უფლებათა კონვენცია;
- ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია;
- მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ კონვენცია.

ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი / ადმინისტრაციული სამართლის პროცესი

- ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსი;

- ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
- საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ.

სამოქალაქო სამართალი

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ;
- შრომის კოდექსი.

სამოქალაქო სამართლის პროცესი

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

სისხლის სამართალი

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

სისხლის სამართლის პროცესი

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

რეგულაციები

განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემის წესები

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, ასოციაციის წესდების 15¹ მუხლის შესაბამისად, ადგენს განგრძობადი იურიდიული განათლების (შემდგომში გ.ი.გ-ის) სისტემას, ყველა პრაქტიკოსი ადვოკატისათვის საქართველოში.

მუხლი 1. განგრძობადი იურიდიული განათლების მნიშვნელობა და მიზანი

განგრძობადი იურიდიული განათლება გულისხმობს საგანმანათლებლო და საკვალიფიკაციო მოთხოვნების არსებობას ადვოკატებისათვის. განგრძობადი იურიდიული განათლების მიზანია ადვოკატთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გაღრმავება.

მუხლი 2. განგრძობადი იურიდიული განათლების პერიოდულობა და ხელმისაწვდომობა

2.1. სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვებისათვის, ვადას ადგენს ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

2.2. საანგარიშო პერიოდის ათვლა იწყება ყოველი წლის 1-ლი იანვრიდან და სრულდება მიმდინარე წლის 20 დეკემბერს.

2.3. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიერ განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში ორგანიზებულ, სავალდებულო, საგანმანათლებლო ღონისძიებებზე დასწრება ადვოკატებისათვის უფასოა. აღნიშნული არ გამოირიცხავს სხვადასხვა საკითხზე ფასიანი საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას, რომლებზე დასწრებაც ადვოკატებისთვის ნებაყოფლობითია.

მუხლი 3. საგანმანათლებლო ღონისძიებებზე რეგისტრაცია

3.1 თუ საგანმანათლებლო ღონისძიებაზე დარეგისტრირების შემდეგ ადვოკატი ვერ ახერხებს

ღონისძიებაზე დასწრებას, იგი ვალდებულია, მინიმუმ 7 (შვიდი) დღით ადრე მიაწოდოს ინფორმაცია ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრს.

3.2. ინფორმაციის მიწოდების ვადის დარღვევისა და არასაპატიო მიზეზით საგანმანათლებლო ღონისძიების ორჯერ გაცდენის შემთხვევაში, ადვოკატი იხდის საფასურს, ამავე წლის მეორე ნახევრის (ივლისი-დეკემბერი) დაგეგმილ ფასიან საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

3.3. ფასიანი საგანმანათლებლო ღონისძიების საფასურის ოდენობა განისაზღვრება საგანმანათლებლო ღონისძიების ორგანიზატორის მიერ, ხოლო ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული ფასიანი საგანმანათლებლო ღონისძიების საფასურს განსაზღვრავს აღმასრულებელი საბჭო.

3.4. საგანმანათლებლო ღონისძიების გაცდენის საპატიო მიზეზად ჩაითვლება ადვოკატის მიერ საგანმანათლებლო ღონისძიებაზე დასწრების შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის საგანმანათლებლო ღონისძიებაზე დასწრებას ან/და ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრისთვის ინფორმაციის მიწოდებას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნას სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს საგანმანათლებლო ღონისძიებაზე დასწრების შეუძლებლობაზე.

3.5 მიმდინარე წლის პირველი 6 თვის (იანვარი–ივნისი) დაგეგმილ უფასო საგანამანათლებლო ღონისძიებაზე განმეორებითი რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ ორჯერ.

მუხლი 4. განგრძობადი იურიდიული განათლების სავალდებულო კრედიტ-საათების რაოდენობა და მათი გადანაწილება

4.1. საგანმანათლებლო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, აღმასრულებელი საბჭო მიმდინარე წლის ბოლოს ადგენს სავალდებულო კრედიტ-საათების ოდენობას და განასაზღვრავს სავალდებულო საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩამონათვალს მომდევნო წლისათვის.

4.2. ერთი კრედიტ-საათის ოდენობა განისაზღვრება საგანმანათლებლო ღონისძიების ერთი ასტრონომიული საათით.

4.3. შესაძლებელია დამატებით დაგროვებული კრედიტ-საათების მომდევნო წლის საანგარიშო პერიოდზე გადატანა. გადატანილი კრედიტ-საათების რაოდენობას, სასწავლო ცენტრის რეკომენდაციის საფუძველზე, ადგენს აღმასრულებელი საბჭო.

4.4. ახალგაწევრიანებულმა წევრებმა კრედიტ-საათები უნდა დააგროვონ მხოლოდ სავალდებულო საგანმანათლებლო ღონისძიებებზე დასწრებით. იგივე წესი ვრცელდება იმ წევრებზეც, რომლებიც მიმდინარე წელს აღიდგენს ადვოკატის უფლებამოსილებას, გარდა იმ წევრებისა, რომელთაც შეუჩერდა უფლებამოსილება კრედიტ-საათების დავალიანების გამო.

4.5. კრედიტ-საათების დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ აღმასრულებელი საბჭოს მიერ აკრედიტებულ ღონისძიებებში მონაწილეობით.

მუხლი 5. განგრძობადი იურიდიული განათლების სპეციალიზაცია

ადვოკატებისთვის გ.ი.გ.-ის ფარგლებში დაგეგმილი საგანმანათლებლო ღონისძიებები არ არის განსაზღვრული სპეციალიზაციების

მიხედვით, შესაბამისად, მათ ეძლევათ თავისუფალი არჩევანის უფლება, ინტერესის სფეროდან გამომდინარე, თავად განსაზღვრონ, სავალდებულო ღონისძიებების გარდა, რომელ ღონისძიებებზე დასწრებით დააგროვებენ სავალდებულო კრედიტ-საათებს.

მუხლი 6. კრედიტ-საათების დაჯამების სისტემა

6.1. ყოველი მიმდინარე წლის ბოლოს, სავალდებულო კრედიტ-საათების დაჯამების ორგანიზებას უზრუნველყოფს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი.

6.2. კრედიტ-საათების დაჯამება ხდება მიმდინარე წლის მანძილზე საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზატორების მიერ, მონაწილეთა აღრიცხვის წარმოდგენილი ფორმის საფუძველზე.

6.3. შედეგების დაფიქსირება ხდება პროგრამულად, ადვოკატთა ასოციაციის წევრთა საერთო სიაში, თითოეული ადვოკატის პირად საინფორმაციო ბაზაში შეტანის გზით.

მუხლი 7. სანქციები გ.ი.გ.-ის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში

7.1. აღმასრულებელი საბჭო აწესებს ადმინისტრაციულ სანქციებს იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი არ დააკმაყოფილებს განგრძობადი იურიდიული განათლების მოთხოვნებს.

7.2. თუ ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მონაცემებით დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე (მიმდინარე წლის 20 დეკემბრამდე) ადვოკატმა ვერ დააგროვა სავალდებულო კრედიტ-საათები, სასწავლო ცენტრი, აღმასრულებელი საბჭოს სახელით, კრედიტ-საათების დავალიანების მქონე ადვოკატებს უგზავნის „გაფრთხილებას“ და აძლევს შეტყობინების მიღებიდან 3-თვიან ვადას, განგრძობადი იურიდიული განათლების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულ პერიოდში ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს

საგანამანათლებლო ღონისძიებებს, რომლებზე დასწრებაც ფასიანია, კრედიტ-საათების დავალიანების მქონე ადვოკატებისთვის. ფასიანი საგანამანათლებლო ღონისძიების ღირებულება განისაზღვრება ღონისძიების ორგანიზატორის მიერ. სამი თვის გასვლის შემდეგ, სასწავლო ცენტრი წარუდგენს აღმასრულებელ საბჭოს კრედიტ-საათების დავალიანების მქონე ადვოკატთა საბოლოო სიას და აღმასრულებელი საბჭო იმსჯელებს კრედიტ-დავალიანების მქონე ადვოკატთა უფლებამოსილების შეჩერების საკითხზე.

7.3. უფლებამოსილება აღდგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში მონაწილეობას მიიღებს, ფასიან საგანამანათლებლო ღონისძიებაში და გადაიხდის დამატებით გადასახადს, რომლის ოდენობაც განისაზღვრება მისი სანევროს ნახევარი თანხით.

მუხლი 8. განგრძობადი იურიდიული განათლების შეღავათების სისტემა

8.1. განგრძობადი იურიდიული განათლების მოთხოვნა თანაბრად ვრცელდება ყველა პრაქტიკოს ადვოკატზე, მაგრამ სხვადასხვა საქმიანობის ან აქტივობის განხორციელების შედეგად გათვალისწინებულია კრედიტ-საათების დაგროვებისთვის გარკვეული შეღავათები და ვრცელდება შემდეგი კატეგორიის ადვოკატებზე, რომელთაც:

- მინიჭებული აქვთ პროფესორის სტატუსი და/ან ენვეიან საგანმანათლებლო საქმიანობას (ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის ტრენინგების ჩატარების გზით);

- თავიანთი ავტორობით რეფერირებდნენ ურნალში განთავსებული აქვთ იურიდიული შინაარსის პუბლიკაცია (აღმასრულებელი საბჭო ინდივიდუალურად განიხილავს საკითხს და გადაწყვეტს მისანიჭებელი კრედიტ-საათების რაოდენობას);

- ქართულ ენაზე ნათარგმნი აქვთ იურიდიული ნაშრომები/

დოკუმენტები (აღმასრულებელი საბჭო ინდივიდუალურად განიხილავს საკითხს და გადაწყვეტს მისანიჭებელი კრედიტ-საათების რაოდენობას);

- თავიანთი ავტორობით გამოცემული აქვთ იურიდიული შინაარსის წიგნი (აღმასრულებელი საბჭო ინდივიდუალურად განიხილავს საკითხს და გადაწყვეტს მისანიჭებელი კრედიტ-საათების რაოდენობას);

- მიმდინარე წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციებში და წარმოადგინენ ასეთი ტიპის ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელ საბუთს (აღმასრულებელი საბჭო ინდივიდუალურად განიხილავს საკითხს და გადაწყვეტს მისანიჭებელი კრედიტ-საათების რაოდენობას);

- მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიენიჭათ დოქტორის ხარისხი;

- მონაწილეობა მიიღეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელ კურსებში, რომელსაც ორგანიზება გაუწია ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრმა - განვრვიანების წელს თავისუფლდებიან სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვებისგან.

- მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ საგანამანათლებლო ღონისძიებებზე დასწრება (აღნიშნულ შემთხვევაში ადვოკატმა აღმასრულებელი საბჭოს სახელზე უნდა წარმოადგინოს განცხადება და ცნობა ჯანმრთელობის შესახებ).

სხვა სახის შემთხვევები განიხილება აღმასრულებელი საბჭოს მიერ, ადვოკატის განცხადების საფუძველზე.

8.2. შეღავათის საკითხს აღმასრულებელი საბჭო განიხილავს ინდივიდუალურად და შემდეგ გადაწყვეტს მისანიჭებელი კრედიტ-საათების რაოდენობას.

**ადვოკატთა საკვალიფიკაციო
გამოცდების ელექტრონული ფორმით ჩატარების
წესები**

1. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლების მქონე პირები

1.1. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება ეძლევა საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და ფლობს სახელმწიფო ენას.

1.2. უმაღლესი იურიდიული განათლების მქონედ ითვლება პირი, თუ მას დამთავრებული აქვს უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის სრული კურსი სპეციალობით „სამართლმცოდნეობა“ ან „საერთაშორისო სამართალი“ და სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ მინიჭებული აქვს „იურისტის“ კვალიფიკაცია საქართველოში.

1.3. საზღვარგარეთ მიღებული უმაღლესი იურიდიული განათლების შემთხვევაში, გამოცდის ჩაბარების მსურველმა გამოცდაზე რეგისტრაციისას, უნდა წარმოადგინოს ცნობა/წერილი „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან“ მისი დიპლომის აღიარების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი გაცემულია 1991 წლამდე.

2. რეგისტრაცია

2.1. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების მიზნით, აპლიკანტთა რეგისტრაცია მიმდინარეობს ელექტრონული პროგრამის მეშვეობით (online რეჟიმში), რეგისტრაციის გამოცხადებიდან მინიმუმ 14 დღის განმავლობაში. საბუთების მიღების ბოლო დღეს რეგისტრაციის ფუნქცია პროგრამულად ითიშება და დაგვიანებით შემოსული საბუთები არ მიიღება.

2.2. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, აპლიკანტის მოთხოვნა გამოცდაში მონაწილეობისთვის

გადახდილი საფასურის უკან დაბრუნების შესახებ არ დაკმაყოფილდება.

2.3. გამოცდაზე რეგისტრაციისთვის მონაწილემ აპლიკანტთა პორტალის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს:

- უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი საბუთი (დიპლომის ასლი ან ცნობა დიპლომის აღიარების შესახებ);

- პირადობის დამადასტურებელი მონაწილის ასლი;

- CV;

- ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3X4);
- გამოცდის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

2.5. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ აპლიკანტი აპლიკანტის პორტალში და, ასევე, ელექტრონულ ფოსტაზე მიიღებს შეტყობინებას გამოცდაზე წარმატებით ან წარუმატებლად დარეგისტრირების შესახებ.

2.6. თუ აპლიკანტი ვერ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს ან წარმოდგენილი საბუთები არ შეესაბამება დადგენილ წესს, აპლიკანტი გამოცდაზე არ დაიშვება.

3. გამოცდების ჩატარების ენა

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები ტარდება ქართულ ენაზე, აფხაზეთში - აფხაზურ ენაზე.

4. გამოცდის სახეები

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები ტარდება სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლისა და საერთო სპეციალიზაციის განხრით.

5. საგამოცდო კითხვების შეფასება და გამსვლელი ქულა

5.1. თითოეული საგამოცდო კითხვის სწორი პასუხი ფასდება ერთი ქულით, არასწორი პასუხი - 0 ქულით.

5.2. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის მინიმალური შეფასება არის 0 ქულა, ხოლო მაქსიმალური შეფასება - 100 ქულა.

5.3. აპლიკანტს, რომელიც

გამოცდაზე მოაგროვებს 75 ან მეტ ქულას, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაეთვლება ჩაბარებულად.

6. გამოცდაზე გამოუცხადებლობა

6.1. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების მომზადებისა და ჩატარების სამდივნო არ ითვალისწინებს გამოცდაზე გამოუცხადებლობის მიზეზს და არ აკმაყოფილებს აპლიკანტის მოთხოვნას დამატებითი გამოცდის ჩატარების შესახებ.

6.2. გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, აპლიკანტი დაიშვება მომდევნო გამოცდაზე, რისთვისაც საბუთების ხელმეორედ წარმოდგენა სავალდებულო არ არის, თუ საბუთების პირველადი მიღებიდან არ არის გასული ერთ წელიწადი, თუმცა აუცილებელია გამოცდის საფასურის ხელახლა გადახდა და 2 ფოტოსურათის წარმოდგენა.

7. გამოცდების ჩაბარება ხელმეორედ

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასვლის უფლება პირს ეძლევა შეუზღუდავად.

გამოცდის მიმდინარეობის პროცესი

8. გამოცდაზე გამოცხადების დრო

8.1. გამოცდის დღეს აპლიკანტი უნდა გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე, აპლიკანტის პორტალში და ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ დროს.

8.2. აპლიკანტმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და საგამოცდო სესიის კოდი. პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და საგამოცდო სესიის კოდის გარეშე აპლიკანტი გამოცდაზე არ დაიშვება.

8.3. საგამოცდო სესიის კოდის წარდგენის შემდეგ, აპლიკანტი გაივლის რეგისტრაციას საგამოცდო დარბაზში შესასვლელად. აპლიკანტთა რეგისტრაციის დასრულების შემდეგ პროგრამულად დაიწყება გამოცდისთვის განსაზღვრული დროის ათვლა და დაგვიანებით მოსულ აპლიკანტს არ დაემატება გაცდენილი დრო.

9. გამოცდის მსვლელობისას საკანონმდებლო მასალისა და სხვა ნივთების გამოყენების აკრძალვა

9.1. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე აპლიკანტს ეკრძალება ნორმატიული აქტების, კანონთა კომენტარების, სახელმძღვანელოების ან სხვა ანალოგიური მასალის გამოყენება. აპლიკანტი, რომელიც შემჩნეული იქნება ამ მასალის გამოყენებაში მოიხსნება გამოცდიდან და დაენერება შეფასება 0.

9.2. აპლიკანტს არა აქვს უფლება საგამოცდო დარბაზში შეიტანოს აუდიო ან სხვა ტექნიკური საშუალებები. აპლიკანტი, რომელიც შემჩნეული იქნება ასეთი საშუალებების გამოყენებაში, მოიხსნება გამოცდიდან და დაენერება შეფასება 0.

9.3. აპლიკანტს არა აქვს უფლება საგამოცდო დარბაზში შეიტანოს ჩანთა/კონტეინერი ან სხვა ნივთი, გარდა პირადობის მოწმობისა და საგამოცდო სესიის კოდის ფურცლისა. აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში, აპლიკანტი მოიხსნება გამოცდიდან და დაენერება შეფასება 0.

9.4. საგამოცდო დარბაზში შესვლამდე აპლიკანტს ჩამოერთმევა ყველა აკრძალული ნივთი და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების სამდივნო არ აგებს პასუხს აპლიკანტის ნივთების შენახვაზე.

10. საგამოცდო დარბაზში შესვლის უფლება

10.1. საგამოცდო დარბაზში დაიშვებიან მხოლოდ შემდეგი პირები: გამოცდის აპლიკანტები, ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლები, გამოცდის დამკვირვებლები და გამოცდების ჩატარების სამდივნოს მიერ გაცემული სპეციალური საშვის მქონე პირები.

10.2. უცხო პირთა შესვლა საგამოცდო დარბაზში აკრძალულია.

11. საგამოცდო დარბაზში ადგილის დაკავების წესი

11.1. საგამოცდო დარბაზში შესვლამდე ყველა აპლიკანტი იღებს ადგილის ნომრის აღმნიშვნელ ბარათს და ამ ნომრის მიხედვით იკავებს ადგილს დარბაზში.

11.2. აპლიკანტს არა აქვს უფლება

საგამოცდო დარბაზში თვითნებურად დაიკავოს ადგილი, ასეთ შემთხვევაში აპლიკანტი მოიხსნება გამოცდიდან და დაენერება შეფასება 0.

12. გამოცდის მიმდინარეობის პროცესში საგამოცდო დარბაზიდან გასვლის წესი

12.1. გამოცდის მიმდინარეობის პროცესში აპლიკანტს უფლება აქვს 2-ჯერ დატოვოს საგამოცდო დარბაზი, მხოლოდ 4 ნუთით. დარბაზის დატოვების შემთხვევაში აპლიკანტი ერთ-ერთ დამკვირვებელთან ტოვებს თავისი საგამოცდო სესიის კოდის ფურცელს, რომელზეც ფიქსირდება საგამოცდო დარბაზიდან გასვლის დრო.

12.2 საგამოცდო დარბაზიდან გასვლის წესის დარღვევის შემთხვევაში აპლიკანტი მოიხსნება გამოცდიდან და დაენერება შეფასება 0.

12.3. გამოცდის ორგანიზატორებმა უნდა უზრუნველყონ გამოცდის ჩატარების ადგილზე სპეციალურად აპლიკანტთა მოხმარებისთვის მინიმუმ ერთი სველი წერტილის ოთახი.

13. გამოცდის ხანგრძლივობა

13.1. გამოცდის ჩასაბარებლად აპლიკანტს ეძლევა 6 ასტრონომიული საათი.

13.2. აპლიკანტები ორჯერ მიიღებენ ზეპირ გაფრთხილებას საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ, დროის ამოწურვამდე 30 ნუთით ადრე და 15 ნუთით ადრე.

13.3. საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ საგამოცდო ნაშრომი პროგრამულად გასწორდება, არსებული მომენტის მდგომარეობით.

14. გამოცდის მსვლელობის მონიტორინგი

14.1. გამოცდის ჩატარებისას უზრუნველყოფილია საჭაროობა და საზოგადოების მხრიდან კონტროლი.

14.2. გამოცდის მსვლელობას აკვირდებიან მონაცემები და დამკვირვებლები და საგამოცდო დარბაზში მიმდინარეობს ვიდეოკონტროლი.

15. წესების გაცნობა და ინსტრუქტაჟი

15.1. გამოცდის დაწყების წინ გამოცდების ჩატარების სამდივნოს წარმომადგენელი აპლიკანტებს აცნობს

გამოცდაზე ქცევის წესებს და ატარებს ინსტრუქტაჟს.

15.2. ინსტრუქტაჟის მოსმენის შემდეგ ყველა აპლიკანტისთვის ერთდროულად დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა.

16. საგამოცდო კითხვების ელექტრონული კრებული

16.1. საგამოცდო კითხვების ელექტრონულ კრებულში მოცემულია 100 საგამოცდო კითხვა. თითოეული საგამოცდო კითხვა შედგება ფაბულისა და 4 სავარაუდო პასუხისგან.

16.2. საგამოცდო კითხვას აქვს მხოლოდ ერთი სწორი პასუხი.

16.3. საგამოცდო კითხვების კრებული, წარმოადგენს ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საკუთრებას და მისი რაიმე ფორმით დაკოპირება აკრძალულია. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში აპლიკანტის საგამოცდო ნაშრომი არ გასწორდება და დაენერება შეფასება 0.

გაფრთხილების ოქმი და სანქციები

17. გაფრთხილების ოქმი

17.1 აპლიკანტის მიერ გამოცდაზე ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში დგება გაფრთხილების ოქმი, რომელსაც ავსებს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი.

17.2. გაფრთხილების ოქმში აღინიშნება აპლიკანტის პირადი მონაცემები და ქცევის წესების დარღვევის კატეგორია.

17.3. გაფრთხილების ოქმს ხელს აწერს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი და გამოცდის დამკვირვებელი.

17.4. საჭიროების შემთხვევაში, გაფრთხილების ოქმს თან ერთვის გამოცდის მსვლელობის ვიდეოჩანაწერი.

18. სანქციები

18.1. ქცევის წესების დარღვევის კატეგორიით განისაზღვრება აპლიკანტის მიმართ განსახორციელებელი სანქციის ფორმა.

18.2. სანქციის ფორმებია: გაფრთხილება და გამოცდიდან მოხსნა.

19. სხვა დარღვევები

19.1. წინამდებარე დოკუმენტში ასახული დარღვევების გარდა, ქცევის წესების დარღვევად ასევე ჩაითვლება: დამკვირვებლის მითითების დაუმორჩილებლობა, გადაწერა, კარნახი და სხვა აპლიკანტებთან გადალაპარაკება. აღნიშნული დარღვევების შემთხვევაში, დამკვირვებელი აძლევს აპლიკანტს ზეპირ გაფრთხილებას, ხოლო ქმედების განმეორების შემთხვევაში, ივსება გაფრთხილების ოქმი.

გამოცდის შედეგები

20. გამოცდის შედეგების გამოქვეყნება

20.1. გამოცდის შედეგები (აპლიკანტის სახელი და გამსვლელი ქულა) უნდა გამოქვეყნდეს.

20.2. გამოცდის შედეგების გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელია საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების სამდივნო.

20.3. გამოცდის შედეგები გამოქვეყნდება საჩივრების მიღების პირველივე დღეს ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში.

20.4. აპლიკანტს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდას, გადაეცემა სერტიფიკატი.

გამოცდის შედეგის გასაჩივრება

21. გასაჩივრების უფლება

21.1. აპლიკანტს, რომელიც ვერ დააგროვებს გამსვლელ ქულათა საკმარის რაოდენობას, უფლება აქვს გაასაჩივროს გამოცდის შედეგი.

21.3. საჩივარი იწერება უშუალოდ აპლიკანტის მიერ, ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის სახელზე.

21.4. საჩივარი იწერება ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ოფისში, სპეციალურად გასაჩივრებისთვის განკუთვნილ დარბაზში.

21.5. გასაჩივრებისთვის განკუთვნილ

დარბაზში, აპლიკანტებისა და დამკვირვებლების გარდა, სხვა პირთა დაშვება აკრძალულია.

22. გასაჩივრების ვადები

22.1 გამოცდის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს სამივე სპეციალიზაციის გამოცდების დამთავრებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში, დილის 11:00 საათიდან 17:00 საათამდე, თუ ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიერ სხვა ვადა არ არის დადგენილი.

22.2. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება.

23. საჩივრის ფორმა

23.1. გასაჩივრების მიზნით ივსება ელექტრონული განაცხადი, დადგენილი ფორმით, რომელსაც თან დაერთვება დასაბუთებული საჩივარი, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც აპლიკანტი საგამონაკლისო წესით გამოცდას აბარებს წერილობით.

23.2 განაცხადი საჩივართან ერთად განსახილველად გადაეცემა სამართლის ექსპერტთა ჯგუფს, რომელიც 4 კვირის განმავლობაში განიხილავს შემოსულ საჩივარს.

24. გასაჩივრების მონიტორინგი

გასაჩივრების პროცესის მონიტორინგს ახორციელებს ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი, სპეციალურად გამოყოფილი დამკვირვებლების მეთვალყურეობით.

25. ექსპერტთა ჯგუფი

25.1. ექსპერტთა ჯგუფის წევრთა ვინაობა საჩივრის შედეგების გამოქვეყნებამდე კონფიდენციალურია.

25.2. ექსპერტები არ განიხილავენ საჩივარს აპლიკანტის მიერ დაშვებული მექანიკური შეცდომების შესახებ.

25.3. საჩივარი განიხილება საჩივრის ავტორის გარეშე.

25.4. ექსპერტთა დასკვნა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, კანონით დადგენილი წესით.

26. გასაჩივრების შედეგი

გასაჩივრების პროცესის დასრულების შემდეგ, შედეგები გამოქვეყნდება ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და სასწავლო ცენტრის ოფისებში.

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსების დებულება

მუხლი 1. მოსამზადებელი კურსების მნიშვნელობა

1.1. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსები არის ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული სასწავლო პროცესი, რომელიც აძლევს შესაძლებლობას ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველებს, სიღრმისეულად შეისწავლონ საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული სამართლის დარგები და საგამოცდო კითხვების ამოხსნის მეთოდოლოგია.

1.2. მოსამზადებელ კურსებზე მონაწილეებისთვის, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდას ადვოკატთა ასოციაციაში განვერძიანების წელს, არ არის სავალდებულო, დაესწრონ განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებს.

მუხლი 2. მოსამზადებელი კურსების ორგანიზატორი

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელ კურსებს ორგანიზებას უწევს ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი.

მუხლის 3. მოსამზადებელი კურსების განხორციელების სისტემა

3.1. კურსებზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული საგამოცდო პროგრამის მიხედვით.

3.2. ლექციები ტარდება წინასწარ განსაზღვრული განრიგის მიხედვით.

3.3. სწავლება ხორციელდება შესაბამისი სპეციალიზაციის განხრით.

3.4. მოსამზადებელი კურსების მიმდინარეობის პერიოდში მონაწილეებს უტარდებათ იმპროვიზებული გამოცდები კურსების პროგრამით გათვალისწინებულ ყველა საგანში.

3.5. იმპროვიზებულ გამოცდებს მონაწილეები აბარებენ კურსებისათვის შედგენილი სავარჯიშო კითხვების

მეშვეობით და ისეთივე პრინციპით, როგორც საკვალიფიკაციო გამოცდას.

მუხლი 4. მოსამზადებელი კურსებისთვის მონვეული ექსპერტები

4.1. კურსებზე ლექციებს კითხულობენ მონვეული ან კონკურსის შედეგად შერჩეული ექსპერტები.

4.2. კონკურსის შემთხვევაში, კურსების დაწყებამდე ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი აცხადებს ექსპერტთა შესარჩევ კონკურსს.

მუხლი 5. კურსებზე რეგისტრაცია

5.1. კურსებზე მონაწილეობის უფლება ეძლევა დაინტერესებულ პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და ფლობს სახელმწიფო ენას. კურსებზე შესაძლებელია დარეგისტრირდეს, როგორც ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის მონაწილე, ისე სხვა დაინტერესებული პირი.

5.2. კურსებზე დარეგისტრირების მსურველმა, ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრში, უნდა წარმოადგინოს შევსებული აპლიკაცია და კურსის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

მუხლი 6. კურსის საფასური

კურსებზე დასწრება ფასიანია, კურსის საფასურს განსაზღვრავს ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი.

მუხლი 7. კურსებზე მონაწილეობა ხელმეორედ

კურსებზე მონაწილეობის უფლება დაინტერესებულ პირს ეძლევა შეუზღუდავად.

მუხლი 8. კურსებზე ლექციების რაოდენობა და პერიოდულობა

საგამოცდო პროგრამის მოცულობის გათვალისწინებით, ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი განსაზღვრავს მოსამზადებელ კურსებზე ლექციების რაოდენობას და, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების პერიოდულობის გათვალისწინებით, მოსამზადებელი კურსების განრიგს.

ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს დებულება

ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭო (შემდგომში „საბჭო“) არის ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს სათათბირო ორგანო, რომელიც შეიმუშავებს საგანმანათლებლო სტრატეგიას, პროფესიაში მიღების და განგრძობადი იურიდიული განათლების სტანდარტების/ წესების შესახებ რეკომენდაციებს და წარუდგენს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს განსახილველად, ასევე ზედამხედველობს სასწავლო ცენტრის საქმიანობას, განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და პრიორიტეტებს.

მუხლი 1. საგანმანათლებლო საბჭოს შექმნის და დაკომპლექტების წესი

1.1 საგანმანათლებლო საბჭო შედგება 7 წევრისგან, კერძოდ, საბჭოში თანამდებობრივად (ex-officio) შედის აღმასრულებელი საბჭოს საგანმანათლებლო მიმართულების კოორდინატორი/ხელმძღვანელი წევრი და აღმასრულებელი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი/ხელმძღვანელი წევრი.

1.2. საგანმანათლებლო საბჭოს დარჩენილ 5 წევრს, ადვოკატთა პროფესიის წინაშე მდგარი გამოწვევების და სტრატეგიული განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, ირჩევს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო. ასეთი წევრი უნდა იყოს იურიდიულ პროფესიაში მოღვაწე, მაღალი რეპუტაციის მქონე, სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტი.

1.3. საგანმანათლებლო საბჭოს წევრები აირჩევიან 2 წლის ვადით და მათი უფლებამოსილების ვადა გრძელდება ახალი წევრების არჩევამდე.

1.4. აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაირჩიოს (გამოიწვიოს) საგანმანათლებლო საბჭოს ერთი ან რამდენიმე წევრი.

1.5. საგანმანათლებლო საბჭოს წევრობის შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) ადვოკატის ან ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა;
- გ) კანონით და წესდებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

საგანმანათლებლო საბჭოს ფუნქციები

მუხლი 2. საგანმანათლებლო საბჭო და აღმასრულებელი საბჭო

საგანმანათლებლო საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს და დასამტკიცებლად წარუდგენს აღმასრულებელ საბჭოს შემდეგ საკითხებზე:

- პროფესიაში მიღების სტანდარტები და წესები;
- ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო სტრატეგია;
- განგრძობადი იურიდიული განათლების პოლიტიკა და მონიტორინგი;
- სავალდებულო კრედიტ-საათების რაოდენობა;
- სასწავლო ცენტრის საქმიანობის პრინციპები და მონიტორინგი;
- სასწავლო ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები მიმდინარე წლისთვის.
- სასწავლო პროგრამები და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და ინსტიტუციონალური

აკრედიტაცია.

- ადვოკატთა ასოციაციის სტრატეგიული პარტნიორების განსაზღვრა საგანმანათლებლო მიმართულებით.
- საერთაშორისო და ლოკალური საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება.

მუხლი 3. საგანმანათლებლო საბჭო და ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი

საგანმანათლებლო საბჭო ზედამხედველობას უწევს სასწავლო ცენტრს შემდეგი საქმიანობის განხორციელებისას:

- აკრედიტებული საგანმანათლებლო ღონისძიებების მონიტორინგი;
- ექსპერტების/ტრენერების შერჩევის კრიტერიუმების დადგენა;
- ტრენერთა/სპიკერთა შესარჩევი კონკურსები;
- კვლევები და სტატისტიკური მონაცემები;
- ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ხარისხის უზრუნველყოფა;
- ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებზე გამოვლენილი ხარვეზიანი ტესტების განხილვა.

მუხლი 4. საგანმანათლებლო საბჭოს საქმიანობის წესი

4.1. საბჭოს სხდომას კოორდინაციას უწევს, თავმჯდომარეობს და შესაბამის ოქმს ადგენს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს საგანმანათლებლო მიმართულების კურატორი /ex-officio წევრი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობების

კოორდინატორი / ex-officio წევრი, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში საბჭო თავად ირჩევს სხდომის წამყვან პირს.

4.2. საგანმანათლებლო საბჭოს სხდომებს განსაზღვრული დღის წესრიგით იწვევს აღმასრულებელი საბჭოს საგანმანათლებლო მიმართულების კოორდინატორი / ex-officio წევრი, ან საგანმანათლებლო საბჭოს მინიმუმ 3 წევრი.

4.3. საგანმანათლებლო საბჭო იკრიბება მინიმუმ თვეში ერთხელ და განიხილავს დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხებს; დღის წესრიგში დამატების შეტანის უფლება აქვს საგანმანათლებლო საბჭოს წებისმიერ წევრს.

4.4. საგანმანათლებლო საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება 4 ან მეტი წევრი, ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

4.5. საგანმანათლებლო საბჭოს სხდომებში მონაწილეობა შესაძლებელია პირადად ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რაც იძლევა მონაწილე პირის იდენტიფიკაციის საშუალებას

4.6. საგანმანათლებლო საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება წერილობით და მას ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე.

4.7. საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საბჭო აირჩევს დროებით შემცვლელს, რომელიც თავმჯდომარის ფუნქციებს განახორციელებს სხდომაზე ან გარკვეული პერიოდით.

ინტერვიუ იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე

ელზა ლეშაკაშელთან



2014 წლის 26 იანვრიდან იურიდიული დახმარების სამსახური დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდა. ამჟვე საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, 27 იანვრიდან საქმიანობას შეუდგა 9-წევრიანი იურიდიული დახმარების საბჭო, რომლის თავმჯდომარედ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი ელზა ლეშაკაშელი აირჩიეს.

იურიდიული დახმარების სამსახური მოსახლეობას უფასო საადვოკატო მომსახურებასა და სამართლებრივ

კონსულტაციებს 2007 წლიდან უწევს. დღე-სათვის სამსახურში 162 პირი, მათ შორის, 86

ადვოკატია დასაქმებული. სამსახურს 11 ბიურო და 6 საკონსულტაციო ცენტრი აქვს.

იურიდიული დახმარების სამსახურის სტრუქტურასა და სამომავლო გეგმებზე, იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარეს ელზა ლეშაკაშელს ვესაუბრეთ.

როდის და როგორ დაიწყო იურიდიული დახმარების სამსახურმა მუშაობა?

იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა დაიწყო 2007 წელს, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“. კანონის საფუძველზე 2007 წელსვე იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შეიქმნა იურიდიული დახმარების სამსახური. შემდგომ, 2009 წლის 1 თებერვლიდან, იურიდიული დახმარების სამსახური, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, შევიდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა

და პრობაციის მმართველობის სფეროში. ზემოთმოყვანილმა 2-წლიანმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ სახელმწიფო უფასო იურიდიული დახმარება ვერ იქცა ეფექტურ დამოუკიდებელ სისტემად, მიუხედავად იმისა, რომ „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონში არაერთი ცვლილება განხორციელდა.

რამ შექმნა ეს სირთულე?

სახელმწიფო იურიდიული დახმარება ვერ იქცა ეფექტურ და დამოუკიდებელ სისტემად, რომელიც გამოირიცხავდა ინდივიდუალურ საქმეებში სახელმწიფოს ჩარევის შესაძლებლობას. საზოგადოებაში იბადებოდა საკმაოდ

ლოგიკური ეჭვი. შეიქმნა ინტერესთა კონფლიქტი. ეს კი იმ ფაქტობრივი გარემოების გამო, რომ სახელმწიფო, კერძოდ კი, სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, თვითონ ასრულებდა როგორც გამოძიების, ასევე დაცვის ფუნქციასაც. ეს კითხვებს და დისკომფორტს არა მხოლოდ მოქალაქეებს, არამედ ასევე ადვოკატებსაც უჩენდა.

როგორ გამოხვედით ამ სიტუაციიდან?

ვინაიდან ქართული გამოცდილება ნაკლებად არსებობდა და არსებულმა მოდელმა თავიდან არ გაამართლა, მივედეთ 2012 წლის 18 ოქტომბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მესამე კომიტეტზე მიღებულ იურიდიული დახმარების სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლის შესაბამისად იურიდიული დახმარების სისტემა გადაწყვეტილებების მიღებისას უნდა იყოს მთავრობისგან დამოუკიდებელი და არ უნდა ექვემდებარებოდეს რომელიმე პირისა თუ ორგანოს კონტროლს. მიიღეს გადაწყვეტილება, რომ იურიდიული დახმარების სამსახური, როგორც დამოუკიდებელი ორგანო, გამოყოფოდა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს. აღნიშნული რეფორმა ძალაში შევიდა 2014 წლის 26 იანვარს. ამ მომენტისათვის იურიდიული დახმარების ორგანო წარმოადგენს დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. სამსახური ანგარიშვალდებული იქნება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე.

რა არის უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის ფუნქცია?

იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს ბრალდებულის, მსჯავდებულისა და გამართლებულის

ეფექტურ დაცვას, ქვეყნის მასშტაბით გაცემს ხელმისაწვდომ იურიდიულ კონსულტაციებს, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას უწევს წარმომადგენლობას განსაზღვრულ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, ხელს უწყობს შეჭიბრობითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვას, მონაწილეობს საკანონმდებლო პროექტების განხილვაში, რომლებიც უკავშირდება დაცვის უფლებას. იურიდიული დახმარების სამსახური ემსახურება ბრალდებულებს, მსჯავრდებულებსა და გამართლებულებს სისხლის სამართლის საქმეებზე, ასევე ისეთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, რომლის დროსაც სახდელის სახით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა.

როგორია საბჭოს შემადგენლობა?

იურიდიული დამხმარების საბჭო არის კოლევგიური ორგანო, რომელიც დაკომპლექტებულია ხელისუფლების სხვადასხვა შტოების, სახალხო დამცველის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, თავად იურიდიული დახმარების სამსახურისა და უფლებადამცველი ორგანიზაციებისაგან. საბჭო შედგება 9 წევრისგან, რომელთაგანაც 3 წევრი არჩეულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ, შემდგომ 3 წევრს ირჩევს საქართველოს სახალხო დამცველი, ხოლო თითო-თითო წევრს ირჩევენ იურიდიული დახმარების ბიუროები, იუსტიციის მინისტრი და იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

არსებობს თუ არა ხარვეზები და როგორ აპირებთ მათ გამოსწორებას?

ხარვეზი, როგორც ასეთი, ისაა, რომ გვინდა უფრო მეტ ადამიანს გავაგებინოთ, რომ არსებობს მსგავსი იურიდიული დახმარების სამსახური,

ასევე, ტექნიკურ ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ინფრასტრუქტურა, ჩვენ გვინდა, რომ დახმარება ყველასათვის ხელმისაწვდომი და კომფორტული იყოს, ეს აუცილებელია. ასევე, ხშირად ვაწყდებით პრობლემას, როდესაც ჩვენთან მოდის ადამიანი, რომელიც რეალურად წარმოადგენს სოციალურად დაუცველს, მას არ აქვს საშუალება, ჰყავდეს კერძო ადვოკატი, თუმცა ვინაიდან სოციალურად დაუცველთა სიაში რაღაც მიზეზების გამო ვერ მოხვდა, მას ვერ ვეხმარებით და მხოლოდ კონსულტაციით შემოვიფარგლებით ხოლმე.

როგორია იურიდიული სამსახურის სამომავლო გეგმები?

მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით გაგრძელდება

თანამშრომელთა პროფესიული გადამზადება, ასევე აუცილებელია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, რისთვისაც დაგეგმილია გასვლითი კონსულტაციების ორგანიზება და სხვადასხვა პროექტების განხორციელება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმისათვის, რომ იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა გაიზარდოს, აუცილებელია ინფრასტრუქტურის განვითარება, ამასთან, მოქალაქეს, რომელიც ჩვენ მოგვმართავს, ადგილზე ღირსეული გარემო დახვდეს. ასევე, აუცილებელია, რომ ყველა თანამშრომელს ჰქონდეს ისეთი პირობები, როგორიც აუცილებელია მათი კვალიფიციური და პროფესიონალური სამუშაოს შესრულებისთვის.



**ინტერვიუ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს წევრთან**

ირაკლი ყანდაშვილთან

**(სასწავლო პროგრამებისა და განგრძობადი
იურიდიული განათლების ხელმძღვანელი)**



კითხვა: განგრძობადი იურიდიული განათლება პრიორიტეტია ადვოკატთა ასოციაციისათვის, რომელიც უკვე ორი წელია წარმატებით მიმდინარეობს. თქვენ 2013 წლის დეკემბერში იყავით არჩეული ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრად, ასევე ხართ ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს წევრი, თქვენ წარმოადგინეთ საკმაოდ საინტერესო ხედვები და კონცეფცია ადვოკატთა პროფესიის ინსტიტუციურ განვითარებასა და განათლებასთან დაკავშირებით. თუ შეიძლება, გვიამბეთ ამის შესახებ?

- ადვოკატთა პროფესია განვითარების ახალ ეტაპზე გადადის, კერძოდ, ძალზე მნიშვნელოვანია პროფესიის ინსტიტუციური გაძლიერება და ასოციაციისთვის იმ ადგილის დამკვიდრება, რომელიც მას ეკუთვნის. ვგულისხმობ იმას, რომ ადვოკატთა კორპუსის ხმა უნდა ისმოდეს ყველგან, კიდევ უფრო ხმამაღლა და კონსტრუქციულად, განსაკუთრებით, მართლმსაჯულების რეფორმის პროცესში, გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატი არის მართლმსაჯულების დიდი ოჯახის შემადგენელი ერთი ნაწილი, და რომ არა ძლიერი ადვოკატთა კორპუსი, განვითარებული, ხარისხიანი და სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფაზე ზედმეტია ლაპარაკი. ადვოკატთა ასოციაცია აუცილებლად უნდა ჩაერთოს საკანონმდებლო ორგანოსთან მჭიდრო თანამშრომლობის

ფერხულში, ადვოკატთა კორპუსის პოზიციის გათვალისწინების გარეშე არ უნდა შედიოდეს ცვლილება არც ერთ კანონში, რომელიც მართლმსაჯულებას, პროცესუალურ საკითხებს ეხება. ეს გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატი არის ის მომხმარებელი, რომელიც კანონმდებლობას საზოგადოების სასარგებლოდ მოიხმარს და ამ ყველაფრის საბოლოო ბენეფიციარნი მოქალაქეები არიან. მოქალაქეების ინტერესების კიდევ უფრო უკეთ დაცვას ესაჭიროება ის, რომ ადვოკატთა კორპუსი უნდა განვითარდეს და, ასევე, ყველა დონეზე უნდა მოხდეს მისი ინსტიტუციონალური აღიარება. სწორედ ეს სჭირდება დღეს ქვეყნის კიდევ უფრო დემოკრატიულ განვითარებას. მეტად მნიშვნელოვანია ადვოკატთა სოციალური და პროცესუალური გარანტიების კანონის დონეზე გამყარება და განმტკიცება. მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატის უფლებები პირველ რიგში იქნეს სათანადოდ დაცული და გარანტირებული, რათა პრეტენზია გვექონდეს სხვათა უფლებების დაცვაზე.

ჩვენს პროფესიას ხარისხიანი მართლმსაჯულების შექმნაში უდიდესი როლი და ადგილი უკავია. შესაბამისად, ამ მხრივ, ადვოკატთა საგანმანათლებლო პროგრამებს ორმაგი დატვირთვა აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ ასოციაციის დონორთა დახმარებით ამოქმედდა საქართველოში განგრძობადი იურიდიული განათლების

პროგრამა, რისთვისაც თითოეულ დონორს, განსაკუთრებით კი, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ეგიდით მოქმედ JILEP-ს დიდ მადლობას ვუხდით, რომლის უშუალო მხარდაჭერითაც ამოქმედდა ეს პროგრამა. 2012 წელს ამოქმედდა სავალდებულო განგრძობადი იურიდიული განათლების ინსტიტუტი ქართველი ადვოკატებისათვის, წლიდან წლამდე სავალდებულო კრედიტ-საათების საჭიროება იზრდებოდა, კერძოდ, დავიწყეთ 6 სავალდებულო კრედიტ-საათით და დღეს უკვე თითოეული ადვოკატი 12 კრედიტ-საათს გაივლის განგრძობადი განათლების ფარგლებში. ადვოკატებს წელს პირველად მოუწევთ კრედიტ-საათების მაქსიმუმის დაგროვება. შესაბამისად, ადვოკატთა ასოციაციაც მეტად მობილიზებული და კიდევ უფრო მეტად მონოღებულია იმისათვის, რომ ამ გამოწვევას ღირსეულად დახვდეს და შეძლოს და თითოეულ ადვოკატს აღნიშნული ოდენობის სასწავლო პროგრამები შესთავაზოს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ასოციაციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებული და კარგად დაგეგმილი სამუშაო პროცესი, რაც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ადვოკატთათვის სასწავლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების უწყვეტობას. ამ მხრივ, მადლობა უნდა ვუთხრათ ასოციაციის წევრებისათვის ტრენინგების განმახორციელებელ არა ერთ ქართულ თუ უცხოურ ორგანიზაციას: აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტს (JILEP), ამერიკის იურისტთა ასოციაციას (ABA), ევროკავშირის პროექტს საქართველოში, ევროპის საბჭოს წარმომადგენლობას, გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისს საქართველოში (OHCHR), გაეროს ბავშვთა ფონდს,

UNWOMEN-ის პროექტს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდს (GIZ), საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანულ ფონდს (IRZ), ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამას, ადვოკატთა პროფესიულ გაერთიანებას „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის“ (GLIP), ადვოკატთა სკოლას.

უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატთა ასოციაციას გაფორმებული აქვს ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი 12 უმაღლეს სასწავლო დაწესებულებასთან და ინტენსიურად თანამშრომლობს მათთან, რათა ქართველ ადვოკატებს კვალიფიციური და შინაარსობრივად მდიდარი სასწავლო პროგრამები შევთავაზოთ. 2014 წლიდან ვგეგმავთ, რომ უფრო გავალრმავოთ თანამშრომლობა უნივერსიტეტებთან, ვგეგმავთ მათთან ერთად კონკრეტული ერთობლივი პროექტების განხორციელებას.

ადვოკატთა ასოციაცია კიდევ უფრო მჭიდროდ თანამშრომლობას აპირებს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, რომლებიც ქართულ რეალობაში აქტიურად ეწევიან საგანმანათლებლო საქმიანობას, რათა ისინი კიდევ უფრო მეტად ჩაერთონ საგანმანათლებლო პროექტებში.

კითხვა: საქართველოში არსებობს რამდენიმე იურიდიული სკოლა, რომლებიც ამზადებენ როგორც ადვოკატებს, ასევე პროკურორებსა და მოსამართლეებს. თვლით თუ არა, რომ ერთობლივად უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს საგანმანათლებლო პროექტები?

- მეტად მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატებს ხშირი და ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდეთ სასამართლო სისტემის წარმომადგენლებთან, ასევე სახელმწიფო ბრალდების მხარესთან.

ამ ეტაპამდე არ განხორციელებულა ერთობლივი სასწავლო ღონისძიებები, თუმცა ეს აუცილებელია ჰარმონიული განვითარებისათვის. არაფერია ცუდი იმაში, თუკი ადვოკატებს საშუალება გვქნება, მოსამართლეებთან ერთად, სემინარებსა თუ მრგვალი მაგიდის ფარგლებში, ვიმსჯელოთ სამართლებრივი ინსტიტუტების თეორიულ საკითხებზე, ასევე, გავანალიზოთ სასამართლო პრაქტიკის საკითხები. მხოლოდ ასე თუ მოხდება სტანდარტების უნიფიცირება და რიგ საკითხებზე ერთიანი ხედვების შემუშავება, მინიმუმ – ხედვების დაახლოება. ეს პროცესი დასაწყება და ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯები უახლოეს მომავალში ადვოკატთა ასოციაციის ინიციატივით უნდა გადაიდგას.

კითხვა: რა წინაპირობები უძღოდა ადვოკატთა ასოციაციის ახალი საგანმანათლებლო საბჭოს დაკომპლექტებას და რას ელოდებით ამ საბჭოსგან?

- ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭო დაკომპლექტდა ადვოკატთა პროფესიის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და სტრატეგიული განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე. საგანმანათლებლო საბჭოს ახალი დებულების თანახმად, საბჭოს წევრები აირჩევიან აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2 წლის ვადით, ნაცვლად 5 წლისა. საბჭოს მთავარი ფუნქციებია: ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოსათვის რეკომენდაციების მიცემა ისეთ საჭირობებზე, როგორცაა ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო სტრატეგია, განვრცობადი იურიდიული განათლების პოლიტიკა და მონიტორინგი; პროფესიაში მიღების სტანდარტებისა და წესების განსაზღვრა და სხვ. საბჭო დაკომპლექტებულია იურიდიულ პროფესიაში მოღვაწე მაღალი

რეპუტაციის მქონე, სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტებისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საბჭოში თავად აღმასრულებელი საბჭოს წევრების ჩართულობა ex-officio წევრის სტატუსის სახით სიმბოლურ დატვირთვას ატარებს. პირველად ხდება, როდესაც სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებიც ერთვებიან ჩვენს პროფესიაში, კერძოდ, საბჭოში არჩეულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე. საბჭოში არჩეული იქნა ასევე მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის არამოსამართლე წევრიც. ეს კი უნდა გახდეს წინაპირობა იმისა, რომ ერთობლივად შემუშავდეს სასამართლო სისტემასთან ერთობლივი სტანდარტები და დაიგეგმოს არაერთი ერთობლივი სასწავლო ღონისძიება.

კითხვა: როგორ შეაფასებდით პროფესიის წინაშე მდგარ გამოწვევებს?

- ჩვენს პროფესიას სჭირდება ინსტიტუციური განვითარება და იმ ფუნქციის დაბეჭვება, რომელიც ყველა ნორმალურ დემოკრატიაში ადვოკატთა კორპუსს ეკუთვნის. არ იქნება მართებული, თუ განვლილი ოთხი წლის გამოწვევებს შევადარებთ წლევანდელი გადმოსახედიდან პროფესიის წინაშე მდგარ გამოწვევებს, რადგან იმ დროს დღის წესრიგში, შეიძლება ითქვას, პროფესიის ყოფნა–არყოფნის საკითხი იდგა. პროფესიას მაშინ სხვა პრიორიტეტები გააჩნდა, რასაც ასოციაციამ გაუძლო და დღევანდლამდეც მოვედით. დღეს განსხვავებული გამოწვევებია პროფესიის წინაშე და არსებული რეალობის გათვალისწინებით უნდა გადავდგათ ნაბიჯები, რათა ამ პროფესიას საზოგადოების თვალში კიდევ უფრო მეტი დაფასება და ნდობა შევძინოთ. ამ დიდ საქმეში თითოეული ადვოკატის როლი მნიშვნელოვანია. დღევანდელი ყოველდღიური საქმიანობით უნდა შევქმნათ პროფესიის ხვალისდელი დღე.



ინტერვიუ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრთან

დავით ასათიანთან

(საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის მიმართულების ხელმძღვანელი)

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

განვითარების ახალი ეტაპი ახალი აღმასრულებელი საბჭოს მოსვლით დაიწყო, რას ნიშნავს ეს, როგორია დასაწყისი და სამომავლო პერსპექტივა და მოლოდინი?

უპირველესად, მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში რამდენიმე მიმართულებით დაიწყო განვითარების პროცესი. განსაკუთრებით გამოვყოფდი ადვოკატთა უფლებების დაცვას, სავალდებულო გაგნგრძობადი იურიდიული განათლების სისტემის დანერგვას და ეთიკის კომისიის საქმიანობის გაძლიერებას. აღნიშნული მიმართულებების რეფორმა დადებით შეფასებას იმსახურებს, რისთვისაც ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი ამ პროცესში ჩართულ ყველა ჩვენს კოლეგას და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციას, რომელთა დახმარების გარეშე რთული იქნებოდა პროგრესის მიღწევა. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს ახალი შემადგენლობისა და ხელახლა არჩეული თავმჯდომარის საერთო პოზიციაა, რომ შევინარჩუნოთ მიღწეული და, ამასთან, შეუქცევადი გავხადოთ ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციური გაძლიერება. ამასთან, ვფიქრობთ, გავაღრმავოთ და თვისობრივად ახალ საფეხურზე

ავიყვანოთ დაწყებული რეფორმები, რათა რეფორმის შედეგები თვალსაჩინო გახდეს არა მარტო ადვოკატებისათვის, არამედ ჩვენი მომხმარებლებისა და მთლიანად საზოგადოებისათვის. საერთოდ, ადვოკატის ინსტიტუტისადმი ნდობის ამაღლება ჩვენი საქმიანობის მთავარი მიმართულება იქნება. სწორედ, ამ კონტექსტში განვიხილავთ ადვოკატის კვალიფიკაციის ამაღლებისა და მაღალი ეთიკური სტანდარტების დამკვიდრების აუცილებლობას. საადვოკატო საქმიანობა, როგორც რეგულირებადი პროფესია, გვავალდებულებს, მუდმივად ვიზრუნოთ ჩვენი კვალიფიკაციისა და ეთიკური ქცევის სტანდარტების ამაღლებისათვის, რაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყოველი დაინტერესებული ადვოკატისათვის მთელი საქართველოს მასშტაბით. შემთხვევით არ ვახსენებ მთელი საქართველო, რადგან რეგიონში მომუშავე ადვოკატების უფრო აქტიური ჩართულობა და მათთვის სპეციალური პროექტების განხორციელება, ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება მომდევნო 4 წლის განმავლობაში. ვაპირებთ, აქტიურად ვიმოქმედოთ ადვოკატის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფისათვის. ადვოკატის პროფესიაში მიღების მოთხოვნების რეგლამენტაცია და ადვოკატის სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება ის მნიშვნელოვანი საკითხებია, რომლებიც ახლებურად

გააზრებას საჭიროებს. ჩვენ უნდა გვეტონდეს ისეთი რეგულაციები, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი არაკვალიფიციური, შემთხვევითი და უღირსი იურისტების ადვოკატის პროფესიაში მოხვედრის შესაძლებლობა, ხოლო თუ ასეთი ადამიანები მაინც აღმოჩნდებიან ადვოკატთა კორპუსში, ავამოქმედოთ ეფექტური დისციპლინური მექანიზმები, რათა კანონდარღვევის შემთხვევაში მოხდეს ადექვატური და სამართლიანი რეაგირება. ასევე, აუცილებლად მიგვაჩნია, ადვოკატის სამართლებრივი გარანტიებისა და საპროცესო უფლებების საკანონმდებლო სრულყოფა, რათა ბოლომდე იყოს უზრუნველყოფილი ადვოკატის დამოუკიდებლობა, მის საქმიანობაში ჩაურევლობა, პროფესიული დაცულობა და კლიენტის ინტერესების ეფექტურად დაცვის უფლება. მიმაჩნია, რომ აღნიშნული უფლებები და გარანტიები არა ადვოკატის პრივილეგიად უნდა იქნეს მიჩნეული, არამედ საადვოკატო საქმიანობის მომხმარებლის, დაცვის ქვეშ მყოფი პირისა და მთლიანად საზოგადოების ინტერესად.

2. ბატონო დავით, ადვოკატთა ასოციაციაში თქვენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობებს ხელმძღვანელობთ. ადვოკატთა ასოციაციას მდიდარი გამოცდილება აქვს საერთაშორისო ურთიერთობების მხრივ, როგორია თქვენი ხედვა, როგორი ფორმატით და პრიორიტეტებით უნდა გაგრძელდეს და გაფართოვდეს ეს ურთიერთობები?


საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ჩვენს უცხოელ მეგობრებს დიდი წვლილი მიუძღვით ადვოკატთა ასოციაციის განვითარებაში, ასოციაციის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში. ამ მხრივ, გამოვყოფდი

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მნიშვნელოვან მხარდაჭერას ასოციაციის დაფუძნების დღიდან დღემდე. ამ პროცესში აქტიურად იყო და არის ჩართული ამერიკის იურისტთა ასოციაცია (ABA) და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI). ასევე, უმნიშვნელოვანესია ევროპის კავშირთან და ევროპის საბჭოსთან ადვოკატთა ასოციაციის თანამშრომლობა, რომელიც ნაყოფიერად ვითარდება. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია უკვე რამდენიმე წელია, ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საზოგადოებების საბჭოს (CCBE) აქტიური წევრია, ორგანიზაციისა, რომელიც მილიონზე მეტი ადვოკატის ინტერესებს წარმოადგენს ევროპის მასშტაბით. ჩვენი ასოციაცია, აგრეთვე, განწევრიანდა ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციაში (IBA). მალე შევიტანთ განაცხადს ადვოკატთა საერთაშორისო კავშირში (UIA) განწევრიანებაზე. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ნაყოფიერად თანამშრომლობს გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP), გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) და გაეროს ქალთა ფონდთან (UNIFEM). ამასთან, მომდევნო 4 წლის განმავლობაში ვგეგმავთ მჭიდრო ორმხრივი თანამშრომლობის დამყარებას როგორც კავკასიის რეგიონის ადვოკატთა ორგანიზაციებთან, ასევე, შავი ზღვის აუზის ქვეყნების, ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ადვოკატთა გაერთიანებებთან. ვფიქრობთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებში ადვოკატთა ასოციაციის შემდგომი ინტეგრაცია და მეგობარ ასოციაციებთან ორმხრივი ურთიერთობების გაძლიერება ხელს შეუწყობს ჩვენი ასოციაციის ინსტიტუციონალურ განვითარებასა და დამოუკიდებლობას.

3. რა ფორმატი იგეგმება არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობა?

არასამთავრობო სექტორთან ადვოკატთა ასოციაციის თანამშრომლობა ის სფეროა, რომელიც ინტენსიურ განვითარებას საჭიროებს. ვფიქრობთ, რომ ადვოკატთა ასოციაცია უფრო აქტიურად უნდა იყოს ჩართული ქვეყნის სამართლებრივ სფეროში მიმდინარე მოვლენებში. ადვოკატთა ხმა განსაკუთრებით ძალუმად მართლმსაჯულების რეფორმის პროცესში უნდა ისმოდეს. ჩვენ, ადვოკატებს, როგორც მართლმსაჯულების პროცესის სპეციფიკურ სუბიექტებს, კლიენტების ინტერესების დაცვასთან ერთად, გაგვაჩნია ჩვენი წილი პასუხისმგებლობა ხარისხიან მართლმსაჯულებაზე. ამდენად, დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბება - ადვოკატების სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს. აღმასრულებელი საბჭოს ახალი შემადგენლობა მომდევნო 4 წლის განმავლობაში აქტიურ მონაწილეობას გეგმავს ქვეყანაში მიმდინარე სასამართლო, და ზოგადად, მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების პროცესში. ასოციაცია აქტიურად ჩაერთვება საკანონმდებლო პროცესშიც. სამწუხაროდ, ბოლო წლებში ადვოკატთა ასოციაცია ნაკლებად მონაწილეობდა მნიშვნელოვანი

საკანონმდებლო აქტების განხილვის პროცესში და ხშირად პოსტ-ფაქტუმ უხდებოდა ამა თუ იმ სამართლებრივ საკითხზე რეაგირება, რაც ნორმალურ მოვლენად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული. ჩვენ ვგეგმავთ, აქტიურად ავამოქმედოთ ასოციაციის მუდმივმოქმედი კომიტეტები სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე, ისევე, როგორც კომერციული სამართლის და ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიები, რომელთა მეშვეობითაც თავიდანვე ვიქნებით ჩართული საკანონმდებლო პროცესში და მაქსიმალურ ძალისხმევას მივმართავთ მატერიალური თუ საპროცესო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისათვის. ადვოკატთა ასოციაცია გეგმავს, გაააქტიუროს საქმიანობა კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულების“ ფარგლებში, რომელიც 30-ზე მეტ ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციას აერთიანებს და რომლის დამფუძნებელი წევრი ადვოკატთა ასოციაციაცაა. მართლმსაჯულების პროექტების ფარგლებში, ასევე, დაგეგმილია მოსამართლეთა კორპუსთან და მოსამართლეთა თვითმმართველ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა, როგორც მართლმსაჯულების გაძლიერების, სამართლის უზენაესობის დამკვიდრების, ისე - ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების სფეროში.



ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება

მოკლე მიმოხილვა

საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლს, კონკრეტულად კი, გამომხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხს. სასამართლომ განიხილა დეფამაციის საფუძველზე დაწყებული პროცედურის ლეგიტიმურობა მოსკოვის ადვოკატთა პალატის პრეზიდენტის წინააღმდეგ.

ბატონი რეზნიკი მიწვეული იყო ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში, სადაც უნდა განეხილათ მიხეილ ხოდორკოვსკის დამცველი ქალბატონის ადვოკატთა ასოციაციიდან გარიცხვის მოთხოვნა. აღნიშნული იუსტიციის სამინისტრომ იმ მოტივით მოითხოვა, რომ ადვოკატ ქალბატონს ბ-ნი ხოდორკოვსკისაგან ეთივის კოდექსის დარღვევით უნებართვო მასალა გამოჰქონდა. მოსკოვის ადვოკატთა პალატის პრეზიდენტის განცხადებებით გაკრიტიკებული იყო წინასწარი პატიმრობის დაწესებულებაში მამაკაცი ზედამხედველების ქცევა, რაც ხოდორკოვსკის დამცველ ქალბატონის შეხებაში გამოიხატა.

საქმის განხილვისას სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოებები, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მოსარჩელის

მიერ გამოთქმული პოზიცია არ იძლეოდა კონკრეტული პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. მაშინაც კი, თუკი მოსარჩელის სიტყვებიდან შესაძლებელი იქნებოდა კონკრეტულ პირთა იდენტიფიცირება, ეს ყოველივე მაინც არ გაცდებოდა შეფასებითი მსჯელობის კრიტერიუმებს. შესაბამისად, ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ შეასრულეს საკუთარი ფუნქცია, როდესაც განცხადება დეფამაციის აქტს დაუკავშირეს.

სასამართლომ, ასევე, მიიჩნია, რომ სანქცია, რომელიც მოსარჩელეს დაეკისრა, შეუსაბამო იყო, მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური თვალსაზრისით იგი უმნიშვნელო თანხას (20 რუსულ რუბლს) შეადგენდა. ქალაქ მოსკოვის ადვოკატთა პალატის პრეზიდენტის წინააღმდეგ ცილისწამების ბრალდებით დაწყებულ სამართალწარმოებას შეეძლო უარყოფითი ზეგავლენა მოეხდინა გამომხატვის თავისუფლებაზე. გაითვალისწინა რა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის ხარისხი, სასამართლომ ერთხმად დაადგინა გამომხატვის თავისუფლების დარღვევის ფაქტი.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს

გადაწყვეტილება

რეზნიკი რუსეთის წინააღმდეგ

CASE OF REZNIK v. RUSSIA

(საჩივარი 1 4977/05)

[...]

საქმესთან დაკავშირებული ფაქტები

I. საქმის გარემოებები

5. განმცხადებელი დაიბადა 1938 წელს და ამჟამად ცხოვრობს მოსკოვში. ის ადვოკატი და ამავდროულად არის ქალაქ მოსკოვის ადვოკატთა პალატის პრეზიდენტი.

A. ბ-ნ ხოდარკოვსკის ადვოკატთან დაკავშირებული ინციდენტი

6. 2003 წლის 25 ოქტომბერს ბ-ნი ხოდარკოვსკი, კომპანია „იუკოსის“ თანამფლობელი, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ბრალდებით დააპატიმრეს. 2003 წლის 27 ოქტომბერს ის გადაყვანილ იქნა მოსკოვის სპეციალური დანიშნულების წინასწარი პატიმრობის დაწესებულებაში IZ-99/1 (შემდგომში „საპატიმრო“), რომელიც რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია.

7. 2003 წლის 30 ოქტომბერს ქ-ნი A დათანხმდა სისხლის სამართლის პროცესში ბ-ნი ხოდარკოვსკის იურიდიულ წარმომადგენლობაზე.

8. 2003 წლის 11 ნოემბერს ქ-ნმა A-მ თავისი კლიენტი საპატიმროში მოინახულა. საპატიმროდან გამოსვლისას ის ციხის ინსპექტორმა ბ-ნმა B-მ გააჩერა და ბ-ნი ხოდარკოვსკისაგან უნებართვო მასალის გამოტანაში დაადანაშაულა.

9. იმავე დღეს ჩატარებული პირადი შემოწმების ოქმიდან ჩანს, რომ ბ-ნმა B-მ შეამოწმა ადვოკატი A-ს კუთვნილი ნივთები და ტანსაცმელი და ამოიღო 2 დოკუმენტი: ნაბეჭდი დოკუმენტი, რომელიც ბ-ნი ხოდარკოვსკის

თანაბრალდებულის წინააღმდეგ საქმეს ეხებოდა და დახეული ხელნაწერი. ოქმს ხელს აწერენ ბ-ნი B, ქ-ნი A და ციხის 2 ოფიცერი, რომლებიც ჩხრეკას ესწრებოდნენ. მხარეები თანხმდებიან, რომ ერთ-ერთი მათგანი იყო მამაკაცი (ბ-ნი F); მეორე ოფიცრის ვინაობა და სქესი საკამათო იყო [...]

10. გამომძიებლები ამტკიცებდნენ, რომ ხელნაწერში მოცემული იყო მითითებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ განეხორციელებინათ ზეგავლენა მოწმეებზე და ჩარეულიყვნენ გამოძიების პროცესში. 2003 წლის 22 დეკემბერს იუსტიციის სამინისტრომ ქალაქ მოსკოვის ადვოკატთა პალატას თხოვნით მიმართა ქ-ნი A-თვის საადვოკატო პრაქტიკის განხორციელების უფლებამოსილების ჩამორთმევის შესახებ იმ მოტივით, რომ თითქოს ეს უკანასკნელი მოქმედებდა კანონისა და ადვოკატთა ეთიკის კოდექსის დარღვევით. განმცხადებელმა, ქალაქ მოსკოვის ადვოკატთა პალატის პრეზიდენტმა, საჭაროდ გააკრიტიკა იუსტიციის სამინისტროს ეს მოთხოვნა.

B. სატელევიზიო დისკუსია მომხდარი ინციდენტის შესახებ

11. 2003 წლის 25 დეკემბერს სატელევიზიო არხმა NTV-ემ თოქ-შოუში „ქვეყანა და მსოფლიო“ («Страна и мир»), მიიწვია ბ-ნი ბუკსმენი, იუსტიციის სამინისტროს მოსკოვის დეპარტამენტის დირექტორი. დისკუსიის თემა იყო ქ-ნი A-სთან დაკავშირებით მომხდარი ინციდენტი. დებატები პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა საღამოს 10 საათზე.

12. დისკუსიის პირველი რამდენიმე წუთის განმავლობაში განმცხადებელმა ბ-ნ ბუკსმენს სთხოვა გამოეთქვა საკუთარი მოსაზრება მომხდარი მოვლენების შესახებ და ასევე, საადვოკატო პრაქტიკის განხორციელების უფლების ჩამორთმევის საფუძვლების შესახებ. ბ-ნ ბუკსმენს შევითხვებზე კონკრეტული პასუხები არ გაუცია და განაცხადა, რომ ეს საკითხი მის კომპეტენციას სცილდებოდა.

13. ტელენამყვანმა შემდეგ განმცხადებელს მიმართა კითხვით, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ქალაქ მოსკოვის ადვოკატთა პალატასა და იუსტიციის სამინისტროს, იმის გათვალისწინებით, რომ ურთიერთობა დაძაბული იყო. განმცხადებელმა მათ შორის რაიმე დაძაბულობის არსებობა უარყო და დაამატა:

„მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ განვიხილეთ ადვოკატ A-ს საქმე. ბ-ნი ხოდარკოვსკის მხრიდან რაიმე ჩანაწერის საპატიმროდან გამოტანების მცდელობა არ ყოფილა. არც ჩხრევის საფუძველი არსებობდა, მით უმეტეს, რომ ჩხრევა მამაკაცებმა ჩაატარეს, რომლებიც ქალ ადვოკატს ჩხრევდნენ. უკანონო გზით მოპოვებულ მტკიცებულებას სამართლებრივი ძალა არ გააჩნია. ქ-ნ A-სთან დაკავშირებულ ოქმებში აბსოლუტურად არაფერია ისეთი, რაც მისთვის საქმიანობის განხორციელების უფლების ჩამორთმევის საფუძველი გახდებოდა.“

14. შემდეგ ტელენამყვანმა სიტყვა გადასცა ბ-ნ ბუკსმენს, რომელმაც განაცხადა, რომ მოსკოვის ადვოკატთა პალატასა და იუსტიციის სამინისტროს შორის ნორმალური პროფესიული ურთიერთობა არსებობდა. შოუ დასრულდა.

C. ცილისწამებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების პროცესი

15. 2004 წლის 8 იანვარს წინასწარი პატიმრობის დაწესებულებამ NIZ-99/1 და საპატიმროს ზედამხედველებმა ბ-ნმა B-მ და ბ-ნმა F-მა განმცხადებლის და ტელეკომპანია „NTV“-ს წინააღმდეგ ცილისწამებასთან დაკავშირებული საჩივარი აღძრეს ქალაქ მოსკოვის ჩერემუშინსკის რაიონულ სასამართლოში. მათი მტკიცებით, განმცხადებელი ტყუილად ამტკიცებდა, რომ მამაკაცმა ოფიცრებმა ქ-ნ A-ს სხეულის ჩხრევა განახორციელეს, მაშინ როდესაც, რეალურად, მათ მხოლოდ დოკუმენტები შეუმოწმეს მას. ვინაიდან შიდა კანონმდებლობა ერთმანეთისაგან ასხვავებს „ჩხრეკას“ და „შემოწმებას“, განმცხადებლის მიერ გაკეთებული განცხადება, რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, კანონის დარღვევას უტოლდებდა და ზიანს აყენებდა როგორც საპატიმრო დაწესებულების პროფესიულ რეპუტაციას, ასევე, მისი ოფიცრების პატიოსნებასა და ღირსებას. ისინი არამატერიალური ზიანის აღდგენასა და კომპენსაციას მოითხოვდნენ.

[...]

18. ამავდროულად, 2004 წლის 3 თებერვალს ქალაქ მოსკოვის ადვოკატთა პალატის საბჭომ ოფიციალური უარი განუცხადა სამინისტროს ქ-ნ A-სათვის ადვოკატის საქმიანობის შეჩერების მოთხოვნაზე. საბჭოს დასკვნით, 2003 წლის 11 ნოემბერს ქ-ნ A-ს შემოწმება და მისთვის მასალების ჩამორთმევა არაკანონიერი იყო.

19. 2004 წლის 10 ივნისს რაიონულმა სასამართლომ ცილისწამების საქმესთან დაკავშირებით შემდეგი განჩინება გამოიტანა:

„სასამართლო მოსმენაზე დადგინდა, რომ 2003 წლის 25 დეკემბერს ბ-ნ

ბუკსმენსა და ადვოკატ ბ-ნ რეზნიკს შორის ტელედისკუსია პირდაპირ ეთერში გადაიციემა ტელეარხი „NTV“-ს მიერ. ტელენამყვანებს ბ-ნი ბუკსმენის ან ბ-ნი რეზნიკის კომენტარები არ შეუცვლიათ... ბ-ნი ბუკსმენი ტელენამყვანთან პირდაპირ კავშირზე იყო, ბრალდებული რეზნიკი კი პირადად იმყოფებოდა სტუდიაში. სასამართლოს მიერ შემონმებული ვიდეოჩანაწერიდან ჩანს... რომ ბ-ნი ბუკსმენი და ბრალდებული ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის განცხადებებს აკეთებდნენ. მონაწილეები ერთმანეთს კითხვებს უსვამდნენ და პასუხობდნენ ნამყვანის კითხვებს...

სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდებულის (ბ-ნი რეზნიკის) განცხადებები, უბრალოდ, მისი მოსაზრებები იყო იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომელიც საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა და საჯარო დისკუსიის საგანი იყო იმ დროისათვის. 2003 წლის 25 დეკემბერს ტელეშოუში „ქვეყანა და მსოფლიო“ სახელმწიფო მოხელემ და ადვოკატმა გამართეს დისკუსია, რომლის განმავლობაშიც ერთსა და იმავე მოვლენაზე სხვადასხვა მოსაზრებები გამოთქვეს. [...] ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

20. ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს წინასწარი პატიმრობის დაწესებულებამ, ბატონებმა F-მ და B-მ.

21. 2004 წლის 10 აგვისტოს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ ბათილად სცნო რაიონული სასამართლოს განჩინება და სამივე მოსარჩელის ცილისწამებასთან დაკავშირებული სარჩელი დააკმაყოფილა:

“...რაიონული სასამართლოს დასკვნა, თითქოს ბრალდებულის

მიერ სატელევიზიო პირდაპირ ეთერში გაკეთებული განცხადებები ზიანს არ აყენებდა მოსარჩელების რეპუტაციას, არ არის მართებული. განცხადებებმა ზიანი მიაყენა ციხის ოფიცრების F-ს და B-ს პატივსა და ღირსებას და წინასწარი პატიმრობის დაწესებულების პროფესიულ რეპუტაციას, ვინაიდან ეს განცხადებები შეიცავდა ბრალდებებს იმასთან დაკავშირებით, რომ მამაკაცმა ციხის ოფიცრებმა ქალი ადვოკატი დამამცირებელი ფორმით გაჩხრიკეს...

[...]
კანონმდებლობა
I. კონვენციის მე-10 მუხლის
სავარაუდო დარღვევა

28. განმცხადებლის საჩივარი ეხებოდა კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების უფლების დისპროპორციულ შეზღუდვას.

A. მხარეთა არგუმენტები
1. სახელმწიფო

29. სახელმწიფომ რამდენიმე მიზეზი წარმოადგინა, რის გამოც განმცხადებლის განცხადებები უნდა განეხილათ როგორც ფაქტობრივი ბრალდებები, და არა როგორც ღირებულებითი შეფასებები. მათი აზრით, მნიშვნელოვანი იყო, რომ განმცხადებელმა თოქშოუში მონაწილეობა მიიღო თავისი ოფიციალური უფლებამოსილების ფარგლებში, როგორც ქალაქ მოსკოვის ადვოკატთა პალატის პრეზიდენტმა. აუდიტორია მას კარგად ინფორმირებულ პირად აღიქვამს, რომელსაც სათანადო კომპეტენცია გააჩნია იმისათვის, რომ შეაფასოს ადვოკატთა უფლებების სავარაუდო დარღვევები და განახორციელოს შესაბამისი რეაგირება. იმის გათვალისწინებით, რომ „რუსული საზოგადოება ტრადიციულად ხელისუფლებისა და მისი წარმომადგენლების მიმართ უნდობლობით იყო განწყობილი”,

აუდიტორია ცნობილი ადვოკატის ნათქვამს უფრო დაიჭერებდა, ვიდრე იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის უფროსისას. განმცხადებელი საკუთარ გამოსვლაზე პასუხისმგებლად ვერ ჩაითვლებოდა, ვინაიდან, ჟურნალისტის სტანდარტით, ის აღიქმებოდა როგორც დადასტურებული ინფორმაციის გამავრცელებელი მაღალი თანამდებობის პირი [...]

30. სახელმწიფო დარწმუნებული იყო, რომ აპლიკანტის განცხადების ფაქტობრივ შინაარსს არ ამუსტებდა ის ფაქტი, რომ მან არ დაასახელა ციხის ზედამხედველების ვინაობა, ან არ ახსენა დანესებულების სახელი, ვინაიდან თოქშოუს წინ უძლოდა რეპორტაჟი მოსკოვის წინასწარი პატიმრობის დანესებულება IZ-99/1-ის შესახებ, რომელშიც ნაჩვენები იყო დანესებულების შენობა და საფოსტო მისამართი. საპატიმროს ზედამხედველების ვინაობა საზოგადოებისათვის ცნობილი იყო, ვინაიდან უნინ ისინი მასშედიის სხვა საშუალებებმა დაასახელეს. სახელმწიფოს მიერ ცილისწამების ბრალდებისათვის საკმარისი იყო, რომ თუნდაც ერთ-ერთ ტელემეყურებელს - მათ შორის, ადვოკატებს, ციხის თანამშრომლებსა და მოსარჩელეთა მშობლებსა და მეგობრებს - დაენახა კავშირი, ერთი მხრივ, აპლიკანტის მიერ ნახსენებ უკანონო ქმედებასა, რომელიც საპატიმროს ზედამხედველებმა ჩაიდინეს და, მეორე მხრივ, ბ-ნ F-სა და ბ-ნ B-ს შორის. აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი სიტუაციის დეტალურმა აღწერამ სხენებულ პირთა იდენტიფიცირება „მარტივი და აშკარა“ გახადა. [...]

32. და ბოლოს, სახელმწიფო ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ აპლიკანტმა [...] განცხადებები სწორედ იმ ტელეარხზე გააკეთა, რომელიც არა მხოლოდ რუსეთში, არამედ ევროპის

ქვეყნებშიც მაუწყებლობდა. მისი განცხადებები მოიცავდა ბ-ნი F-ისა და ბ-ნი B-ს მიერ მათი პროფესიული ვალდებულებების უარყოფით შეფასებას და უსაფუძვლოდ ლახავდა წინასწარი პატიმრობის დანესებულების რეპუტაციას. აქედან გამომდინარე, საჭირო იყო ჩარევა, სახელმწიფო მოხელეთა უსაფუძვლო სიტყვიერი თავდასხმებისაგან დასაცავად [...].

2. განმცხადებელი

34. განმცხადებელი არ დაეთანხმა სახელმწიფოს სარჩელს, რომ სადაო განცხადება ფაქტობრივ ბრალდებად უნდა განეხილათ, და არა მისი სუბიექტური აზრის გამოხატვად. მისი მტკიცებით, ეს განცხადება, პირველ რიგში, გაკეთდა ღია დებატებისას, რომელიც მიმდინარეობდა მასა და სახელმწიფოს მაღალ თანამდებობის პირს შორის საზოგადოებისათვის საინტერესო თემაზე. თოქშოუს წამყვანმა იგი არ წარადგინა ოფიციალურ რანგში, როგორც მოსკოვის ადვოკატთა პალატის პრეზიდენტი, და რომ იგი შოუში მონაწილეობდა როგორც ადვოკატი და ადამიანის უფლებათა დამცველი, ასევე, როგორც მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის დიდი ხნის მომხრეების მქონე წევრი.

35. განმცხადებლის აზრით, მის მიერ გამოთქმული კრიტიკა არ იყო მიმართული საპატიმროზე, ანდა საპატიმროს ზედამხედველებზე, ვინაიდან მან ინციდენტის აღწერისას გამოიყენა ზოგადი ტერმინი „მამაკაცები“. ამასთან, ის ვერ აგებდა პასუხს იმაზე, რომ შოუს წინ უძლოდა რაღაც რეპორტაჟი, რომელშიც ნაჩვენები იყო საპატიმროს შენობა: მას არ მიუღია ან დაუმტკიცებია პროგრამების გაშვებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება და ვერც ეცოდინებოდა, თუ რა სახის რეპორტაჟს უჩვენებდნენ მის ინტერვენციამდე. ამასთან, არ დაუსახელებიათ საპატიმროს

ნომერი და რეპორტაჟი მხოლოდ ქუჩის ნომრის კადრს მოიცავდა, რაც ტელემეაყურებლებისათვის ამოუცნობს ხდიდა დაწესებულებას, რომელთაც წარმოდგენა არ ჰქონდათ, თუ რამდენი დაწესებულება იყო მოსკოვში და რა ქუჩებზე იყო ისინი განთავსებული. აპლიკანტმა, ასევე, განაცხადა, რომ მაუწყებლობის პროცესში პრესაში ბ-ნ B-სა და ბ-ნ F-ს სახელები არც ერთხელ არ მოუხსენებიათ და ისინი უცნობი იყო აუდიტორიისათვის.

36. აპლიკანტი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს განცხადების საპირისპიროდ, ქ-ნ A-ს ინსპექტირების პროცესში ქალ ზედამხედველს მონაწილეობა არ მიუღია და არც პროცედურას დასწრებია. მაიორმა L-ვიჩმა, ციხის მმართველის თანაშემწის მოადგილემ, ხელი მოაწერა პირადი შემონმების ოქმს და იგივე მაიორი L-ვიჩი დაკითხეს მონმის სტატუსით რაიონულ სასამართლოში. ქალი ზედამხედველის მონაწილეობა დაწესებულების არც ერთ თანამშრომელს არ უხსენებია, არც ინციდენტის შემსწავლელი რამდენიმე ხელმძღვანელობიდან არც ერთს, მათ შორის, არც პროკურატურას, სასამართლოს, იუსტიციის სამინისტროს, ანდა მოსკოვის ადვოკატთა პალატის კვალიფიკაციათა საბჭოს. [...]

39. შეჯამების სახით, აპლიკანტს მიაჩნდა, რომ მან წარმოადგინა საკუთარი სუბიექტური აზრი ინციდენტზე, რომელშიც ქ-ნ A მონაწილეობდა და რომელიც მოსკოვის ადვოკატთა პალატის მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგებს ეფუძნებოდა. მოკვლევა დაადგინა, რომ ქ-ნი A შესაბამისი კანონების დარღვევით შეამონმეს. მოკვლევა არ დაადასტურა ბრალდებები იმასთან დაკავშირებით, რომ ქ-ნ A-ს ბ-ნი ხოდარკოვსკის მიერ გადმოცემული ჩანაწერი გააჩნდა, რაც ციხის ზედამხედველების მხრიდან მისი კუთვნილი ნივთებისა და ტანსაცმლის

შემონმების საფუძველი გახდა. იმის მიუხედავად, პროცესი „ჩხრეკად“ იყო აღწერილი თუ „შემონმებად“, ნებისმიერ შემთხვევაში მამაკაცი ზედამხედველების მიერ ქალი ადვოკატის შემონმება უკანონო იყო. ამგვარად, აპლიკანტმა მთლიანად და განზრახ დაუკავშირა ფაქტები ერთმანეთს, ყოველგვარი გადაჭარბებისა და სიტყვის თავისუფლების საზღვრების გადაჭარბების გარეშე. დემოკრატიულ საზოგადოებაში ინტერვენცია არ იქნებოდა საჭირო და მოსკოვის საქალაქო სასამართლოს განჩინებას „უარყოფითი ზეგავლენა“ ჰქონდა არა მხოლოდ აპლიკანტზე, არამედ სამართლის სხვა სფეროს პროფესიონალებზე, რომლებსაც უბიძგებდა, თავი აერიდებინათ საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე დებატებში მონაწილეობაზე.

C. საქმის არსებითი მხარე

41. მხარეები თანხმდებიან, რომ საქალაქო სასამართლოს განჩინება ცილისწამების პროცესთან დაკავშირებით უკავშირდებოდა აპლიკანტის გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ჩარევას, რომელიც გარანტირებულია მე-10 მუხლის §1-ით. ჩარევას კანონიერი საფუძველი ჰქონდა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლი, რომელიც უფლებას აძლევდა დაზარალებულ მხარეს, მოეთხოვა საკუთარი რეპუტაციის სასამართლო დაცვა და კომპენსაცია მიყენებული მორალური ზიანის სანაცვლოდ. ის, ასევე, მოიცავდა კანონიერ მიზანს, დაეცვა სხვათა რეპუტაცია ან უფლებები, მე-10 მუხლის §2-ის თანახმად.

42. გასარკვევი დარჩა ხსენებული ჩარევა „აუცილებელი იყო თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში“. აუცილებლობის შემონმება მოითხოვს, რომ სასამართლომ დაადგინოს, ჩარევა შეესაბამება თუ არა „გადაუდებელ

სოციალურ საჭიროებას“, იყო თუ არა ის კანონიერი მიზნის პროპორციული და ეროვნული ხელისუფლების მიერ მათ გასამართლებლად წარმოდგენილი საფუძვლები იყო თუ არა შესაფერისი და საკმარისი [...]

43. სასამართლო აღნიშნავს, რომ განცხადება, რომელიც ცილისწამების ქმედების საფუძველი გახდა, აპლიკანტმა ცოცხალ ეთერში დებატების პროცესში გააკეთა, რომელშიც ის და იუსტიციის სამინისტროს მოსკოვის დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირი მონაწილეობდნენ. დისკუსია შეეხებოდა იუსტიციის სამინისტროს მცდელობას, ჩამოერთვათ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ქ-ნი A-სათვის, რომელიც ბ-ნი ხოდარკოვსკის ადვოკატი იყო. ბ-ნი ხოდარკოვსკი წარსულში რუსეთში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი და უმსხვილესი ნავთობკომპანიის აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი იყო (იხ. ხადარკოვსკი რუსეთის წინააღმდეგ, N5829/04, § 7, 2011 წლის 31 მაისი). იმ პერიოდისათვის ის მოსკოვის წინასწარი პატიმრობის დაწესებულებაში იყო დაპატიმრებული. მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესი და მისი დაცვის სტრატეგია საზოგადოებისა და მედიასაშუალებების ინტენსიური ყურადღების საგანი იყო. მისი დამცველი ადვოკატების გუნდის წევრისათვის ადვოკატის საქმიანობის განხორციელების უფლების ჩამორთმევამ საზოგადოების ინტერესს ახალი ტალღის აგორებას შეუწყო ხელი. თუმცა მოსკოვის საქალაქო სასამართლოს განჩინების ტექსტში არაფერია ისეთი, რაც მიუთითებდა, რომ საქალაქო სასამართლომ გამაწონასწორებელი ზომა მიიღო მოსარჩელეთა რეპუტაციისა და კონვენციის სტანდარტის დასაცავად, რაც ძალიან ძლიერ საფუძველს მოითხოვს საზოგადოებისათვის

დიდი ინტერესის შემცველ დებატებზე შეზღუდვების გასამართლებლად [...]

44. აპლიკანტი პროფესიონალი ადვოკატი და მოსკოვის ადვოკატთა პალატის პრეზიდენტია. უნდა ვაღიაროთ, რომ ადვოკატის განსაკუთრებული სტატუსი მართლმსაჯულების განხორციელებაში, ადვოკატებს ცენტრალურ როლს ანიჭებს, როგორც შუამავლებს საზოგადოებასა და სასამართლოებს შორის და მსგავსი პოზიცია განმარტავს ჩვეულებრივ შეზღუდვებს, რომლებიც ადვოკატთა პალატის წევრების ქცევაზე ვრცელდება. თუმცა, როგორც სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი, ადვოკატს აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება და, ასევე, უფლება საჯაროდ გააკეთოს კომენტარი მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე იმ პირობით, რომ კრიტიკა არ გასცდება გარკვეულ საზღვრებს [...] სასამართლო დამაჯერებლად არ მიიჩნევს სახელმწიფოს არგუმენტს, რომ მისი სამართლებრივი გამოცდილებიდან და ხელისუფლებაში თანამდებობიდან გამომდინარე, აპლიკანტს განსაკუთრებული პედანტურობით უნდა შეერჩია სიტყვები. [...] აპლიკანტსა და სახელმწიფო მოხელეს შორის დისკუსიის მეთოდი გულისხმობდა მათ მიერ საკუთარი მოსაზრებების, ან თუნდაც არგუმენტების გაცვლა-გამოცვლის ხელშეწყობას იმგვარად, რომ წარმოდგენილი ყოფილიყო ორივე მხარის ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები და დებატები მაყურებლისათვის საინტერესო ყოფილიყო. გადაცემის წამყვანი მონაწილეებს კითხვებს უსვამდა და მათგან ზოგიერთი იუსტიციის სამინისტროსა და მოსკოვის ადვოკატთა პალატას შორის დაძაბულ ურთიერთობაზე მიუთითებდა. ვინაიდან დისკუსია პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, აპლიკანტს არ შეეძლო

ნათქვამის სხვაგვარად ჩამოყალიბება ან შესწორება ეთერში მათ გასვლამდე. ამასთან, დებატების მეორე მონაწილე იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი იყო. როდესაც მას აპლიკანტის შემდეგ (იხ. პარაგრაფი 14) სიტყვა გადაეცა, შეედლო უარყოფილად ბრალდება, რომელსაც ის ცრუდ მიიჩნევდა და წარმოედგინა საკუთარი საპასუხო ვერსია ინციდენტთან მიმართებაში, მაგრამ მან ეს არ გააკეთა [...]

45. სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს: იმისათვის, რომ გამოხატვის თავისუფლების უფლება სხვათა რეპუტაციის დაცვის ლეგიტიმური მიზნის პროპორციული იყოს, აუცილებელი ელემენტია არსებობდეს სადავო განცხადებასა და ცილისწამების ბრალდების ავტორ პირს შორის ობიექტური კავშირი. პუბლიკაციაში გამართებული უბრალო პირადი ვარაუდი ან სუბიექტური დასკვნა ცილისწამებასთან დაკავშირებით, საკმარისი არ არის დავასკვნათ, რომ პიროვნებაზე პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა პუბლიკაციამ. კონკრეტულ საქმეში უნდა არსებობდეს გარემოებები, რომლებიც, ჩვეულებრივ, მკითხველს აგრძნობინებს, რომ წარმოდგენილი განცხადება პირდაპირ აისახა ინდივიდუალურ მომჩივანზე, ანდა ის კრიტიკის სამიზნე გახდა. იგივე პრინციპები ვრცელდება ტელე და რადიო მაუწყებლობაზე. [...] უდავო ფაქტია, რომ მოცემულ საქმეში არც მოსარჩელები – ციხის ორი ოფიცერი და არც იურიდიული პირი, მოსკოვის წინასწარი პატიმრობის დაწესებულება, – არ ყოფილან მოხსენიებულნი აპლიკანტის გამოსვლაში. ამის მიუხედავად, საქალაქო სასამართლომ მიიღო ცილისწამების სარჩელი, რადგან აპლიკანტის ჩარევას წინ უძღვოდა რეპორტაჟი, რომელშიც ნაჩვენები იყო წინასწარი პატიმრობის დაწესებულების

შენობა. სახელმწიფო ასევე აცხადებდა, რომ საპატიმროს ოფიცრების იდენტიფიცირება შესაძლებელი იყო, ვინაიდან მათი სახელები მასმედიის სხვა საშუალებებით გაცხადდა. ეს საფუძვლები სასამართლოსათვის საკმარისი არ არის. დისკუსია პირდაპირ ეთერში გადაიციმოდა და აპლიკანტს ვერ ეცოდინებოდა, თუ რა რეპორტაჟის ჩვენება გადაწყვიტა გადაცემის რედაქტორმა დებატების დაწყებამდე. სახელმწიფოს არგუმენტი, რომ ბ-ნი B-სა და ბ-ნი F-ის სახელები საზოგადოებრივი დომენებით გაჟღერდა, ბეჭდური ან ვიზუალური მედიიდან ამოღებული არანაირი მასალით არ იყო დასაბუთებული, მაშინ როცა აპლიკანტმა წარმოადგინა საგაზეთო სტატიების ამონარიდები, რომლებშიც ხსენებული პირები „საპატიმროს ოფიცრებად“ იყვნენ მოხსენიებულნი, მათი ვინაობისა და ჩინის გარეშე. ნებისმიერ შემთხვევაში, აპლიკანტის პასუხისმგებლობა ცილისწამების საქმეში ვერ გასცდება მის მიერ წარმართულ სიტყვებს და მას ვერ დაევისრება პასუხისმგებლობა სხვის მიერ გავრცელებული განცხადებების ან ბრალდებებისათვის, იქნება ეს ტელეწამყვანი თუ სხვა ჟურნალისტი. ფაქტად რჩება ისიც, რომ აპლიკანტის განცხადებაში არაფერი იყო ისეთი, რაც მოსარჩელების იდენტიფიცირების შესაძლებლობას მოგვცემდა, ვინაიდან ისინი არა პიროვნულად, არამედ „მამაკაცებად“ იყვნენ მოხსენიებული, მათი სახელებისა თუ დამსაქმებლის დასახელების გარეშე. ასეთ პირობებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულება, რათა დაედასტურებინა ობიექტური კავშირი სადავო განცხადებასა და ინდივიდუალურ მოსარჩელებს შორის ცილისწამების ქმედებაში.

46. რაც შეეხება აპლიკანტის მიერ

გაკეთებული განცხადების შინაარსს, სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო არ არის განაჩენის გამოტანა, მხარეთა დავაში ფაქტობრივი ბრალდებები თუ ღირებულებითი დასკვნები. სასამართლო მუდმივად აკონკრეტებდა, რომ თვით ღირებულებითი დასკვნა მისი გამამყარებელი ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე შეიძლება გადაჭარბებული იყოს, და რომ შესაბამისი შემონმება საკმარისად სანდო ფაქტობრივი საფუძვლების პროპორციულია თუ არა, შეიძლება დადგინდეს ბრალდებების შინაარსისა და ხარისხის მიხედვით. აპლიკანტმა განაცხადა, რომ ადვოკატ A-ს არ უცდია კლიენტისაგან რაიმე მასალის წამოღება და შესაბამისად მისი ჩხრევის მიზეზი არ არსებობდა. მან დაუმატა, რომ ჩხრევა განახორციელა ორმა მამაკაცმა, რომლებიც მის სხეულს „ჩხრეკდნენ“. საკუთარ განჩინებაში არც მოსკოვის საქალაქო სასამართლომ და არც სახელმწიფომ აპლიკანტის მიერ სასამართლოში გამოყენებული ტერმინი „გაჩხრევა“ არ განიხილა, მაგრამ ამტკიცებდა, რომ განცხადება ცილისმწამებლური იყო, ვინაიდან ის ციხის ოფიცრების მიერ კანონდარღვევის ჩადენას გულისხმობდა. [...]

48. რაც შეეხება ციხის ოფიცრების მიერ ქ-ნი A-ს მოპყრობას, აპლიკანტის განცხადებით, სახელმწიფომ განასხვავა „ჩხრევა“ და „შემონმება“ იმის გასამართლებლად, რომ ეს უკანასკნელი, პირველისაგან განსხვავებით, შესაძლებელი იყო მამაკაცებსაც ჩაეტარებინათ, და ამასთან, შემონმების პროცესში ქალი ზედამხედველიც მონაწილეობდა. სასამართლო აღნიშნავს, რომ თავდაპირველად ქალბატონის დასწრების ფაქტი არის ვარაუდი, რომელიც გაკეთდა შემონმების ოქმზე არსებული ხელმოწერის საფუძველზე. ეს ხელმოწერა შეიძლება წავიკითხოთ

როგორც მამაკაცის (L-ვიჩი) ან როგორც ქალბატონის (L-ვა) გვარი. რეალურად შიდა წარმოებაში არც ერთხელ არ იყო ნახსენები ქალბატონი სახელად L-ვა, ან ნებისმიერი სხვა ქალის სახელი, მაშინ როდესაც მამაკაცი ზედამხედველი L-ვიჩი გამოძახებული იყო ჩვენების მისაცემად და გამოცხადდა რაიონულ სასამართლოში. ბ-ნმა L-ვიჩმა მონმის სტატუსით დაადასტურა, რომ ის იმყოფებოდა კაბინეტში ქ-ნი A-ს ზედამხედველებთან B-სა და F-თან ერთად და მან ჩამოართვა ქ-ნი A-ს დოკუმენტი და ხელი მოაწერა შემონმების ოქმს [...]

49. სასამართლო გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებს იმ ფაქტს, რომ აპლიკანტმა პროცესი „ჩხრეკად“ მოიხსენია და არა „შემონმებად“. პირველ რიგში, როგორც ზემოთ გამოჩნდა, სამართლებრივი ტერმინოლოგიის შეუმჩნეველი ნიუანსები ტელევიზორის მაყურებელი არაპროფესიონალი აუდიტორიისათვის უმნიშვნელო იყო. მეორეც, აპლიკანტის შეურაცხმყოფელი სიტყვის ტალღა მიმართული იყო მამაკაცი ზედამხედველებისადმი, რომელთაც ითავეს ქალი ადვოკატის ტანსაცმლის შემონმება. ეს ქმედება შიდა კანონმდებლობის მოთხოვნის დარღვევას წარმოადგენდა, რომელიც გარკვევით აცხადებს, რომ როგორც პირადი შემონმება, ასევე სხეულის ჩხრევა უნდა განახორციელოს იმავე სქესის პირმა 2 მონმის თანდასწრებით. [...] და ბოლოს, სასამართლომ გაარკვია, რომ პირადი შემონმების ანგარიშში მითითებულია, რომ ზედამხედველებმა არა მხოლოდ ქ-ნი A-ს კუთვნილი ნივთები, არამედ მისი ტანსაცმელიც შეამონმეს. ცილისწამების პროცესში ქ-ნმა A-მ განაცხადა, რომ მას წაართვეს ბეჭდური მასალა, რომელიც გულზე ჰქონდა მიხუტებული (იხ. ზემოთ პარაგრაფი 13). თუმცა სიტყვა „გაჩხრევა“ ცოტა გაზვიადებულად

ფლერს, სასამართლოს არ მიაჩნია, რომ აპლიკანტმა მისაღები კრიტიკის ზღვარს გადააჭარბა, როდესაც ცდილობდა, გადმოეცა საკუთარი აღშფოთება მამაკაცი ზედამხედველების ქცევების გამო. ზემოთქმულის საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ აპლიკანტის განცხადებები ეფუძნებოდა საკმარის ფაქტობრივ გარემოებებს და მოსკოვის საქალაქო სასამართლომ გადანაცვტილება შესაბამისი ფაქტების შეფასების საფუძველზე არ გამოიტანა.

50. რაც შეეხება აპლიკანტისათვის დაკისრებულ სანქციას, [...] მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური თვალსაზრისით დაკისრებული 20 რუსული რუბლის ოდენობის ჯარიმა უმნიშვნელო იყო, ქალაქ მოსკოვის ადვოკატთა პალატის პრეზიდენტის წინააღმდეგ ცილისწამების ბრალდებით სამართალწარმოებას შეეძლო უარყოფითი ზეგავლენა მოეხდინა გამოხატვის თავისუფლებაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, სანქცია ზემოხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, გამართლებული არ იყო. [...]

51. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სასამართლომ გამოარკვია, რომ აპლიკანტს უფლება ჰქონდა საჯაროდ გამოეთქვა საკუთარი მოსაზრება საჯარო ინტერესის მნიშვნელობის მქონე საკითხზე, და რომ მისი განცხადებები ეფუძნებოდა ფაქტობრივ საფუძველებს. მეორე მხრივ, მოსკოვის საქალაქო სასამართლომ არ აღიარა, რომ მოცემულ საქმესთან დაკავშირებული სამართალწარმოება მოიცავდა კონფლიქტს გამოხატვის თავისუფლების უფლებასა და რეპუტაციის დაცვას შორის. ეს ხარვეზები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სტანდარტები, რომლებიც ეროვნულმა ხელისუფლებამ ცილისწამების საჩივრების შემონებისას გამოიყენა აპლიკანტის წინააღმდეგ, არ შეესაბამებოდა მე-10 მუხლში წარმოდგენილ პრინციპებს.

52. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას. [...]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N3/1/531

მოცემული გადაწყვეტილების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილი ქვეყნდება უცვლელად, ხოლო გადაწყვეტილების დანარჩენი ნაწილები შემცირებულია.

დავის საგანი: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

პლენუმის შემადგენლობა: გიორგი პაპუაშვილი (სხდომის თავმჯდომარე), კონსტანტინე ვარძელაშვილი (წევრი), ქეთევან ერემაძე (წევრი, მომხსენებელი მოსამართლე), ვახტანგ ვარამია (წევრი), მაია კოპალეიშვილი (წევრი), ზაზა თავაძე (წევრი), ოთარ სიჭინავა (წევრი), ლალი ფაფიაშვილი (წევრი), თამაზ ცაბუტაშვილი (წევრი)

1. აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს.

2. მოსარჩელის მტკიცებით, სადავო

ნორმით დადგენილი შეზღუდვა, რაც უკავშირდება სამოქალაქო დავაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანისთვის დაწესებულ 5-წლიან ვადას, წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლების დარღვევას. მისი აზრით, შესაძლებელია, სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს პირის უფლებების ხელყოფა ისე, რომ თავად მესაკუთრემ არაფერი იცოდეს ამის შესახებ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მან ხუთი წლის განმავლობაში ვერ შეიტყო ამის თაობაზე, იგი მოკლებულია შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს და მისი მეშვეობით დაიცვას საკუთარი უფლებები.

3. მოსარჩელე განმარტავს, რომ გარკვეული პროცესუალური ვადების არსებობა თავისთავად არ იწვევს კონსტიტუციური უფლების დარღვევას, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, პრობლემატურია კონკრეტული სადავო ნორმით გათვალისწინებული 5-წლიანი ვადა, რომელიც არაგონივრულია და პირის კონსტიტუციური უფლებების დარღვევის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. მოსარჩელის მტკიცებით, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ვადა უძრავ ნივთებთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანისთვის გაიზრდება 10 წლამდე, სადავო ნორმას კონსტიტუციურობის პრობლემა არ ეწება.

4. მოსარჩელე ასევე მიიჩნევს, რომ განსხვავებული სიტუაციაა, როდესაც ხანდაზმულობის ვადა მოქმედებს კონკრეტული სასამართლო დავის მონაწილე მხარეებისთვის. ამ შემთხვევაში პროცესში მონაწილე მხარეთათვის ცნობილია სასამართლოში მათ უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით საქმის წარმოების ვადების თაობაზე. თუმცა, როდესაც პირი არ წარმოადგენს კონკრეტული სასამართლო დავის მონაწილე მხარეს, მეტიც, არაფერი იცის კონკრეტული დავისა და სასამართლო გადაწყვეტილების არსებობისა და, შესაბამისად, სათანადო საპროცესო ვადების შესახებ, სადავო ნორმით გათვალისწინებული შემლუდვა მასზე საერთოდ არ უნდა ვრცელდებოდეს.

5. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოსარჩელეთა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლების რაიმე სახით შემლუდვის შესაძლებლობა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული არ არის.

6. მოსარჩელეთა წარმომადგენელმა მიუთითა, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობა არის გამონაკლისი შემთხვევა, რომელიც სხვაგვარ რეგულირებას მოითხოვს და აღნიშნული ინსტიტუტისადმი უნდა იყოს უფრო გონივრული და დაბალანსებული მიდგომა, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სადავო ნორმით. მან პარალელები გაავლო სამოქალაქო კანონმდებლობის მატერიალურ ნაწილში არსებულ ნორმებთან, რომელთა თანახმად, ხანდაზმულობის ვადა უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებზე ორჯერ მეტია. მოსარჩელეთა წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ გონივრული იქნებოდა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საქმის წარმოების განახლების ვადა ყოფილიყო 10

წელი. მისი მითითებით, შექმნილ სიტუაციაში კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილობის მოთხოვნა მოსარჩელეთა უფლების დაცვის ერთადერთი ეფექტური საშუალებებია.

7. მოსარჩელე თავისი არგუმენტაციის გასამყარებლად დამატებით იშველიებს საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკას, ასევე საერთაშორისო აქტების შესაბამის დებულებებს.

8. მოპასუხემ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე განაცხადა, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ არის აბსოლუტური და შესაძლებელია დაექვემდებაროს გონივრულ შემლუდვებს. მოპასუხის წარმომადგენელმა ხანდაზმულობის მნიშვნელობაზე მიუთითა და აღნიშნა, რომ, ზოგადად, ხანდაზმულობის ვადის როგორც ინსტიტუტის გაუქმება არ არის მიზანშეწონილი, თუმცა სადავო ნორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტთან ერთობლიობაში ინვეს იმ პირებისათვის სამართლიანი სასამართლოს უფლების არათანაზომიერ შემლუდვას, რომლებმაც საერთოდ არ იცოდნენ აღნიშნული ვადის დინების შესახებ. ასეთ პირებს ფაქტობრივად ერთმევათ შესაძლებლობა, დარღვეული უფლებების დასაცავად მიმართონ სასამართლოს, რაც დემოკრატიულ სახელმწიფოში დაუშვებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტით მოპასუხისთვის მინიჭებული უფლების შესაბამისად, მოპასუხემ ცნო კონსტიტუციური სარჩელი სადავო ნორმის იმ ნორმატიული შინაარსით, რომელიც შეეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტს.

9. საქმეზე სპეციალისტად მონვეულმა ადვოკატმა ზვიად კორძაძემ აღნიშნა, რომ არსებობს

საკმაოდ მაღალი ალბათობა იმისა, რომ პირი, რომლის უფლებებს და მოვალეობებსაც ეხება კონკრეტული საქმე, არ მონაწილეობდეს საქმის განხილვაში. სპეციალისტის მითითებით, არსებობს თეორიული შესაძლებლობა, რომ მესამე პირმა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების გარეშე დაიწყოს დამოუკიდებელი სასარჩელო წარმოება, რადგან სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის პირდაპირი საკანონმდებლო საფუძველი არ არსებობს, თუმცა პრაქტიკაში ასე არ ხდება და საერთო სასამართლოები არ იღებენ ასეთ სარჩელებს. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სასამართლოები თავიდან იცილებენ ერთი დავის საგანზე ორი გადაწყვეტილების არსებობას. შესაბამისად, მესამე პირებისთვის უფლების დაცვის ამ საშუალების გამოყენება არაეფექტური იქნებოდა. სპეციალისტი ასევე მიუთითებს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების პირობებში არაეფექტური იქნებოდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც, რადგან გადაწყვეტილებით დადგენილი კანონიერების ეჭვქვეშ დაყენება პრობლემურია.

10. სპეციალისტის აზრით, თუ კანონმდებელი ადგენს ხანდაზმულობის ვადებს წესრიგის გამო, პირს გარკვეული დრო უნდა ჰქონდეს უფლების რეალიზებისთვის. სადავო ნორმის მოქმედების პირობებში იქმნება სიტუაცია, როდესაც პირს ფაქტობრივად არ რჩება უფლების რეალიზების დრო. სპეციალისტმა აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო საქმის განახლებისათვის დადგენილია ორი სახის ვადა: პირველი - ერთთვიანი ვადა, რომლის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა საქმის წარმოების განახლების საფუძვლის

არსებობა; მეორე კი - ზოგადი 5-წლიანი ვადა, რომელიც აითვლება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ხანდაზმულობა უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ საფუძვლის შეტყობის მომენტიდან და გაუგებარია, რატომ არის მნიშვნელოვანი სტაბილურობისთვის ზოგადი ვადის არსებობა.

11. საკონსტიტუციო სასამართლოს წერილობითი დასკვნა წარმოუდგინა საქმეზე სპეციალისტად მონვეულმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ნუნუ კვანტალიანმა. სპეციალისტი აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით იმპერატიულად დადგენილი და უზრუნველყოფილია პირის ფუნდამენტური უფლების დაცვა _ ინფორმირებული იყოს მის უფლებასთან დაკავშირებული საქმის განხილვის თაობაზე და შესაბამისი სტატუსით მიიღოს მონაწილეობა. იმ პირისათვის, რომელიც არ იყო მონვეული საქმის განხილვაზე და რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით საქმის წარმოების განახლების გარდა, სხვა რაიმე უფლების დაცვის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. თუ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება უშუალოდ ეხება იმ პირის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია პროცესში, მას შეუძლია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით დაიცვას უფლება.

12. სპეციალისტი მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით ვადის ათვლა ობიექტურ

სისტემაზე ორიენტირებული – ვადის ათვლა ობიექტურ ფაქტორზე, გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლაზე დამოკიდებული. აღნიშნული, მისი აზრით, ეჭვქვეშ აყენებს იმ პირის სასამართლოსათვის მიმართვის უფლების დაცვის რეალურობას, რომლისთვისაც ობიექტურად უცნობია მის ინტერესებთან დაკავშირებული სამართალწარმოების მიმდინარეობის შესახებ. სპეციალისტი თვლის, რომ გადანყვეტილების კანონიერი ძალის არსის, სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გათვალისწინებით, კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების გასაჩივრება ვადაში შეზღუდული უნდა იყოს, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის გადანყვეტილების ვადის ათვლის წესი განსხვავებულად უნდა განისაზღვროს – ასეთი გარემოებების არსებობისას პირს უნდა შეეძლოს მის წინააღმდეგ გამოტანილი გადანყვეტილების გასაჩივრება იმ დროიდან, როდესაც მან შეიტყო ან უნდა შეეცყო უფლების დარღვევის შესახებ.

II. სამოტივაციო ნაწილი

1. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“. აღნიშნულ ნორმას დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს. ის ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა. მის ასეთ ღირებულებაზე არაერთხელ მიუთითა საკონსტიტუციო სასამართლომ. ვერძოდ: „სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება ინდივიდის უფლებების და თავისუფლებების დაცვის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპების უზრუნველყოფის

უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა. ის ინსტრუმენტული უფლებაა, რომელიც ... წარმოადგენს სხვა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას...“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადანყვეტილება N1/3/421,422 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 1). სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ „სამართლიანი სასამართლოს უფლება ... უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლებების ეფექტურ რეალიზაციას და უფლებებში გაუმართლებელი ჩარევისაგან დაცვას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადანყვეტილება N1/1/403,427 საქმეზე „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 1). სამართლიანი სასამართლოს უფლება, პირველ რიგში, ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა იმ გადანყვეტილების (ქმედების) სასამართლოში გასაჩივრებისა და სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობას, რომელიც ადამიანის უფლებებს არღვევს. ამ თვალსაზრისით, სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელება „სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს უკავშირდება და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის არსს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადანყვეტილება N1/3/393,397 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ონისე მებონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 1). ვინაიდან სამართლებრივი სახელმწიფოს პირველადი ფუნქციაა ადამიანის უფლება-თავისუფლებების სრული რეალიზაცია და ადეკვატური დაცვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელების ერთგვარი

საზომი, გულისხმობს ყველა იმ სიკეთის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს. „... კონკრეტული ინტერესის უფლებად განსაზღვრის შედეგი არის სწორედ ის, რომ მისი ხელყოფის ან შესაძლო ხელყოფის შემთხვევაში, უფლების სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს ხელყოფის საფრთხისგან დაცვა ან მიყენებული ზიანის ანაზღაურება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/3/421,422 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 1). „მაშასადამე, ამა თუ იმ უფლებით სრულად სარგებლობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი გარანტია ზუსტად მისი სასამართლოში დაცვის შესაძლებლობაა. თუკი არ იქნება უფლების დარღვევის თავიდან აცილების ან დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობა, სამართლებრივი ბერკეტი, თავად უფლებით სარგებლობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. შესაბამისად, უფლება-თავისუფლებების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვის აკრძალვა ან არათანაზომიერი შეზღუდვა არღვევს არა მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, არამედ, იმავდროულად, შეიცავს საფრთხეს თავად იმ უფლების უგულებელყოფისა, რომლის დასაცავადაც სასამართლოსადმი მიმართვაა აკრძალული (შეზღუდული)“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება N1/466 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 14).

2. სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს არა მარტო სასამართლოსადმი ფორმალურ ხელმისაწვდომობას, არამედ ასევე მოითხოვს, რომ საქმის განმხილველ სასამართლოს ჰქონდეს უფლების

დარღვევის ფაქტზე რეაგირების ეფექტური საშუალება. ამ უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში, სამართლიანი სასამართლოზე ხელმისაწვდომობა იქნება თეორიული, ფიქციური და არა რეალური მექანიზმი უფლებების დასაცავად. „... კონსტიტუციის 42-ე მუხლი მოითხოვს, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციის იმგვარად განსაზღვრა, რომელიც პასუხობს სასამართლოს გზით კონსტიტუციური უფლებების ადეკვატურ დაცვას. სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება და ამ გზით უფლების დაცვის ეფექტური სამართლებრივი საშუალების მოთხოვნა თანმხვედრი უნდა იყოს სასამართლოს კომპეტენციისა, ადეკვატურად მოახდინოს უფლების დარღვევაზე რეაგირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად უფლებით სარგებლობა დადგება საფრთხის ქვეშ... „უფლება“ ვერ იქნება პირის ლეგიტიმური ინტერესების დაცვის რეალური გარანტია, ის იქნება მხოლოდ თეორიული და ფიქციური, თუ მას არ ახლავს სასამართლო წესით მისი დაცვის შესაძლებლობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/3/421,422 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 1). ამიტომ სასამართლო ხელისუფლების ... უფლებამოსილება უნდა წარმოადგენდეს 42-ე მუხლის რეალიზაციის ეფექტურ შესაძლებლობას და, იმავდროულად, სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებით სრულყოფილად სარგებლობის კონსტიტუციურ გარანტიას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება N1/466 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 14).

3. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად სამართლიანი

სასამართლოს უფლების უდავოდ დიდი მნიშვნელობისა, ის არ არის აბსოლუტური უფლება. „სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ვერ იქნება გაგებული აბსოლუტური სახით, პროცესუალურ-სამართლებრივი წესრიგის გარეშე, რაც უფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება N1/3/161 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელების მოსაზრებას. კერძოდ, მათ (მოსარჩელებს) მიაჩნიათ, რომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურია, მათ შორის, იმის გამოც, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება აბსოლუტური უფლებაა, კონსტიტუციის ამ ნორმაში, მთელი რიგი სხვა ნორმებისგან განსხვავებით, არ არის მითითებული უფლების შეზღუდვის შესაძლებლობაზე, რის გამოც, კანონმდებელი არ არის უფლებამოსილი, ჩაერიოს ამ უფლებაში, შეზღუდოს ის.

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს საკუთარ გადაწყვეტილებებში, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება „შეიძლება შეიზღუდოს გარკვეული პირობებით, რაც გამართლებული იქნება დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური საჯარო ინტერესით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება N1/466 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 15). „შეზღუდვები უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს და დაცული უნდა იყოს გონივრული თანაზომიერება დანესებულ შეზღუდვასა და დასახულ

მიზანს შორის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/393,397 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ონისე მებონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 1).

5. იმის გასარკვევად, იწვევს თუ არა სადავო ნორმა სამართლიანი სასამართლოს უფლების არათანაზომიერ შეზღუდვას, დარღვევას, პირველ რიგში, აუცილებელია გასაჩივრებული რეგულაციის არსის გაანალიზება...

6. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები“. ამასთან, 422-ე და 423-ე მუხლები ცალ-ცალკე ჩამოთვლიან გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე განცხადების და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების საფუძვლებს (წინა პირობებს).

7. მიუხედავად იმისა, რომ სადავო ნორმა 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადით ზღუდავს საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობას როგორც გადაწყვეტილების ბათილად ცნობის, ისე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია სასარჩელო მოთხოვნით და ვალდებულია, იმსჯელოს სადავო ნორმის მხოლოდ გასაჩივრებულ ნორმატიულ შინაარსზე. კერძოდ კი, სასარჩელო მოთხოვნა შეეხება ხანდაზმულობის 5-წლიანი ვადის გავრცელების კონსტიტუციურობის შეფასებას საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობაზე მხოლოდ გადაწყვეტილების ბათილად

ცნობის გამო (და არ ეხება საქმის წარმოების განახლებას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო), ამასთან, მხოლოდ 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას, როდესაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ „პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მონაწილე საქმის განხილვაზე“.

8. სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტებისთვის ასევე აუცილებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის განმარტება, რათა საკონსტიტუციო სასამართლომ ზუსტად დაადგინოს პირთა წრე და ის შემთხვევები, როდესაც სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა ამ პირებზე ვრცელდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება დავის სწორად გადაწყვეტა.

9. ---

10. ... სხვაობა 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებს შორის მდგომარეობს შემდეგში: „ბ“ ქვეპუნქტი ეხება მოსარჩელეს და მოპასუხეს (პირებს, რომლებიც მოსარჩელედ ან მოპასუხედ იქნენ ცნობილი), რომლებიც არ იყვნენ მონაწილე საქმის განხილვაზე, ხოლო „გ“ ქვეპუნქტი ეხება არასათანადო მოსარჩელის მიერ შეტანილი სარჩელისა თუ არასათანადო მოპასუხის წინააღმდეგ დავის შემთხვევაში, სათანადო მოსარჩელეს/მოპასუხეს, როდესაც ვერ მოხდა მათი გამოვლენა და არ/ვერ მოხდა მათი პროცესში ჩართვა, ასევე მესამე პირებს (როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, ისე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მესამე პირებს), რომელთა ინტერესებსაც უშუალოდ ეხება გადაწყვეტილება და რომლებიც ასევე არ იყვნენ მონაწილე საქმის განხილვაზე ...

11. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ გაარკვია 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მოაზრებული პირთა წრე, შეზღუდულია რა სასარჩელო მოთხოვნით, სასამართლომ ასევე უნდა გაარკვიოს, ამ პირთაგან რომელს შეესაბამება მოსარჩელის პროცესუალური მდგომარეობა. მოქმედი კანონმდებლობის და საქმეში არსებული მასალების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსარჩელის მდგომარეობაში მყოფი პირების საქმეში ჩართვა პოტენციურად შესაძლებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ან სათანადო მოპასუხედ. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობა უნდა შეაფასოს მხოლოდ ამ პირებთან მიმართებით მისი მოქმედების კონტექსტში.

12. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ მოქმედი კანონმდებლობა უშვებს ალბათობას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა პირებმა, ვინაიდან ისინი არ არიან მხარეები, რომლებიც თავიდანვე ცნობილი იყვნენ სასამართლოსთვის და რომელთა მონაწილეობა ვალდებულდება (შესაბამისი პროცედურებით გაფრთხილების გზით) სასამართლოს აქვს, შეიძლება არაფერი იცოდნენ მათ ინტერესებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების არსებობის თაობაზე და, შესაბამისად, ვერც გადაწყვეტილების ბათილობა მოითხოვონ სადავო ნორმით დადგენილ ხანდაზმულობის ვადაში. მართალია, თუ საქმის განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, ან არა იმ პირის მიმართ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს არასათანადო მოსარჩელისა ან/და მოპასუხის

შეცვლა (მუხ.84-85); დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე პირებს შეუძლიათ, ჩაერთონ საქმეში მესამე პირებად (მუხ.88), მაგრამ, თუ საქმის მასალებიდან არ გამოიკვეთა მხარეთა გარდა სხვა პირების ინტერესები, დავის საგნის შემხებლობა მათ უფლებებთან და, ამასთან, არც მხარეები (განგებ თუ უნებლიედ) მიუთითებენ ასეთ გარემოებაზე, სასამართლო მოკლებულია ამ პირთა ინტერესების გამოვლენისა და მათი საქმეში ჩართვის შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მიმართულია საქმის ყოველმხრივ გამოკვლევის უზრუნველყოფაზე (მუხ. 103, 128, 203, 222), საბოლოოდ, სასამართლო შეზღუდულია მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, რაც უშვებს ალბათობას, რომ საქმესთან დაკავშირებული სხვა პირების ინტერესები არ გამოიკვეთოს საქმის განხილვისას, რის გამოც, მათი ჩართვა პროცესში არ/ვერ იქნება უზრუნველყოფილი. ეს ასევე შეიძლება გამოწვეული იყოს სასამართლოს შეცდომით ან კანონის დარღვევით.

13. მაშასადამე, სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება ეხებოდეს კონკრეტულ პირთა უფლებებს, კანონიერ ინტერესებს და, იმავდროულად, ეს პირები არა მხოლოდ არ იღებდნენ საქმის განხილვაში მონაწილეობას, არამედ ვერც შეიტყონ სასამართლოს გადაწყვეტილების თაობაზე. ერთი მხრივ, სწორედ ასეთი პირების უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც აძლევს მათ შესაძლებლობას, განაახლონ საქმის განხილვა, მოითხოვონ იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლის მიღებაზეც მათ გავლენა ვერ მოახდინეს და უფლების დარღვევა თავიდან ვერ აიცილეს. თუმცა, მეორე მხრივ, ეს შესაძლებლობა სადავო ნორმით შეზღუდულია 5-წლიანი

ვადით, რომლის ათვლა ხდება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან და რომლის გასვლის შემდეგ ისინი კარგავენ ამ შესაძლებლობას. სწორედ ასეთი შეზღუდვის კონსტიტუციურობას ხდიან მოსარჩელები სადავოდ. მათი აზრით, მათ შესაძლოა ობიექტურად ვერ ისარგებლონ სამართლიანი სასამართლოს უფლების ამ უფლებრივი კომპონენტით სადავო ნორმით დადგენილ ხანდაზმულობის ვადაში. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს პარლამენტმაც ამ მიზეზით ცნო კონსტიტუციური სარჩელი. კერძოდ, მოპასუხის წარმომადგენელმა აღნიშნა: „ჩვენ კონსტიტუციურ სარჩელს ვცნობთ იმ ნაწილში, რომელიც ეხება 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტს... ამასთანავე, ჩვენ აუცილებლად ვიმუშავებთ იმ მიმართულებით, რათა ნორმა ჩამოყალიბდეს ისე, რომ გათვალისწინებულ იქნეს სუბიექტური სისტემა. ანუ ვადების ათვლა დაიწყოს კონკრეტული ფაქტის შეტყობინებიდან... მთავარი არგუმენტი არის ის, რომ ნორმის გააზრების თვალსაზრისით, ზუსტად მოსარჩელის პრობლემის დანახვით, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ისეთ პირებს, რომლებსაც არ ეცნობათ მათი უფლების დარღვევის შესახებ და არც ჰქონდათ შესაძლებლობა, სცოდნოდათ ამის შესახებ, 42-ე მუხლით სარგებლობის უფლება ესპობათ“. მოპასუხის წარმომადგენელმა ასევე არაერთგზის ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი პირებისთვის უფლების დაცვის სხვა საშუალება არ არსებობს. პარლამენტის წარმომადგენლის განმარტებით, მოსარჩელის მსგავს მდგომარეობაში მყოფ პირებს არც კომპენსაციის მოთხოვნის უფლება აქვთ, რადგან ვიდრე კანონიერ ძალაში არსებობს კონკრეტული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებით გამოწვეული სამართლებრივი შედეგები ვერ შეიცვლება.

14. ზოგადად, საქმის წარმოების განახლება სასამართლო

გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით, შესაბამისი საფუძვლების, პირობების არსებობისას, სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ეს ინსტიტუტი უდავოდ ემსახურება სამართლიანი მართლმსაჯულების მიღწევის ლეგიტიმურ მიზანს, რაც, საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებების სრულყოფილ რეალიზაციას და ადეკვატურ დაცვას უზრუნველყოფს. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობით იყოს შექმნილი ამ ინსტიტუტის ეფექტურად გამოყენებისთვის ადეკვატური და საკმარისი გარანტიები. მოცემულ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეეფასოს, სადავო ნორმა, სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, ხომ არ იწვევს ამ უფლებრივი კომპონენტით სარგებლობის არათანაზომიერ შეზღუდვას და, შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას?

15. უფლების შემზღუდველი ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნის არსებობას. „სადავო აქტების შეფასებისას, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს ის მიზანი, რომელიც ამოძრავებდა კანონმდებელს მათი მიღებისას... თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით შეიძლება შეფასდეს კანონმდებლის მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალებათა კონსტიტუციურობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/2/411 საქმეზე „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოთა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური სანარმო „ფერმერი“ და შპს „ენერჯია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“). ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა

თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელი, არაკონსტიტუციურია.

16. ზოგადად, ვადებს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ ურთიერთობებში წესრიგის შეტანისთვის. დროის ფაქტორი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს პირთა შორის ურთიერთობების სამართლებრივ მოწესრიგებაში. გარკვეული დროის დადგომას ან ვადის გასვლას უკავშირდება კონკრეტული იურიდიული შედეგები – სამართლებრივი ურთიერთობების (შესაბამისად პირთა უფლებებისა ან/და მოვალეობების) წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. ხანდაზმულობით უფლების შეძენის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 165-ე და 167-ე მუხლები.

17. ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესშიც. დრო სამართლიანი სასამართლოს უფლებას გასდევს მთლიანად უფლებით სარგებლობის განმავლობაში. ხშირ შემთხვევაში, ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა თავიდანვე გარკვეული დროით არის პირობადებული – ამა თუ იმ უფლების, ინტერესის დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვა უფლების დარღვევიდან გარკვეული ვადით არის შეზღუდული (მაგალითად, საარჩევნო უფლების დაცვისას). ასევე კანონმდებლობა ვადებით ზღუდავს სამართლიანი სასამართლოს უფლების ისეთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტების გამოყენებას, როგორებიცაა – სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრების უფლება. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც განსაზღვრავს სასამართლოში საქმეთა განხილვის წესს და მათ შორის ვადებს, რომლის განმავლობაშიც მხარემ უნდა შეასრულოს მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს ამ მოქმედების მოგვიანებით შესრულების

უფლებას. მაგალითად: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში“. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: „სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადების გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია“. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად: „საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება“.

18. ---

19. ვადების ზოგადი მნიშვნელობის პარალელურად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა მნიშვნელოვან საჭარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სასამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში ნესრიგისა და სტაბილურობის დამყარება (მონესრიგებული და სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის უზრუნველყოფა). დასახელებული ლეგიტიმური მიზნები მჭიდროდ უკავშირდებიან და განაპირობებენ ერთიმეორეს. სამართლებრივი უსაფრთხოების მიღწევა შესაძლებელია, ერთი მხრივ, ეფექტური მართლმსაჯულებით, რომლის საბოლოო მიზანი არის სწორი, ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება ნებისმიერ საქმეზე; მეორე მხრივ, სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილებისადმი სანდოობით, რასაც ორი მთავარი საფუძველი (ასპექტი) აქვს: სასამართლოს ავტორიტეტი და სასამართლოს გადაწყვეტილების

საბოლოობა – სადავო საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა და ამით სამართლებრივი სტაბილურობის ხელშეწყობა.

20. მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა, რაც შესაძლებელია საქმეზე მხოლოდ სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების გზით. მართლმსაჯულების შედეგი სამართლიანობის მიღწევა, აღდგენა, უზრუნველყოფა უნდა იყოს. „ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 3.). ამიტომ სასამართლოს გადაწყვეტილებები სწორედ ამის უზრუნველყოფისკენ უნდა იყოს მიმართული. ამ მიზნის მიღწევას ემსახურება სამართლიანი სასამართლოს უფლების არაერთი პროცესუალური გარანტია, უფლებრივი კომპონენტი, მათ შორის, სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის, გასაჩივრების, დავის ხელახლა წარმოების უფლება საამისოდ შესაბამისი საფუძვლების, პირობების არსებობის შემთხვევაში.

21-24. ---

25. ... სამართლიანი მართლმსაჯულება, სასამართლოსადმი სანდოობა, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების შედეგების შეუქცევადობა სამართლებრივი უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს გარანტიას წარმოადგენს. სასამართლო ვალდებულია, სიცხადე შეიტანოს და განსაზღვრულობა შესძინოს დავას, გადაწყვეტილებით საბოლოოდ გააქარწყლოს ეჭვი. ამიტომ სასამართლო, როგორც კონფლიქტის მოგვარების ინსტიტუტი, უტყუარობისა და სანდოობის პრეზუმფციით

სარგებლობს, სასამართლო პროცესზე განხილული საკითხი კი საბოლოოდ გადაწყვეტილად და დადგენილად ითვლება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. „ის, რაც იწვევდა კონფლიქტს მხარეებს შორის, სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ ითვლება დადგენილად და უდავოდ. დაუშვებელია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების მუდმივად ეჭვქვეშ დაყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში, საფუძველი გამოეცლებოდა სასამართლოსადმი სანდოობის ვარაუდს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება N1/3/161 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

26. ამასთან, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეუზღუდავად გასაჩივრების შესაძლებლობა შექმნიდა მოდავე მხარეთა ურთიერთობებში მუდმივ გაურკვევლობას და იმის საშიშროებას, რომ დავა და კონფლიქტი ვერასდროს კპოვებდა საბოლოო გადაწყვეტას. როგორც აღვნიშნეთ, საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იმ პრეზუმფციის მატარებელია, რომ საკითხი მხარეთა შორის გადაწყდა სწორად და რომ ისინი ამ საკითხთან, უფლებასთან, სიკეთესთან, ქონებასთან დაკავშირებით შემდგომ სამართლებრივ ურთიერთობებს გააგრძელებენ გადაწყვეტილებით დადგენილი სინამდვილის გათვალისწინებით, მასზე დაყრდნობით ან მისგან გამომდინარე. ამიტომ პოტენციური მოპასუხე დაცული უნდა იყოს იმისგან, რომ კვლავ დადგეს ძველი სარჩელის წინაშე, რომელიც ერთხელ უკვე გადაწყვეტილი იყო სასამართლოს მიერ, ამასთან, დაცული იყოს იმისგან, რომ საეჭვო, სათუო გახდეს მის მიერ დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობები.

27. საბოლოო ჯამში, დაუსრულებელი დავის შესაძლებლობა დააფრთხობს პირებს, გაართულებს სამართლებრივი

ურთიერთობების დამყარებას - უფლების მუდმივი საეჭვოობის დაშვება მოსპობს თავად უფლების სიცოცხლისუნარიანობას, რადგან ის ვერ იქნება გამოყენებული მომავალი ურთიერთობების დასამყარებლად, უფლებების შესაძენად. აღამიანებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, თავისუფლად ჩაერთონ ურთიერთობებში, მსგავსი სარჩელებიდან მომდინარე დანაკარგის შიშის გარეშე. ხანდაზმულობის ვადების არარსებობის პირობებში უფლება უსასრულოდ იქნება გაურკვეველ მდგომარეობაში და მისი არა მარტო დაცვა, არამედ არსებობაც ეჭვის ქვეშ დადგება.

28. ზემოთ ჩამოთვლილი ლეგიტიმური მიზნების არსებობას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც. 1996 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე სტაბინგი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, სასამართლო განმარტავს: „... ხანდაზმულობის ვადები ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას ძველი სარჩელებისგან, რომლებისგან თავის დაცვაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან გადაწყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც შესაძლოა, დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული იყოს“ (პარ. 51).

29. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ინსტიტუტის არსებობა, სამართლიანი სასამართლოს სხვა უფლებრივ კომპონენტებთან და გარანტიებთან ერთად, ემსახურება ზემოთ დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევას. თუმცა, იმავდროულად, ძალზე მნიშვნელოვანია თითოეული პროცესუალური

გარანტიის, ხანდაზმულობის ვადების ინსტიტუტის ჩათვლით, კონკრეტული საკანონმდებლო რეგულაცია ეფუძნებოდა ინტერესთა გონივრულ და სამართლიან ბალანსს, რათა, ერთი მხრივ, რეალურად ემსახურებოდა საჯარო მიზნების მიღწევას, ხოლო, მეორე მხრივ, არ ინვესტირებდა კონკრეტული პირების უფლებაში გაუმართლებელ, არათანაზომიერ ჩარევას. ამისთვის კი კანონმდებლის მიერ შერჩეული რეგულაცია უნდა იყოს დასაშვები, აუცილებელი და პროპორციული. „ვინაიდან ნებისმიერი სამართლებრივი წესრიგი მიზნისა და საშუალების მიმართებაზეა აგებული, ეს ავალდებულებს სახელმწიფოს, მიზნის მისაღწევად გამოიყენოს ისეთი საშუალება, რომლითაც, როგორც მიზნის მიღწევა იქნება გარანტირებული, ასევე თანაზომიერების პრინციპი იქნება დაცული“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/2/411 საქმეზე „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერჯია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 30). ამასთან, „თანაზომიერების შეფასებისას გადამწყვეტია მიზანსა და საშუალებას შორის პროპორციულობის საკითხის გარკვევა..... ეს უზრუნველყოფს გონივრულ ბალანსს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის, როდესაც არც ერთი მათგანის დაცვა არ ხდება მეორის არაპროპორციულად შეზღუდვის ხარჯზე“ (საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და

ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 22).

30. სწორედ ინტერესთა სამართლიანი დაბალანსებისთვის, დანტერესებული პირის მოთხოვნით, სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესაძლებლობის ზოგადი შემთხვევებიდან უნდა გაიმიჯნოს და დამოუკიდებლად შეფასდეს ის შემთხვევები, როდესაც კონკრეტული დავა (რომელსაც სასამართლოს გადაწყვეტილება ეხება) გადაწყდა სახელმწიფოს და არა კერძო პირის სასარგებლოდ, ... შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის კონსტიტუციურობა ცალ-ცალკე უნდა შეაფასოს დასახელებული განსხვავებული შემთხვევების სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

31. ზოგადად, სადავო ნორმით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის ზემოაღნიშნული ლეგიტიმური მიზნები, საბოლოო ჯამში, ორიენტირებულია კონკრეტული ადამიანების ინტერესებსა და უფლებების დარღვევის თავიდან აცილებაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთი მხრივ, ხანგრძლივი ვადის შემდგომ, მტკიცებულებათა არარსებობისა თუ სათანადო მტკიცებულებების ობიექტურად ვერმოპოვების გამო, კონკრეტულმა პირებმა, რომელთა მიმართაც დავა განახლდება, შესაძლოა, სათანადოდ ვერ დაიცვან საკუთარი ინტერესები და უფლებათა გარდაუვალი დარღვევის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. ხოლო, მეორე მხრივ, უფლების განუსაზღვრელი დროით სადავოდ ქცევა პირს უქმნის ბუნდოვანების განცდას მომავლთან დაკავშირებით, შესაბამისად, იგი ერიდება ისეთი ქმედებების განხორციელებას, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება მომგებიანი იყოს მისთვის. მაშასადამე, აქ ერთმანეთს უპირისპირდება კერძო პირების ინტერესები – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირების (სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში – სათანადო მოპასუხის და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის) უფლების დაცვის საჭიროებას უპირისპირდება იმ პირების ინტერესების დაცვის საჭიროება, რომლებიც მათ მიმართ დავის განახლების შემთხვევაში შეიძლება უფლების (უფლებების) დარღვევის გარდაუვალი საფრთხეების პირისპირ აღმოჩნდნენ.

32. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით საქმის წარმოების განახლების კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობის არსებობა მიზნად ისახავს პირის უფლებების სრულყოფილად დაცვას, სამართლიანი სასამართლოს უფლების ეფექტურ რეალიზაციას და კონკრეტულ საქმეზე სამართლიანი, ობიექტური მართლმსაჯულების განხორციელებას. მაგრამ სამართლიანი სასამართლოს უფლებით სრულყოფილად სარგებლობის ადეკვატური უფლებრივი კომპონენტების მხოლოდ საკანონმდებლო რეგლამენტაცია ვერ იქნება ამ უფლებით სარგებლობის გარანტია, თუკი კანონმდებლობით ასევე გარანტირებული არ იქნება მათზე (უფლებრივ კომპონენტებზე) ეფექტური, რეალური ხელმისაწვდომობა.

33. ცხადია, იმისათვის, რომ პირმა ისარგებლოს მის ინტერესებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით, მას უნდა ჰქონდეს საკმარისი შესაძლებლობა, იცოდეს მასთან (მის უფლებებთან, ინტერესებთან) დაკავშირებული გადაწყვეტილების არსებობის თაობაზე. ამიტომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადით სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვა მხოლოდ მაშინ იქნება ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება, თუ პირი ალტერნატიული იქნება საკმარისი და ადეკვატური ბერკეტებით, იცოდეს კონკრეტული უფლების დაცვის საჭიროებისა და ხანდაზმულობის

ვადის ფარგლებში სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობის თაობაზე.

34. დაინტერესებული პირების (სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში – სათანადო მოპასუხის და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირების) უფლების დაცვის საჭიროების სხვა კონკრეტული პირების ინტერესებისა და უფლებების დარღვევის საფრთხესთან დაპირისპირებისას, სადავო ნორმით გათვალისწინებული 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადა დაარღვევდა ინტერესთა შორის სამართლიან ბალანსს დაინტერესებული პირების საზიანოდ, თუ ის იმდენად აშკარად, არაგონივრულად მცირე, ხანმოკლე იქნებოდა, რომ ობიექტურად არასაკმარისი აღმოჩნდებოდა უფლების გამოყენებისა და დაცვისადმი კეთილსინდისიერად განწყობილი პირებისათვის, რითაც მათ არათანაზომიად უფრო მძიმე ტვირთს დააკისრებდა იმ პირებთან შედარებით, რომელთა უფლებები ასევე საფრთხის წინაშე დგება მათ მიმართ გარკვეული ვადის შემდეგ დავის განახლების შემთხვევაში. მიგვაჩნია, რომ კერძო პირების ინტერესების ასეთი დაპირისპირების შემთხვევაში, 5 წელი შეიძლება ჩაითვალოს მინიმალურ, თუმცა ობიექტურად საკმარის, გონივრულ, განჭვრეტად ვადად დაინტერესებული პირებისთვის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესაძლებლობის გამოყენებისთვის და, შესაბამისად, ინტერესთა შორის ბალანსის შენარჩუნებისთვის. მოცემულ შემთხვევაში 5 წელი არ არის იმდენად აშკარად მცირე დრო, რომ გამოირიცხოს დაინტერესებული პირის უძრავ ქონებასთან დაკავშირებით უფლებრივი მდგომარეობის შეცვლის თაობაზე ინფორმაციის მიღების ალბათობა, მით უფრო იმ პირობებში, რომ უძრავი ქონების თაობაზე საჭარო რეესტრის მონაცემები ხელმისაწვდომია პირის ადგილსამყოფლის მიუხედავად. გარდა ამისა, მოქმედი კანონმდებლობა უძრავი ქონების მესაკუთრეს მთელ რიგ

ვალდებულებებს (მაგ., კომუნალური გადასახადები, ქონების გადასახადი) აკისრებს დამოუკიდებლად იმისგან, იმყოფება თუ არა ის საქართველოში და ფაქტობრივად სარგებლობს თუ არა ამ ქონებით. ასეთი ვალდებულებების ცოდნა და შესრულება ასევე ზრდის უძრავ ქონებაზე უფლებრივი მდგომარეობის ცვლილების ფაქტის შეტყობის ალბათობას. კანონმდებლობის არცოდნა კი ვერ გმოდგება საფუძვლად ვერც ვალდებულებების შესრულებისაგან თავის არიდებისთვის და, მით უფრო, ვერც სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების გაუქმების/გაზრდის მოთხოვნისთვის, რომელთა არსებობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნებით, მათ შორის, კონკრეტული ადამიანების უფლებების დარღვევის თავიდან არიდების საჭიროებით არის განპირობებული.

35. ცხადია, კანონმდებელი არ არის შეზღუდული, დაანესოს ხანდაზმულობის უფრო ხანგრძლივი ვადა, რაც დაინტერესებულ პირებს მისცემდა მეტ შესაძლებლობას, შეიტყონ მათი უფლების დარღვევის და, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის გამოყენების აქტუალობის შესახებ ან/და შემოიღოს სხვა მექანიზმები, რაც უფრო ეფექტურად ხელმისაწვდომს გახდის და ინტერესებული პირებისთვის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით სარგებლობის შესაძლებლობას, ასევე გაითვალისწინოს გამონაკლისები ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირმა ვერ შეიტყო უფლების დარღვევის თაობაზე ან ვერ ისარგებლა უფლების დაცვის შესაძლებლობით დაუძღვევლი გარემოების ან ემედუწარობის გამო და სხვა. მაგრამ, იმავდროულად, დაინტერესებული პირების დაცვაზე ორიენტირებული კანონმდებლის გადაწყვეტილება არ უნდა გამოიციხავდეს სხვა პირების უფლებების დარღვევის თავიდან აცილების შესაძლებლობას.

36. განსხვავებულია ვითარება,

როდესაც დაინტერესებული პირების უფლების დაცვის შესაძლებლობას უპირისპირდება სახელმწიფო ინტერესი, ანუ, როდესაც კონკრეტული დავა გადაწყდა სახელმწიფოს და არა კერძო პირის სასარგებლოდ, ამასთან, როდესაც დაინტერესებული პირების (სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში – სათანადო მოპასუხის და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირის) უფლებების დარღვევა გამოწვეულია სახელმწიფოს (სახელმწიფო ორგანოების/თანამდებობის პირების) ან/და სხვა პირების (მონშის, ექსპერტის, მხარის ან მისი წარმომადგენლის) მართლსაწინააღმდეგო/ბრალეული ქმედებით ან, თუ დაინტერესებული პირისთვის ცნობილია ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. სამართლებრივი უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ასპექტია, უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფოს მხრიდან კანონის დარღვევით გამოწვეული ზიანის გამოსწორების/უფლების აღდგენის შესაძლებლობა. სამართლებრივი სახელმწიფო ეფუძნება ადამიანის, როგორც უმთავრესი ფასეულობის არა მხოლოდ აღიარებას, არამედ რეალურ უზრუნველყოფას ძირითადი უფლებებით სრულყოფილად და ეფექტურად სარგებლობის გარანტირების გზით. „ფასეულობათა კონსტიტუციური სისტემა დაფუძნებულია ძირითადი უფლებების პრიორიტეტსა და პატივისცემაზე“ („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის გადაწყვეტილება N2/3/423 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 6), რადგან სამართლებრივ სახელმწიფოში სახელმწიფო არის მხოლოდ შესაძლებლობა, ინსტრუმენტი ადამიანის ფუნდამენტური უფლებების

რელიზაციის უზრუნველსაყოფად. სწორედ სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის არდაშვება და უფლებების დაცვის/აღდგენის საკმარისი, ეფექტური გარანტიების, მექანიზმების უზრუნველყოფა არის სამართლებრივი უსაფრთხოების ფუნდამენტი. მართალია, გადანაცვტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადით შეზღუდვა ზოგადად ინარჩუნებს ლეგიტიმურ მიზნებს, მაგრამ ეს მიზნები თვისობრივად სახეცვლილია სახელმწიფოსთან მიმართებით, ვინაიდან ისინი არ უკავშირდება კონკრეტული კერძო პირების უფლებების დარღვევის საფრთხეს. სახელმწიფოს, რომელიც თავად უნდა იყოს სამართლებრივი უსაფრთხოების გარანტი, არ აქვს ამ ინტერესის (სამართლებრივი უსაფრთხოების) სხვისგან დაკმაყოფილების მოლოდინი, რაც განასხვავებს მას კერძო პირებისგან. მაშასადამე, აქ განსხვავებულია დაპირისპირებული ინტერესები და, შესაბამისად, განსხვავებული უნდა იყოს მიდგომაც ამ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის არსებობის შეფასებისთვის. როდესაც ლეგიტიმური საჯარო მიზნებისთვის საფრთხის მიყენების რისკები უმნიშვნელოა ან არ არსებობს, ან/და სამართლებრივი უსაფრთხოების დაცვის მცდელობას თავად შეუძლია გამოიწვიოს ამავე ლეგიტიმური მიზნის უგულვებლყოფა, მაშინ უფლებაში ჩარევის საჭიროება გაცილებით ნაკლებია. ამიტომ დაინტერესებულ პირებს ასეთ შემთხვევაში უნდა ჰქონდეთ რეალური შესაძლებლობა, დაიცვან საკუთარი უფლება, მათ შორის, მოითხოვონ სახელმწიფოს სასარგებლოდ მიღებული მათი უფლების დამრღვევი სასამართლო გადანაცვტილების ბათილობა, როდესაც ეს არის უშუალო და აუცილებელი გზა უფლების აღდგენისა თუ კომპენსაციის მიღებისთვის.

37. მოცემულ საქმეზე მოსარჩელეების შემთხვევაში,

მათ, ბუნებრივია, უნდა ჰქონოდათ საჯარო რეესტრისადმი ნდობა, რომ უძრავ ქონებაზე მათი საკუთრების დარეგისტრირებული უფლება არ შეიცვლებოდა მათი ინფორმირების გარეშე. უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი გარემოებაა საჯარო რეესტრში ასეთი უფლების დარეგისტრირება. უძრავი ქონების როგორც შეძენა, ისე შემდგომში ამ უფლების ნებისმიერი ტრანსფორმაცია საჯარო რეესტრში დარეგისტრირებას მოითხოვს უფლების ნამდვილობისთვის. სწორედ საჯარო რეესტრში უძრავი ქონების დარეგისტრირებით პირს უჩნდება კონკრეტულ ქონებაზე საკუთრების უფლების გარანტია, რაც, იმავდროულად, სახელმწიფოს მხრიდან, მისი ამ უფლების დაცვის ვალდებულებაა. ამასთან, უძრავი ქონების რეგისტრაცია სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლებამოსილებაა. ამის შემდეგ მოქმედებს სახელმწიფოს ქმედების კეთილსინდისიერებისა და საჯარო რეესტრის მონაცემების უტყუარობის პრეზუმაცია (აღსანიშნავია, რომ საერთო სასამართლო დავის გადანაცვტისას საჯარო რეესტრის მონაცემების უტყუარობას ეყრდნობა). პირს აქვს გონივრული მოლოდინი, რომ მის მიერ კანონის შესაბამისად ქმედების პირობებში, კანონი არ ითვალისწინებს, მისი ინფორმირების გარეშე, მისი ქონების გასხვისების შესაძლებლობას. შესაბამისად, მესაკუთრის ინფორმირების გარეშე მისი საკუთრების გასხვისების გადანაცვტილება შესაძლოა დიდი ალბათობით კანონის დარღვევაზე მიუთითებდეს. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში ასეთი კატეგორიის პირებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სათანადო მოპასუხეს ან მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით) უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოითხოვონ სახელმწიფოს სასარგებლოდ მიღებული

გადანყვეტილების ბათილობა მაშინ, როდესაც მათ შეუძლიათ ისეთ გარემოებებზე/მტკიცებულებებზე მითითება, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მათთვის ხელსაყრელი გადანყვეტილების გამოტანას და როდესაც ამ პირებისთვის სასამართლოს გადანყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნა აუცილებელი გზა უფლების დაცვის/ აღდგენისთვის.

38. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა, სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში, ვერ გამოდგება დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევის პროპორციულ საშუალებად, 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადა არაპროპორციულად ზღუდავს 422-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სათანადო მოპასუხის და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შესამე პირის სამართლიანი სასამართლოს უფლებას იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო გადანყვეტილება, რომელიც მათ უფლებებს/ინტერესებს ეხება, სახელმწიფოს სასარგებლოდ არის მიღებული და, ამავე დროს, არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი, ამასთან, ამ პირებისთვის სასამართლო გადანყვეტილების ბათილად ცნობა უფლების დაცვის, აღდგენისთვის აუცილებელი წინა პირობაა. ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, პრევალირებს სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის თავიდან აცილების უპირატესი ინტერესი, როგორც სამართლებრივი უსაფრთხოების ფუნდამენტური ასპექტი, დაინტერესებულ პირებს უნდა ჰქონდეთ ასეთი საფრთხის თავიდან ასაცილებლად და უფლების დასაცავად გადანყვეტილების ბათილად ცნობის შესაძლებლობა, 5-წლიანი

ხანდაზმულობის ვადის მიუხედავად. სახელმწიფოს არსებობა ზოგადად უკავშირდება რა ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებას, დრო ვერ გააბათილებს ასეთ ვალდებულებას. ამავე დროს, ყველა ადამიანის მიმართ სახელმწიფოს სწორედ ასეთი ვალდებულების თანაბრად არსებობის ძალით, კონკრეტული პირის უფლების დროში უსასრულოდ დაცვის შესაძლებლობას უპირისპირდება სხვათა უფლებების დარღვევის საფრთხის თავიდან აცილების აუცილებლობა. ამიტომ დავის განახლების შეზღუდვა შესაძლებელი უნდა იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოსთვის პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება დავის სწორად გადანყვეტა და კონკრეტული პირების უფლებების დარღვევის თავიდან აცილება.

39. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მართლმსაჯულების შედეგების უსაფუძვლოდ ეჭვის ქვეშ დაყენების გამოსარიცხად, აუცილებელია სადავო ნორმით გათვალისწინებული შესაბამისი პირებისა და შემთხვევების სწორად, უტყუარად გამოვლენა. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას გაკავამახვილებთ რამდენიმე გარემოების ერთდროულად არსებობის აუცილებლობაზე:

ა) კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადანყვეტილების შემდეგ, უფლების თავიდან სადავოდ ქცევა უქმნის რა საფრთხეს ისეთ მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს, როგორებიცაა სამართლებრივი უსაფრთხოება, სტაბილურობა, სასამართლოს გადანყვეტილების იურიდიული ძალის მნიშვნელობა და, ზოგადად, მართლმსაჯულებისადმი სანდოობა, გადანყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნა უფლებამოსილი პირებისათვის არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც სწორედ ეს გზა არის რეალური შესაძლებლობა უფლების დასაცავად, ანუ, როდესაც გადანყვეტილების ბათილად ცნობას

პოტენციურად შეუძლია უზრუნველყოს უფლების თავდაპირველი სახით აღდგენა ან შესაბამისი კომპენსაციის მიღება, რაც შეუძლებელი იქნებოდა გადაწყვეტილების ბათილობის გარეშე. არ შეიძლება სასამართლოსადმი მიმართვა თვითმიზნურ ხასიათს ატარებდეს, მით უფრო, თუ საუბარია უკვე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილობის მოთხოვნაზე და დავის თავიდან დაწყებაზე. მართლმსაჯულების საბოლოო შედეგები მხოლოდ განსაკუთრებულ, იშვიათ შემთხვევაში შეიძლება დადგეს ეჭვის ქვეშ და მხოლოდ მაშინ შეიძლება გაბათილდეს, თუ ეს აუცილებელი გზაა სავარაუდოდ დარღვეული უფლების აღდგენის, მისი დაცვისთვის. ამიტომ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის ინსტიტუტი, თავისი დანიშნულებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, უკავშირდება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში მისი გამოყენების შესაძლებლობას, როდესაც ის წარმოადგენს უშუალო გზას სავარაუდოდ დარღვეული უფლების დაცვისთვის, აღდგენისთვის. დაუშვებელია, კანონმდებლობა მართლმსაჯულების შედეგების საეჭვოობას ასეთი საფუძვლების გარეშე ინვესტდეს და შედეგად მართლმსაჯულებისადმი სანდოობის შერყევისთვის საკანონმდებლო საფუძველს ქმნიდეს.

ბ) სადავო ნორმით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა უკავშირდება რა ლეგიტიმურ მიზნებს, რომელთა არსებობა და დაცვის საჭიროება ამ გადაწყვეტილებით კითხვის ქვეშ არ დამდგარა, სასამართლო უნდა სარგებლობდეს მკაფიო და ხელშესახები კრიტერიუმებით იმის შესამოწმებლად და დასადგენად, რომ პირმა არ იცოდა და ობიექტურად არც შეიძლებოდა სცოდნოდა მის ინტერესებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების არსებობის შესახებ. უნდა მოხდეს იმის პრევენცია, რომ პირმა დროში უმიზნოდ არ გაახანგრძლივოს უფლების განხორციელება, ის შეზღუდული უნდა

იყოს შესაძლებლობაში, მიმართოს სასამართლოს იმ შემთხვევაში, თუ მას შეეძლო ეს თავის დროზე განეხორციელებინა და არ ისარგებლა ამ შესაძლებლობით. ხანდაზმულობის ვადის მიუხედავად, უფლების დაცვის შესაძლებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის გზით, უნდა უკავშირდებოდეს მხოლოდ რეალურ და ობიექტურ საჭიროებას და არა პირის დაუდევრობას ან საკუთარი უფლებებისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებას.

გ) ამასთან, იმისათვის, რომ 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა დაინტერესებულმა პირმა (სათანადო მოპასუხემ და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით), ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის შემდეგ მოითხოვოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, მან უნდა წარადგინოს სათანადო მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობაზე.

40. იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლო, შეზღუდულია რა სასარჩელო მოთხოვნით, მოკლებულია შესაძლებლობას, 426-ე მუხლის მე-4 ნაწილი განიხილოს მთელი სისრულით, მათ შორის, ინდივიდუალურად გააანალიზოს მისი ქმედითობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლებით გათვალისწინებული თითოეული სუბიექტისა და საფუძვლის მიხედვით. ამიტომ კანონმდებლობით ამ საკითხის მოწესრიგებისას, უმნიშვნელოვანესია, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების მოქმედება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზნებს და, იმავდროულად, კონკრეტული რეგულაცია არ ინვესტდეს არც ერთი პირის უფლებაში არათანაზომიერ ჩარევას, უფლების დარღვევას, მათ

შორის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ ის არ ინვესტირებს პირთა გაუმართლებელ, დაუსაბუთებელ დიფერენცირებას ამ უფლებით სარგებლობის პროცესში.

III. სარეზოლუციო ნაწილი

ხელმძღვანელობს რა საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით, 211 მუხლის პირველი პუნქტით, 23-ე მუხლის პირველი პუნქტით, 25-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტით, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, 43-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-7 და მე-8 პუნქტებით, 44-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 30-ე, 31-ე, 32-ე და 33-ე მუხლებით,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ა დ გ ე ნ ს :

1. დაკმაყოფილდეს ისრაელის მოქალაქეების - თამაზ ჯანაშვილის, ნანა ჯანაშვილის და ირმა ჯანაშვილის კონსტიტუციური სარჩელი N531 საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. არაკონსტიტუციურად

იქნეს ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შეეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისთვის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის დაუშვებლობას გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ.

2. არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

3. გადაწყვეტილება ძალაშია საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან.

4. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

5. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

6. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ 15 დღის ვადაში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების

ს ა ე ქ ს პ ი რ ტ ი შ ე ფ ა ს ე ბ ა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ საქართველოს კონსტიტუციის შესახებ მიჩნეული სსსკ-ის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი 5-წლიანი ვადა, რომლის გასვლის შემდეგაც დაუშვებელი იყო გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლით საქმის განახლება, აღმკვეთ ვადას წარმოადგენს. ამგვარი ვადის დანესება, ზოგადად, განპირობებულია სამოქალაქო პროცესში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების სტაბილურობის პრინციპის არსებობით. აღნიშნული პრინციპიდან გადახვევა გამართლებულია ისეთ შემთხვევებში, როცა სახეზეა გარემოებები, რომლებიც საკმარის საფუძველს ქმნიან სასამართლო აქტის გაბათილებისათვის (გაუქმებისათვის), ხოლო აქტის გაბათილება (გაუქმება) და მისი სამართლებრივი შედეგები მატერიალური თუ საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის თანაზომიერია. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამთავრებული საქმის განახლება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში მხოლოდ ისეთი საფუძვლებით (დარღვევების გამო) ხდება, რომლებიც გავლენას ახდენენ საქმის შედეგზე. ამ დარღვევათა გამოსწორების გარეშე ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენა და დაცვა, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული საჯარო ინტერესის დაცვა. ცხადია, სასამართლო გადაწყვეტილებათა სტაბილურობის პრინციპმა არ შეიძლება შეზღუდოს დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების აღდგენის

შესაძლებლობა. მით უმეტეს ისეთ შემთხვევებში, როდესაც პირისათვის უცნობია ისეთი სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის შესახებ, რომელმაც განსაზღვრა ამ პირის უფლება-მოვალეობები ისე, რომ თავად ამ პირს პროცესში მონაწილეობა არ მიუღია. ასეთ დროს მნიშვნელობა არა აქვს, 5-წლიანი ვადა იქნება დადგენილი, თუ - უფრო ხანგრძლივი ვადა, რომლის შემდეგაც აღარ დაიშვება სასამართლო აქტის გაბათილება. ამ თვალსაზრისით, მართებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრება და სადავო მუხლის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციის შესახებ მიჩნევა. ამასთან, აუცილებლად მიგვაჩნია, ყურადღების გამახვილება უფლების დაცვის შესაძლებლობის საკითხზე, თუნდაც სადავო ნორმის მოქმედების პირობებში. ამ შემთხვევაში აუცილებელია, გაიმიჯნოს, რომელი უფლების დაცვის შესაძლებლობას გლუდავს სადავო ნორმა - საპროცესო თუ მატერიალური უფლებების დაცვას? ცხადია, სადავო ნორმით შეზღუდულია მხოლოდ საპროცესო უფლება - ვადის გასვლის გამო საქმის განახლების მიზნით შესასრულებელი საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება. მაგრამ, ამასთან, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იმ პირისათვის, რომელიც არ იყო მონაწილე საქმის განხილვაზე და რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, წარმოადგენს დამაბრკოლებელ ფაქტორს მატერიალური უფლებების დასაცავად.

ამ თვალსაზრისით, სადავო ნორმა არ შეიძლება ჩაითვალოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის საწინააღმდეგო ნორმად. დაინტერესებულ პირს არ ერთმევა შესაძლებლობა, სარჩელის შეტანის გზით, სადავო გახადოს გასაბათილებელი გადაწყვეტილებით (სხვა პროცეში, სხვა მხარეებს შორის გამოტანილი გადაწყვეტილებით) დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობები. ამ შემთხვევაში მოქმედებს სამოქალაქო პროცესის ის წესი, რომლის თანახმადაც პროცესში ჩაუბმელი პირებისათვის არ შეიძლება პრეიუდიციული მნიშვნელობისა იყოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. ასეთი გადაწყვეტილება თავისი სამართლებრივი მნიშვნელობით, შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ

ერთ-ერთ მტკიცებულებად, რომელსაც, ამასთან, არ შეიძლება მიენიჭოს წინასწარ დადგენილი ძალა და უნდა შეფასდეს ახალ პროცესში სხვა მასალებთან ერთობლიობაში. სხვა თვალსაზრისით, ცხადია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება დადებითად შეიძლება შეფასდეს, რამეთუ მან გააფართოვა საპროცესო უფლების და, აქედან გამომდინარე, მატერიალური უფლებების დაცვის შესაძლებლობა. ცხადია, დროში შეუზღუდავად გადაწყვეტილების ბათილობის მოთხოვნის იურიდიული შესაძლებლობის გაფართოების პირობებში დარღვეული უფლებების აღდგენა უფრო გაიოლდება.

**სამართლის დოქტორი
პროფესორი შალვა ქურდაძე**



ქართული სამართლის ძეგლები

მეფე გიორგი VIII-ს სასისხლო სიგელი მღვდელ გიორგი ჟურელის შვილისადმი, 1460 წ. ეტრატო

სასისხლო სიგელში განსაზღვრულია „სისხლის ფასი“. საბუთში მეფე გიორგის ხელისუფლების სანქციით ჩამოყალიბებულია დანაშაულთა კატეგორიები და მათზე დაწესებული საჯარო გადასახადი. იგი ჟურელისშვილებს განუსაზღვრავს „სისხლის ფასს“, მათზე მიეწესებული ფისიკური, ზნეობრივი და ქონებრივი ხელუფლის დანაშაულებზე: კაცისკვლა, დაჭრა, დასახინჩება, ცოლის გაუზატურება, სანღ-კარის, საბძლის, წისქვილის, ვენახის გადაწვა, ნახირის გატაცება, დალატი, მუქარა და ა.შ. სასისხლო სიგელები მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველოში სისხლის სამართლის ისტორიის შესახებ.



Handwritten text in a cursive script, likely Georgian, with decorative flourishes and floral motifs interspersed. The text is arranged in several lines, with some words highlighted in red ink. The script is dense and characteristic of medieval Georgian manuscripts.

ადვოკატი პავლე ბერია



**"კანონიერების პრინციპის დაცვა საქართველოს
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით
გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ"**

I. შესავალი

იძულებით გადაადგილებული პირები¹ ხშირად ხდებიან ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლნი, ხშირია დისკრიმინაცია სტატუსიდან გამომდინარე. არაერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ თვითონ დევნილობის ფაქტიც კი ხშირად ხდება არასათანადო მოპყრობის მიზეზი². სპეციალური დაცვის მექანიზმების არსებობა დევნილებისათვის არ უნდა წარმოადგენდეს სასიცოცხლო აუცილებლობას, რადგან მის გარეშეც

ისინი დაცული უნდა იყვნენ როგორც ქვეყნის კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო კონვენციებითა თუ ხელშეკრულებებით. ამის მიუხედავად, ხშირია შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოები არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს დაიცვან დევნილთა უფლებები, რის გამოც ისინი მოკლებულნი არიან ეფექტურ სამართლებრივ მექანიზმებს.

საქართველოში დევნილთა საკითხი აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და თავშესაფარი ეპოვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. სახელმწიფო აღიარებს მათ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და მისი გაუმჯობესების მიზნით მიიღო სახელმწიფო სტრატეგია და სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა³. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო დოკუმენტების თანახმად, გრძელვადიანი გადანაცვლა მაშინაა მიღწეული, როდესაც იძულებით გადაადგილებულ პირებს არ

1 - გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ E/NC.4/1998/53/ADD.2 - იძულებით გადაადგილებულ პირებად ითვლებიან ის პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც გამოძევებულ იქნენ ან იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რათა გაქცეოდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, საყოველთაო ძალადობას, ადამიანის უფლებათა ხელყოფასა და სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფებს და, ამასთან, არ გადაუკვეთათ საერთაშორისო აღიარებული სახელმწიფო საზღვარი.

2 - Erin D.Monney, „The protection potential of a Marriage of Concepts between R2P and IPD protection“, Global Responsibility to Protect 2(2010) 60-68; Guide to International Human Rights Mechanisms for IDP and their Advocates, The Brookings Institution - University of Bern project on ID, June 2006, Forward by Walter Kalin, at VI.

3 - საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის N47 განკარგულება „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“

სტირდებათ ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებული კონკრეტული დახმარება და დაცვის საშუალება⁴.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებას ეკისრება უპირატესი ვალდებულება და პასუხისმგებლობა თავისი იურისდიქციის ფარგლებში დევნილები უზრუნველყოს შესაბამისი დაცვითა და ჰუმანიტარული დახმარებით⁵, მათი ბევრი პრობლემა⁶, მათ შორის, საცხოვრებლის უფლებასთან და მათ საკუთრებაში არსებული ქონების რესტიტუციასთან ან/და კომპენსაციასთან დაკავშირებით დღემდე გადაუჭრელია.

II. საერთაშორისო აქტები და ეროვნული კანონმდებლობა

1. საერთაშორისო აქტები

იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებისა და დაცვის კუთხით ერთ-ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტს წარმოადგენს 1998 წელს მიღებული „გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ“, აღნიშნული პრინციპები მიიჩნევა პრაქტიკულ სახელმძღვანელოდ მთავრობებისა და ხელისუფლების სხვა უფლებამოსილი ორგანოებისათვის (პრინციპი 2). ამასთან, ეს პრინციპები ეროვნულ ხელისუფლებას აკისრებენ ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, რათა დევნილები უზრუნველყოფილნი იყვნენ შესაბამისი დაცვითა და ჰუმანიტარული დახმარებით. დოკუმენტი

დეტალურად აღწერს იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორებიცაა: გადაადგილებისაგან დაცვის, დაბრუნების, განსახლების, რეინტეგრაციის პრინციპები და სხვა. სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, ყველა დევნილს უნდა ჰქონდეს ადეკვატური ცხოვრების უფლება, რაც თავის მხრივ გულისხმობს აუცილებელ საკვებზე, სასმელ წყალზე, თავშესაფარზე, ტანსაცმელსა და გადაუდებელ სამედიცინო დახმარებაზე ხელმისაწვდომობას. სახელმძღვანელო პრინციპები ასევე ხაზს უსვამს ისეთ უფლებებს, როგორიცაა სიცოცხლის უფლება, პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, თავისუფალი გადაადგილების უფლება, ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, განათლების, მუშაობის, საკუთრების უფლება, რომელთა დაცვაც სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს გარანტირებული. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას პირობები, რათა შესაძლებლობა მისცეს დევნილებს დაბრუნდნენ თავისი ნებით უსაფრთხოდ და ღირსეულად თავიანთ სახლებში ან საცხოვრებელ ადგილებში, ან ნებაყოფლობით ხელახლა განსახლებულ იქნენ ქვეყნის სხვა ნაწილში (პრინციპი 28). ყურადღება გამახვილებულია დევნილთა რეინტეგრაციაზე, დაგვემვისა და მართვის პროცესში მათ ჩართულობაზე. სახელმწიფო ვალდებულია დაეხმაროს დევნილებს (რომლებიც დაბრუნდნენ ან ხელახლა განსახლდნენ) და აღუდგინოს მათ საკუთრებაში არსებული ქონება, ხოლო თუ ეს უკანასკნელი შეუძლებელია, უნდა უზრუნველყონ შესაბამისი კომპენსაციით ან სხვა რაიმე სახის რეპარაციით (პრინციპი 29 (2)).

მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს „ლტოლვილთა და

4 - IASC Framework on Durable Solutions for IDP, The Brookings Institution University of Bern, April 2010, p.5

5 - გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ E/NC.4/1998/53/ADD.2 - პრინციპი 3

6 - Georgia: Partial progress towards durable solutions for IDPs, IDMC/NRC, 21 March 2012, p.1.

იძულებით გადაადგილებულ პირთა ქონებრივი რესტიტუციის შესახებ პინეიროს პრინციპები"⁷, რომელიც ეხება ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ქონების რესტიტუციის საკითხს. „პინეიროს პრინციპების“ მიზანია ხელი შეუწყოს შესაბამის ეროვნულ სტრუქტურებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს ქონების რესტიტუციასთან დაკავშირებული სამართლებრივი და ტექნიკური საკითხების უკეთ გადანაცვებაში. დოკუმენტში აღიარებულია დევნილთა ქონების რესტიტუციის, ადეკვატური საცხოვრებელი პირობების, კომპენსაციის, უსაფრთხო და ღირსეულ გარემოში ცხოვრების უფლება. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელშიც ნათლად იქნება ასახული ქონების რესტიტუციის საკითხი. ეს კანონები, თავის მხრივ, შესაბამისობაში უნდა იყოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან.

იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების საკითხებზე გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელ კელინის ანგარიშთან ერთად გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ დაამტკიცა დანართი „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის გრძელვადიანი გადანაცვების ჩარჩო-პრინციპები“⁸, რომელიც განმარტავს

7 - UN Principles on Housing and Property Restitution for Refugees and Displaced Persons, The Pinheiro Principles, 2005, <http://www.unhcr.org.ua/img/uploads/docs/PinheiroPrinciples.pdf>

8 - Report of the Representative of the Secretary - General on the human rights of IDP, Walter Kalin, Addendum - Framework on Durable Solutions for IDP, A/HRC/13/21/Add.4, 29 December 2009 http://www2.ohchr.org/english/issues/idp/docs/A.HRC.13.21.Add.4_framework.pdf

რას წარმოადგენს დევნილთა პრობლემების გრძელვადიანი გადანაცვება; გრძელვადიანი გადანაცვების ძიებისას რა პრინციპებით უნდა იხელმძღვანელონ გადანაცვებების მიმდებმა პირებმა; როგორ უნდა მოხდეს გრძელვადიანი გადანაცვების პროცესის ისე ორგანიზება, რომ დაცული იყოს ადამიანის უფლებები; რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს მიღწეული შედეგები. ამგვარი გადანაცვების მიღწევა შესაძლებელია მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებით, ადგილობრივი ინტეგრაციით ან ქვეყნის სხვა რომელიმე ნაწილში განსახლებით. გრძელვადიანი გადანაცვების ძიებისას, დევნილებს უნდა მიეცეთ საშუალება გააკეთონ ნებაყოფლობითი და ინფორმირებული არჩევანი; მონაწილეობა მიიღონ სტრატეგიის დაგეგმვის პროცესში; მიუწვდებოდეთ ხელი ჰუმანიტარულ ორგანიზაციებზე; არსებობდეს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმები და ჩართული უნდა იყვნენ მშვიდობის დანერგვის პროცესში. გრძელვადიანი გადანაცვების ერთ-ერთი პირობაა დევნილთა დისკრიმინაციის გარეშე ადეკვატური სტანდარტული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა. კერძოდ, დევნილებს უნდა გააჩნდეთ თავშესაფარი, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ სამედიცინო მომსახურებაზე, საკვებზე, სასმელ ნყალზე, ადეკვატურ სანიტარულ პირობებზე და განათლებაზე (პუნქტი 65). ასევე, ერთ-ერთ პირობას ქონების რესტიტუციის ეფექტური და ხელმისაწვდომი მექანიზმების არსებობა წარმოადგენს.

გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტმა 1991 წელს გამოცემულ მე-4 ზოგად კომენტარში⁹ განმარტა, რომ

9 - [http://www.unhcr.ch/tbs/doc.nsf/\(Symbol\)/469f4d91a9378221c12563ed0053547e?OpenDocument](http://www.unhcr.ch/tbs/doc.nsf/(Symbol)/469f4d91a9378221c12563ed0053547e?OpenDocument)

საცხოვრებლის უფლება არ უნდა იქნას განხილული ვინრო ან შეზღუდული გაგებით, რაც მას, მაგალითად, თავშესაფრით უზრუნველყოფასთან გაათანაბრებდა. იგი განხილულ უნდა იქნას, როგორც ნებისმიერ ადგილას უსაფრთხო, მშვიდობიან და ღირსეულ პირობებში ცხოვრების უფლება. ამასთან, ტერმინი „საცხოვრებელი“ გაგებულ უნდა იქნას სათანადო საცხოვრებლის კონტექსტში, რაც ნიშნავს ცალკე ბინას, ცხოვრებისათვის სათანადო ფართობს, სათანადო უსაფრთხოებას, სათანადო განათებასა და ვენტილაციას, სათანადო ძირითად ინფრასტრუქტურას და სათანადო ადგილმდებარეობას შრომისა და ძირითადი მომსახურებების თვალსაზრისით (პუნქტი 7). სათანადო საცხოვრებელი მოიცავს: შესაბამის სამართლებრივ გარანტიებს - ფართის ფლობის ფორმის მიუხედავად, ყველა ადამიანი უნდა იყოს უზრუნველყოფილი გარკვეული სახის პირობებით, რაც მას დაიცავს იძულებითი გამოსახლების, დევნისა და სხვა საშიშროებებისგან; მომსახურების, მასალების, საშუალებების და ინფრასტრუქტურის არსებობას - უზრუნველყოფილი უნდა იქნას გარკვეული პირობები, რომლებსაც ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, კომფორტისა და კვებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს; სახსრებზე ხელმისაწვდომობას - ნებისმიერი პირისა ან ოჯახური მეურნეობისათვის საცხოვრებელი ხარჯები ისეთ ფარგლებში უნდა იყოს, რომ საფრთხის წინაშე არ დადგეს და ხელი არ შეეშალოს ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილებას; საცხოვრებლად ვარგისიანობას - საცხოვრებელი ვარგისი უნდა იყოს, ანუ პირს უნდა ჰქონდეს სათანადო ფართი და დაცული უნდა იყოს სიცივისაგან, ნესტისაგან, სიციხისაგან, წვიმისაგან, ქარისა ან ჯანმრთელობისათვის

მავნე სხვა საშიშროებებისგან; ხელმისაწვდომობას - სათანადო საცხოვრებელი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის, ვისაც ამის უფლება აქვს; ადგილმდებარეობას - სათანადო საცხოვრებლის ადგილმდებარეობა ხელმისაწვდომობის საშუალებას უნდა იძლეოდეს დასაქმებაზე, სამედიცინო მომსახურებაზე, სკოლებზე, ბავშვთა ბრუნვის ცენტრებსა და სხვა სოციალურ მომსახურებებზე; შესაფერისობას კულტურის თვალსაზრისით - შენობათა არქიტექტურა, გამოყენებული მასალები და მათი გათვალისწინების პოლიტიკა შესაბამისად უნდა ასახავდეს საზოგადოების კულტურულ თვითმყოფადობას და მრავალფეროვნებას. კომიტეტის მე-4 ზოგადი კომენტარის თანახმად, იძულებითი გამოსახლების შემთხვევები თავისთავად შეუთავსებელია პაქტის მოთხოვნებთან და შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას და საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად (მე-18 პუნქტი).

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის N7 კომენტარი განსაზღვრავს იძულებით გამოსახლებასთან დაკავშირებულ პროცედურულ გარანტიებს, მათ შორის: კონსულტაციების ჩატარების შესაძლებლობას იმ პირებთან, რომლებსაც იძულებით გამოსახლება ეხებათ; გამოსახლების დადგენილ თარიღამდე მათთვის სათანადო და დასაბუთებული ინფორმაციის მიწოდებას; დაგეგმილი გამოსახლების თაობაზე მათ ინფორმირებას გონივრულ ვადაში და, შესაძლებლობის შემთხვევაში, მათთვის ინფორმაციის მიწოდებას, თუ რა მიზნით იქნება გამოყენებული მიწა ან საცხოვრებელი; გამოსახლების დროს სახელმწიფო თანამდებობის

პირების ან მათი წარმომადგენლების დასწრებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს პირთა ჯგუფის გამოსახლებას; გამოსახლების განმახორციელებელ პირთა პიროვნების სათანადო დადასტურებას; გამოსახლების პროცესის განხორციელების დაუშვებლობას ცუდი ამინდისას ან ღამის საათებში, თუ არ არსებობს გამოსახლებელ პირთა თანხმობა; სამართლებრივი დაცვის საშუალებების უზრუნველყოფას; პირებისათვის, ვინც ამას საჭიროებს, შესაძლებლობის ფარგლებში, სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფას, რათა მათ შეძლონ, თავიანთი უფლებების აღსადგენად მიმართონ სასამართლოს. გამოსახლების შედეგად პირი არ უნდა დარჩეს უსახლკაროდ და არ უნდა დაირღვეს მისი სხვა უფლებები. იმ შემთხვევაში, თუ გამოსახლებულ პირებს არ შეუძლიათ, თავად უზრუნველყონ საარსებო სახსრები, სახელმწიფოებმა ყველა სათანადო საშუალება უნდა გამოიყენონ მათთვის სათანადო ალტერნატიული საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად, დასახლებლად ან ნაყოფიერი მიწების გამოსაყოფად არსებული გარემოებების გათვალისწინებით (მე-17 პუნქტი); ამავე კომენტარში კომიტეტი მიუთითებს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 62-ე ზოგად კომენტარზე, სადაც ნათქვამია, რომ ნებისმიერი პირის საცხოვრებლის შეუვალლობაში ჩარევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ „კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში“. ასეთი კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს პაქტის დებულებებს, მიზნებსა და ამოცანებს და ყველა კონკრეტულ სიტუაციაში უნდა პასუხობდეს გონივრულობის პრინციპებს, ასევე შესაბამის კანონმდებლობაში დეტალურად უნდა იყოს ჩამოყალიბებული კონკრეტული

გარემოებები, რომლის დროსაც ასეთი ჩარევა დასაშვებია (პუნქტი 15).

მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ევროსაბჭოს რეკომენდაცია¹⁰, რომელიც სახელმწიფოებს მოუწოდებს შექმნან ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, სადაც მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული დევნილთა დაცვის ეფექტური მექანიზმები; უზრუნველყონ დევნილთა უსაფრთხოება (განსაკუთრებით, მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების შემთხვევაში); მოახდინონ ქონების რესტიტუცია (რომელიც თავის მხრივ იქნება სამართლიანი და ეფექტური); უზრუნველყონ დევნილები უფასო იურიდიული მომსახურებით; ხელი შეუწყონ დევნილთა სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას; მათ მონაწილეობას გადანაცვლებების მიღების პროცესში.

2. ეროვნული კანონმდებლობა

1996 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს დევნილთა სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს. დევნილს უფლება აქვს ისარგებლოს დროებითი საცხოვრებლით საქართველოს ფარგლებში. ამასთან, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე არ ხდება დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებიდან დევნილების გამოსახლება, გარდა იმ

10 - Council of Europe, Parliamentary Assembly, Recommendation 1877 (2009), Europe's Forgotten people: protecting the human rights of long-term displaced persons.

შემთხვევებისა, როდესაც: დევნილთან იდება წერილობითი შეთანხმება მის მიერ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში დაკავებული ფართობის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის ან სხვა მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთის მიღების თაობაზე; დევნილს გამოეყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება მისი საყოფაცხოვრებო პირობები; ხდება სტიქიური ან ტექნოგენური მოვლენები, რომლებიც რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; დევნილს ფართობი თვითნებურად, კანონის დარღვევით აქვს დაკავებული. სახელმწიფო, აღმასრულებელი და ადგილობრივი თვითმართველობის შესაბამისი ორგანოების მეშვეობით, დევნილს ეხმარება სოციალური და საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტაში; უზრუნველყოფს საქართველოს ფარგლებში დროებითი საცხოვრებელითა და აუცილებელი პირველადი დახმარებით; იღებს ზომებს დევნილისთვის დროებით საცხოვრებელ ადგილზე უსაფრთხო, ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაქმნელად; იღებს ზომებს, რათა დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე შეიქმნას უსაფრთხო ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები; უზრუნველყოფს დევნილისთვის, მისი კანონიერი მემკვიდრისთვის პირადი საკუთრების, მათ შორის, საცხოვრებელი სახლისა და მასზე გაპიროვნებული საკარმიდამო ნაკვეთის დაბრუნებას.

საქართველოს პარლამენტის მიერ, 2006 წლის 29 დეკემბერს, მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა

ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“, რომელიც ადგენს ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად დაზარალებული საცხოვრებლის ან სხვა უძრავი ქონების კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნების გარანტიებს, რაც გულისხმობს დაზარალებულის უფლებას, მიიღოს უძრავი ქონება, ან თუ მისი საცხოვრებლის ან სხვა უძრავი ქონების დაბრუნება შეუძლებელია, მიიღოს იმავე ღირებულების ადეკვატური (სანაცვლო) საცხოვრებელი, ხოლო თუ იმავე ღირებულების ადეკვატური (სანაცვლო) საცხოვრებლის გადაცემა შეუძლებელია, მიიღოს ქონებრივი ზიანის კომპენსაცია (მუხლი 5).

"რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფისათვის დამატებითი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის N915, 2009 წლის 12 იანვრის N10, 2009 წლის 24 ივლისის N534, 2010 წლის 3 ივლისის N856 განკარგულებით, სამინისტროს დაევალა 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი იმ ოჯახების საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართობების მიღებაზე.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 31 დეკემბრის N900 დადგენილებით, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 სექტემბრის N643 და 2002 წლის 5 იანვრის N5 ბრძანებულებით (ძალადაკარგულია საქართველოს პრეზიდენტის 09/10/2005 N748 ბრძანებულებით) სახელმწიფო უწყებებს დაევალათ

თვითმართველობისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად მიიღონ საჭირო ზომები კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგებამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა, განსახლებისათვის დროებითი საცხოვრებელი ფართობის გამოსაძებნად.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის N47 განკარგულებით დამტკიცდა იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია, რომლის ძირითადი მიზანია: პირობების შექმნა დევნილთა ღირსეულად და უსაფრთხოდ დაბრუნებისთვის; დევნილი მოსახლეობის ინტეგრაცია. სტრატეგიაში დეკლარირებულია, რომ საქართველოს ხელისუფლება იზიარებს გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს იძულებით გადაადგილების შესახებ, იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს და გამოხატავს პოლიტიკურ ნებას - საქართველოში არსებული კონფლიქტები გადაწყვიტოს მშვიდობიანი გზით, რაც, თავის მხრივ, დევნილთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნების საფუძვლად უნდა იქცეს; დევნილებისათვის აუცილებელია ისეთი სამართლებრივი, პოლიტიკური, საყოფაცხოვრებო და სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნა, როგორც აქვს საქართველოს ყოველ მოქალაქეს, ან ამისი ხელშემშლელი პირობების აღმოფხვრა; სახელმწიფო სამოქმედო გეგმის განხორციელებისას სრულად დაიცავს ყველა მთავარ პრინციპს. დევნილი მოსახლეობის ინტეგრაციის ამოცანის გადასაჭრელად, სახელმწიფო სტრატეგია მიზნად ისახავს დევნილებისთვის საბინაო და სოციალური პირობების, მათი ჯანმრთელობისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების, აგრეთვე აუცილებელი

საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელებას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა დევნილთა მიერ ნებაყოფლობითი და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას და თავისუფალ არჩევანს; დიალოგს დევნილებთან და მათ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის N403 განკარგულებით დამტკიცდა იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს დევნილთა საცხოვრებელი პირობების გრძელვადიან გადაწყვეტას, სახელმწიფოზე მათი დამოკიდებულების შემცირებასა და დაუცველი დევნილების სახელმწიფო სოციალურ პროგრამებში ინტეგრირებას ობიექტური და გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე მანამ, სანამ შესაძლებელი გახდება მათი დაბრუნება (პუნქტი 1.3). ამავე მიზნით, 2012 წლის 13 ივნისს, საქართველოს მთავრობის N1162 განკარგულებით დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს გაეროს უშიშროების საბჭოს N1325 რეზოლუციით¹¹ მიღებულ ძირითად პრინციპებს. სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის აღსრულების მიზნით,

11 - <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N00/720/20/PDF/N0072020.pdf?OpenElement>

შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო¹², რომელმაც, 2009 წელს, დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, მიიღო კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სტანდარტები. აღნიშნული დოკუმენტით დადგენილია მინიმალური ფართის ოდენობა ოჯახის წევრების რაოდენობის შესაბამისად და განსაზღვრულია, თუ რა ტიპის სარემონტო სამუშაოები უნდა განხორციელდეს შენობაში. ამავე საბჭომ, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნით, 2010 წელს, მიიღო შენობის გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (სოპ), რომლის მიხედვით ადეკვატურ გრძელვადიან საცხოვრებელ ფართად მიიჩნევა საცხოვრებელი ფართი, რომელიც საკუთრებაში გადაეცემა დევნილს და შეესაბამება საქართველოში კოლექტიური ცენტრების მშენებლობისა და რეაბილიტაციისათვის განსაზღვრულ ტექნიკურ, სანიტარიულ და საცხოვრებელ სტანდარტებს. სოპ-ის ძირითადი მიზანია დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფისათვის არსებული საცხოვრებლის გამოთავისუფლების და სხვა საცხოვრებელში გადაყვანის პროცესის რეგულირება. აღნიშნული დოკუმენტით, ყოველ კონკრეტულ გამოსასახლებელ ობიექტთან დაკავშირებით, სამინისტროს დაევალა, ინდივიდუალური მონაცემების აღწერისა და შესწავლის საფუძველზე, იმის შეფასება, შესთავაზეს თუ არა ან შესაძლოა თუ არა შესთავაზონ დევნილს ალტერნატიული საცხოვრებელი, ასევე, დაცულ იქნა თუ არა დევნილთა შესახებ კანონის მოთხოვნები გამონაკლის შემთხვევებში

შენობის გამოთავისუფლების თაობაზე და უნდა მიეცეს თუ არა პოლიციას ნებართვა შენობის გამოთავისუფლების ღონისძიებების აღსრულებასთან დაკავშირებით; დევნილთა ინფორმირება ალტერნატიული საცხოვრებლის, სხვა საცხოვრებელში გადაყვანის და იმის შესახებ, გაიცა თუ არა ნებართვა შენობის გამოთავისუფლების თაობაზე მესაკუთრის ან პოლიციისათვის, ან გაიცა თუ არა დოკუმენტი ამგვარი ზომების დაუშვებლობის თაობაზე; სხვა საცხოვრებელში გადაყვანის პროცესის ეფექტურად განხორციელების ზედამხედველობა, დევნილების უსახლკაროდ დარჩენის თავიდან აცილებისა და დევნილების ფიზიკური გადაადგილების პროცესის, მათ შორის, დევნილთა კუთვნილი ნივთების გადატანის კოორდინაციის მიზნით. სამინისტრო ვალდებულია, გამოსახლებამდე მინიმუმ 10 დღით ადრე დევნილებს წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია, რომ პოლიცია განხორციელებს შენობის გამოთავისუფლებას. ინდივიდუალურ წერილობით შეტყობინებაში ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტრო აპირებს პოლიციისათვის ნებართვის გაცემას დევნილი ოჯახების შენობიდან გამოთავისუფლების თაობაზე, რასაც მოჰყვება გამაფრთხილებელი წერილის გამოცემა და აღსრულების ღონისძიებები პოლიციის მხრიდან. წერილში უნდა აღინიშნოს პოლიციის მიერ შენობის გამოთავისუფლების სავარაუდო თარიღიც. შეტყობინებაში, ასევე, უნდა იყოს ინფორმაცია ალტერნატიული საცხოვრებელი უზრუნველყოფის პროგრამის (ასეთის შეთავაზების შემთხვევაში), საკონსულტაციო შეხვედრის და სხვა საცხოვრებელში გადაყვანაში დახმარების ღონისძიებების თაობაზე.

12 - 2011 წლის 18 იანვრის N3 ბრძანება. მე-2 მუხლი, 1-ლი პუნქტი, თ) ქვეპუნქტი

III. სასამართლო პრაქტიკა

1. დევნილების საკუთრებაში არსებული ქონების რესტიტუცია ან/და კომპენსაცია

ქონების რესტიტუციაზე ან/და კომპენსაციაზე დევნილის უფლების მიუხედავად, საქართველოს მთავრობას არ მიუღია ეფექტური ზომები დევნილთა საკუთრების უფლების დაცვის მიზნით. მეტიც, ცალკეული საკანონმდებლო აქტების მიღებით მთავრობა ცდილობს პასუხისმგებლობა მოიხსნას დევნილთა საკუთრების უფლების დარღვევისთვის. ევროკონვენციის¹³ პირველი ოქმის რატიფიცირებისას, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება: „პირველი ოქმის პირველი მუხლის“¹⁴ მოქმედება არ გავრცელდეს იმ პირებზე, რომლებსაც „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვთ ან მიენიჭებათ დევნილის სტატუსი ამ

13 - ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია შემუშავებულ იქნა ევროპის საბჭოს მიერ 1948 წელს. საქართველო კონვენციას შეუერთდა 1999 წლის 20 მაისს

14 - Протокол N 1 к Европейской Конвенции по правам человека (20.03.1952) მუხლი 1 - ეველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს უფლება დაუბრკოლებლად ისარგებლოს თავისი ქონებით. არავის არ შეიძლება წაერთვას ქონება, იმ შემთხვევის გარდა, როცა ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვენ და იმ პირობებით, რომლებიც გათვალისწინებული არაა კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით. ზემო დებულებები არანაირად არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას უზრუნველყოს ისეთი კანონების შესრულება, რომლებიც მას აუცილებლად ესახება საკუთრების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებისათვის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ან ბეგარის ან სხვა გადასახადებისა და ჯარიმების აკრეფის უზრუნველყოფისათვის

სტატუსის მინიჭების გარემოებების აღმოფხვრამდე. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე, სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს დევნილთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე არსებული საკუთრების მიმართ ქონებრივი უფლებების განხორციელება ამავე კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ¹⁵. საქართველო აცხადებს, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებული ვითარების გამო, ხელისუფლება მოკლებულია შესაძლებლობას, იკისროს პასუხისმგებლობა ამ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების დებულებათა პატივისცემასა და დაცვაზე, რის გამოც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში საქართველოს იურისდიქციის განხორციელების შესაძლებლობის აღდგენამდე საქართველო იხსნის პასუხისმგებლობას აღნიშნულ ტერიტორიებზე თვითგამოცხადებული, უკანონო ხელისუფლების ორგანოების მიერ პირველი ოქმის დებულებათა დარღვევაზე¹⁶. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიაჩნია¹⁷, რომ ხელისუფლება ვერ და არ უნდა იყოს პასუხისმგებელი კონფლიქტურ რეგიონებში კონვენციისა და მისი ოქმების დებულებათა დარღვევაზე.

15 - საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის N1243-ის დადგენილების მე-2 პუნქტი „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის 1-ლი ოქმის რატიფიცირების შესახებ“

16 - საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის N1243-ის დადგენილების მე-8 პუნქტი „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის 1-ლი ოქმის რატიფიცირების შესახებ“

17 - საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის სტენოგრაფიული ჩანაწერი

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო არა თუ ქმნის ეფექტურ შიდასამართლებრივ მექანიზმებს იძულებით გადაადგილებული პირების ქონებრივი უფლებების დასაცავად, არამედ საერთოდ უარს აცხადებს კონვენციითა და კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებების დაცვაზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 ნოემბრის N1/5/224 გადაწყვეტილებით, დევნილებს უარი ეთქვათ საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის დადგენილების მე-2 და მე-8 პუნქტების არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე, რითაც თავის მხრივ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა, რომ საქართველო არ არის პასუხისმგებელი კონფლიქტის ზონებში სეპარატისტული რეჟიმის მიერ განხორციელებული კონვენციის და მისი ოქმების დებულებების დარღვევაზე.

სახელმწიფოს ასეთი პოლიტიკა განაპირობებს იმას, რომ სასამართლოები არ აკმაყოფილებენ დევნილის სარჩელებს აფხაზეთში დატოვებული ქონების ანაზღაურებასთან დაკავშირებით¹⁸; უარს აცხადებენ აფხაზეთში მდებარე დევნილთა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვაზე იმ საფუძვლით, რომ „ქ. სოხუმი საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორია არ არის, იქ საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება“¹⁹, ხოლო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული სააგენტოს საჯარო რეესტრი უარს აცხადებს ქ.სოხუმში მდებარე უძრავი ქონების - საცხოვრებელი სახლის, საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე

იმ საფუძვლით, რომ „აფხაზეთში განვითარებული საომარი მოქმედებების გამო სააგენტოს ქალაქ სოხუმის ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახური არ ჩამოყალიბებულა. ამასთან „მინის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აფხაზეთის ტერიტორიაზე სარეგისტრაციო სამუშაოები არ განხორციელებულა“²⁰.

2. სათანადო საცხოვრებლის უფლება

სათანადო საცხოვრებლის უფლების აღიარების მიუხედავად, ქვეყნის შიდა კანონმდებლობა მკაფიოდ არ განსაზღვრავს იმ სტანდარტებს, რასაც სათანადო საცხოვრებელი უნდა აკმაყოფილებდეს. სათანადო საცხოვრებლის კრიტერიუმები მოცემულია დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებულ დოკუმენტებში, თუმცა ადევკატური საცხოვრებლის განმარტებისას, აქცენტი კეთდება მხოლოდ საცხოვრებლის ტექნიკური ხასიათის სტანდარტებზე და არ მოიცავს სათანადო საცხოვრებლის სხვა მნიშვნელოვან ასპექტს. ამასთან, აღნიშნული დოკუმენტები ნორმატიულ აქტებს არ წარმოადგენს, რაც ხშირად სასამართლოს მიერ მათი ფორმალური ინტერპრეტაციისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია²¹.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაკუთრებული საჭიროების მქონე დევნილთა ოჯახებისთვის უნდა მოხდეს საჭიროებებს

18 - საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 26 თებერვლის განჩინება საქმე ბს-293-435-კ-03

19 - აფხაზეთის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 2005 წლის 6 იანვრის განჩინება საქმე 2/8-3

20 - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2004 წლის 25 ნოემბრის N3/6-მ-8 წერილი

21 - საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 28 დეკემბრის განჩინება, საქმე Nბს-20-20 (კ-12)

მორგებული განსახლების პროგრამების შეთავაზება სოციალური ზრუნვის კომპონენტით, სასამართლომ²² არ დააკმაყოფილა ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში აღრიცხული, მუდმივი ამბულატორული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი, შემლუდული შესაძლებლობის მქონე დევნილის სარჩელი²³ მისი ფოცხო-ენერში განსახლების უკანონობის თაობაზე. სასამართლომ არ გაითვალისწინა პირის ინდივიდუალური საჭიროებები, ხოლო სათანადო საცხოვრებლით დაკმაყოფილების შეუძლებლობა დაასაბუთა იმით, რომ მოქმედი ნორმატიული აქტები არ არეგულირებს დევნილისთვის პროგრამის ფარგლებში უკვე გადაცემული საცხოვრებელი ფართის შემდგომში, შექმნილი ინტერესებიდან გამომდინარე, შეცვლის შესაძლებლობას²⁴.

ენ. „კერძო სექტორში“ განთავსებული დევნილების მოთხოვნას, ინტეგრაციის ადგილის მიხედვით, თბილისში საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე, უარი ეთქვა იმ საფუძვლით, რომ დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიით და სამოქმედო ღონისძიებებით, ასევე, სხვა სამართლებრივი აქტებით არ არის დაფიქსირებული სახელმწიფოს ვალდებულება - უზრუნველყოს დევნილები საცხოვრებელი ფართით მაინცდამაინც დედაქალაქის

ფარგლებში. სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოს დღეის მდგომარეობით არ გააჩნია რესურსი მოსარჩელეს თბილისში გამოუყოს საცხოვრებელი ფართი, შესაბამისად, არ არსებობს მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც ჯერ არ გასულა სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულებისათვის დადგენილი ვადა (2009-2012)²⁵.

მიუხედავად იმისა, რომ სათანადო საცხოვრებლის უფლების უზრუნველყოფა მოიცავს საცხოვრებლიდან პირის დაუსაბუთებელი გამოსახლებისაგან დაცვის შესაბამისი სამართლებრივი გარანტიების არსებობას, ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული დევნილთა დაუსაბუთებელი გამოსახლებისაგან დაცვის გარანტიები შემლუდულია. საცხოვრებელი ფართის მართლზომიერად ფლობის შემთხვევაშიც კი, დევნილის გამოსახლება დამოკიდებულია სამინისტროს შეფასებაზე. ასევე, სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება იმის შეფასება, რამდენად არის დევნილისთვის შეთავაზებული საცხოვრებელი ფართი თუ ფულადი თანხა დაკავებული საცხოვრებელი ფართის ტოლფასი და ინვესს თუ არა მისი მდგომარეობის გაუარესებას²⁶. ამასთან, დევნილის გამოსახლება, სამინისტროს წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში, სასამართლო პროცესის გარეშე, დაჩქარებული წესით, პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ექცევა. ამასთან, გამოსახლების თაობაზე წერილობითი

22 - თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N3/1311-11

23 - მოსარჩელე მიუთითებდა, სახელმწიფოს მიერ მისი ფოცხო-ენერში განსახლებით მას მოესპო უწყვეტი სამედიცინო დახმარების მიღების შესაძლებლობა; ამასთან საცხოვრებელი ფართი შეუსაბამო იყო სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან

24 - თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 24 იანვრის განჩინება საქმე N36/13-12

25 - თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმე N3/3901-10

26 - თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე N3/8526-2011

შეტყობინების გასაჩივრება არ აჩერებს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ხელყოფის აღკვეთის ღონისძიებების განხორციელებასა და წერილობითი გაფრთხილების (ადმინისტრაციული აქტის) მოქმედებას²⁷. შესაბამისად, ვერ ხდება უფლების დროებითი დაცვა და მოსალოდნელი შედეგების თავიდან აცილება დავის დასრულებამდე. მეტიც, დევნილთა გამოსახლებისაგან დაცვის მწირი გარანტიები მოქმედებს მხოლოდ კომპაქტური განსახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილების მიმართ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დევნილს ფართობი დაკავებული აქვს მართლზომიერად. შენობის კომპაქტურად განსახლების ობიექტად მიჩნევასთან დაკავშირებით სასამართლო განმარტებები არაერთგვაროვანია. ზოგ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან სადავო შენობა-ნაგებობების დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტად მიჩნევა საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ სასამართლოს კანონიერად ეცნო აღნიშნულ შენობაში დევნილების განსახლება²⁸, ზოგ შემთხვევაში - არა²⁹; ზოგ შემთხვევაში სასამართლოები არ ითვალისწინებენ სადავო ობიექტში დევნილების წლების განმავლობაში ცხოვრებისა და რეგისტრაციის

ფაქტს და დევნილის მოწმობა არ მიიჩნევა სადავო შენობაში ცხოვრების ნებართვის საფუძველად³⁰, ხოლო ზოგ შემთხვევაში დევნილის რეგისტრაცია მიჩნეულია საცხოვრებელი ფართის მართლზომიერად ფლობის საფუძველად³¹. მიუხედავად იმისა, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე, კომპაქტურად ჩასახლების ობიექტად მიჩნევისათვის არ ითვალისწინებდა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არსებობის აუცილებლობას, სასამართლოები მთელ რიგ გადაწყვეტილებებში, სადაც დევნილები სადავო ფართში 1993 წლიდან დარეგისტრირებული იყვნენ და ცხოვრობდნენ, ხოლო სახელმწიფოს მიერ სადავო ფართის გასხვისება ხდებოდა შემდგომ, განმარტავდნენ, რომ სადავო უძრავი ნივთი არ წარმოადგენდა დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტს³². თუმცა მთელი რიგი გადაწყვეტილებებით³³ აღიარებულია დევნილების მართლზომიერი მფლობელობის უფლება თუ დასტურდებოდა, რომ შენობები დევნილთა შესახლების მომენტში წარმოადგენდნენ

27 - საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“ მუხლი 9, პუნქტი 1, ფ) ქვეპუნქტი

28 - თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, საქმე N 38/38/1151-10, 30.06.2010; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, საქმე N 28/39-05-10, 7 აპრილი, 2011 წელი; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, საქმე N [დამტრინხულია], 06 მაისი, 2008 წელი; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე N2/77-08

29 - თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, 27 მარტი, 2011 წელი, გვ. 6

30 - თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება N2/119-07. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტები, ხოლო უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია საკასაციო საჩივარი

31 - თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, საქმე N28/2064-08, 2 თებერვალი, 2009 წ. გვ. 7

32 - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, საქმე Nას-1175-1436-09, 13.09. 2010

33 - საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: N3კ/834 - 01, 28.11.01; N3კ/868 - 01, 28.11.01

სახელმწიფოს საკუთრებას.

არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადანაცვები³⁴ მიღებას ხელი შეუწყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ვაკეთებულმა განმარტებებმა საქმეზე „სალინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“³⁵. საცხოვრებლის მფლობელობასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ განმარტა: „რომც

34 - საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 29 ივლისის განჩინებაში საქმე Nას-944-982-2011; 1993-1994 წლებში განვითარებული ჰუმანიტარული კრიზისის გათვალისწინებით, როცა დაახლოებით 300000 იძულებით გადაადგილებული პირი საჭიროებდა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან სასწრაფოდ დაბინავებას, მწელად წარმოსადგენია, რომ ხელისუფლებას დეტალურად გაეტარებინა ფორმალური ადმინისტრაციული ღონისძიებები საცხოვრებელი ფართის გამოყოფასთან დაკავშირებით. სახელმწიფოს მხრიდან იმის აღიარება, რომ სადავო შენობა წარმოადგენდა დევნილთა კომპაქტიური განსახლების ობიექტს, საკმარისი საფუძველი იყო იმისათვის, რომ აღნიშნულ შენობაში დევნილების განსახლება მიწვეულიყო კანონიერად

35 - 2010 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება N18768/05. დევნილები, რომლებიც შს მინისტრის ბრძანების საფუძველზე, 1994 წლიდან ცხოვრობდნენ შსს კუთვნილ კოტეჯში, 2004 წელს, ყოველგვარი წერილობითი გაფრთხილების გარეშე, იძულებით გამოასახლეს კოტეჯიდან. განმცხადებლის სარჩელი, კოტეჯზე მფლობელობის აღდგენის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ კანონის თანახმად, დევნილთა საცხოვრებელი დაკმაყოფილების კომპეტენცია იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ჰქონდა. ვინაიდან, აღნიშნულ სამინისტროს არ შეუთავაზებია კოტეჯი სალინაძეების ოჯახისათვის, მათზე არ ვრცელდებოდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში საცხოვრებელთან დაკავშირებით მოცემული გარანტიები.

დავუშვათ, რომ არსებობდა კოტეჯის განმცხადებლისათვის გადაცემის უფრო შესაფერისი ფორმალური პროცედურა, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო კერძო სამართლის ჩვეულებრივი გარიგება და არ შეეხებოდა სასიცოცხლო მნიშვნელობის საჯარო ინტერესებს, სამინისტროს მიერ ჩადენილი ეს შეცდომა არ შეიძლება მიენეროს განმცხადებელს და არ იძლევა ისეთი დასკვნის ვაკეთების შესაძლებლობას, თითქოს იგი თვითნებურად შესახლდა კოტეჯში [...] უმთავრესი მნიშვნელობა აქვს უწყებების მხრიდან მკაფიოდ გამოხატულ ტოლერანტობას განმცხადებლის მიერ კოტეჯის და მიმდებარე მიწის ნაკვეთის ექსკლუზიური, შეუფერხებელი და ღია სარგებლობის ფაქტისადმი ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში“. სასამართლომ აღნიშნა, რომ „მნიშვნელოვანია ისტორიული კონტექსტი, რომლის პირობებშიც ჰქონდა ადგილი საქმეში არსებულ ფაქტებს. 1993-1994 წლებში საქართველოში არსებული ჰუმანიტარული კრიზისიდან გამომდინარე, რა დროსაც ცენტრალურ ხელისუფლებას უნდა დაებინავებინა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული 300 000-მდე პირი, ნაკლებად რეალისტური იყო მთავრობის მიერ ყველა ფორმალობის დაცვა ბინების გამოყოფის საკითხთან დაკავშირებით“. საქართველოს უზენაესი სასამართლოს შეფასებასთან დაკავშირებით, რომ დევნილთა საცხოვრებელით დაკმაყოფილების კომპეტენცია მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ჰქონდა, ევროპულმა სასამართლომ განმარტა: „სასამართლოსათვის დასაბუთებული იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ კანონის ასეთი

ფორმალისტური ინტერპრეტაცია, რომლის არსიც აბსოლუტურად საწინააღმდეგოს გულისხმობდა - იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების, მათ შორის, ბინით უზრუნველყოფის უფლების დადასტურებას სახელმწიფოს, როგორც ერთი მთლიანის, და არა რომელიმე კონკრეტული აღმასრულებელი უწყების მიერ". აღნიშნული დასკვნების ფონზე, სასამართლომ დაადგინა, რომ ჩარევა მფლობელობის მშვიდობიან სარგებლობაში იყო უკანონო, ხოლო მომყოლი სამართლებრივი განხილვა, რომელიც ატარებდა თვითნებურ ხასიათს, უტოლდებოდა სამართლიანობის უარყოფას.

3. დასკვნა

წარმოდგენილი კვლევა წარმოაჩენს დევნილთა უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებულ ქვეყნის შიდა მექანიზმების ხარვეზებს. ქონების რესტიტუციაზე ან/და კომპენსაციაზე დევნილის უფლების მიუხედავად, არ არის მიღებული ეფექტური ზომები ამ უფლების რეალიზაციის მიზნით; საცხოვრებლის უფლების აღიარების მიუხედავად, არ არის მკაფიოდ განსაზღვრული ის სტანდარტები, რასაც სათანადო საცხოვრებელი უნდა აკმაყოფილებდეს; საქმეების განხილვისას სასამართლოები ვიწროდ განმარტავენ სამართლებრივ ნორმებს, სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიზნებსა და ამოცანებს, ამასთან ნორმის ბუნდოვანი შინაარსი სხვადასხვა ინტერპრეტაციის საფუძველი ხდება; არაერთგვაროვანი, ურთიერთსაწინააღმდეგო სასამართლო გადაწყვეტილებების მიუხედავად, საქართველოს უზენაესი სასამართლო მათ განსახილველად დაუშვებლობას ასაბუთებს იმით, რომ ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილებები არ ეწინააღმდეგება არსებულ სასამართლო

პრაქტიკას და საქმეებს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისთვის. შეზღუდულია დევნილთა დაუსაბუთებელი გამოსახლებისაგან დაცვის ის გარანტიები, რომლებიც ეროვნულ კანონმდებლობაშია მოცემული. ერთ შემთხვევაში, გარკვეული სახის მტკიცებულებები - დევნილთა მონშობა, სამინისტროს განმარტებები და ცნობები, დევნილთა ანკეტები და სხვ. საკმარისია ობიექტის კომპაქტურ ჩასახლებად მიჩნევისათვის ან/და დევნილთა მხრიდან ფართის მართლზომიერად ფლობისათვის, მეორე შემთხვევაში, აღნიშნული მტკიცებულებები არ არის საკმარისი და საჭიროა შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს ადმინისტრაციული აქტის არსებობა, რომლითაც სახელმწიფოს მხრიდან გამოსხატული იქნებოდა ნება სადავო ფართში დევნილთა განსახლებაზე; იმის გამო, რომ სამინისტრომ არ განახორციელა დევნილთა განსახლება შესაბამისი პროცედურების დეტალურად დაცვით, ან დაიკარგა ან/და არ იძებნება შესაბამისი დოკუმენტაცია, დევნილი არ მიიჩნევა სადავო ფართის მართლზომიერ მფლობელად; იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დევნილი ადასტურებს საცხოვრებელი ფართის მართლზომიერად ფლობის ფაქტს, გამოსახლების მიზანშეწონილად მიჩნევა დამოკიდებულია სამინისტროს შეფასებაზე; ასევე სამინისტრო წყვეტს თუ რამდენად არის შეთავაზებული საცხოვრებელი ფართი ან/და ფულადი თანხა დაკავებული საცხოვრებელი ფართის ტოლფასი და იწვევს თუ არა დევნილის მდგომარეობის გაუარესებას; დევნილის მხრიდან ფართის მართლზომიერი მფლობელობის უფლების დაკარგვა ალტერნატიული ფართის ან შესაბამისი კომპენსაციის „შეთავაზების“ ფაქტზე ხდება

დამოკიდებული; გამოსახლებასთან დაკავშირებით მიღებული აქტის გასაჩივრების არსებული მექანიზმი არაეფექტურია, ვინაიდან ვერ ხერხდება უფლების დროებითი დაცვა და მოსალოდნელი შედეგების თავიდან აცილება დავის დასრულებამდე; პოლიციის მეშვეობით იძულებითი გამოსახლების კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს; არ არის განსაზღვრული წინასწარი კონსულტაციებისა და ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება; კლიმატური პირობების გათვალისწინებით გამოსახლების პროცესის რეგულირების წესი; გაფრთხილების ჩაბარების შემდგომ, უშუალოდ გამოსახლების პროცედურების დაწყებამდე, არ არის დადგენილი გონივრული ვადა; დევნილთა გამოსახლებისაგან დაცვის შესაბამისი გარანტიები მოქმედებს კომპაქტური განსახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილების მიმართ, ხოლო სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ შენობაში ინდივიდუალურად განსახლებული დევნილები დაცვის შესაბამისი გარანტიების გარეშე არიან. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა „დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი ვრცელდება³⁶ მხოლოდ იმ იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ, რომელთა საცხოვრებელი სახლები მდებარეობენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. შესაბამისად,

კანონი დისკრიმინაციული იყო იმ დევნილების მიმართ, რომელთა საცხოვრებელი სახლები მდებარეობენ იმ ტერიტორიაზე, რომელზეც არ ვრცელდება საქართველოს ფაქტობრივი იურისდიქცია, თუმცა ეს ტერიტორია არ არის აღიარებული ოკუპირებულად; დევნილის ცნებაში ვერ ხვდება იმ პირთა კატეგორია, რომლებმაც კონფლიქტის დაწყებამდე დროებით დატოვეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და კონფლიქტის შედეგად ვერ ბრუნდებიან მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე.

არსებული ხარვეზების აღმოფხვრის და პრევენციის მიზნით, აუცილებელია, ეროვნული კანონმდებლობა დაიხვეწოს და ჰარმონიაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც სახელმწიფო ორგანოებს, მათ შორის, სასამართლოებს არ დაუტოვებს შესაძლებლობას კანონი ვინროდ, დევნილთა ინტერესების საზიანოდ განმარტოს; უნდა მოხდეს სათანადო საცხოვრებლის კონკრეტული კრიტერიუმების ასახვა კანონმდებლობაში; დევნილთა განსახლებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მათი ინტეგრაციის ადგილი და განსაკუთრებული საჭიროებები; კომპაქტური ჩასახლების ობიექტიდან გამოსახლებისას დევნილთა ინტერესები ამოსავალი წერტილი უნდა იყოს საკითხის გადაწყვეტისას; გამოსახლების პროცესებში დევნილები უნდა იყვნენ ჩართულები და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში სწორედ ისინი უნდა მონაწილეობდნენ.

36 - საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის II ოქტომბრის N1/3/534 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის სიტყვები „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან“

გურამ უგრეხელიძე

(ბატონმა ოთარ გამყრელიძემ აღნიშნული სტატია გამოაქვეყნა 1980 წელს, ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“. იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით)



გურამ უგრეხელიძემ, პროფესიონალმა ადვოკატმა, თავისი ცხოვრების უმეტესი დრო ცოცხალ სიტყვასთან მუდმივ და დაუღალავ ჭიდილს მოანდომა. სიტყვასთან ჭიდილს მე აქ იმიტომ ვახსენებ, რომ ადვოკატისათვის თავის პროფესიულ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში ცოცხალი სიტყვა მთავრი იარაღია. ამის გამო ადვოკატი ამ იარაღს, როგორც მეომარი, ისე უნდა ლესავდეს და სულ მუდამ საბრძოლოდ გამზადებული ჰქონდეს.

გურამ უგრეხელიძე დაიბადა 1909 წლის 25 დეკემბერს, ქ. ქუთაისში. იგი ჯანსაღ ოჯახურ გარემოცვაში აღიზარდა. ადრეულ წლებში მის სულიერ საზრდოს ქართული ხალხური პოეზია, ზღაპრები და ლეგენდები წარმოადგენდა. მოგვიანებით ადვოკატი იხსენებდა ბავშვობაში გაგონილ ერთ ხალხურ ლექსს, რომელსაც უდიდესი გამაკეთილშობილებელი ზეგავლენა მოუხდენია მასზე. „ამ ლექსის ნამდვილი პოეტური ღირსება, - წერს იგი გაზეთ „ქუთაისში“ (1965, N 179) გამოქვეყნებულ ერთ წერილში, - ჩემთვის გასაგები გახდა სიმწიფის წლებში და იგი მშველოდა კლასიკური მწერლობის შესწავლაში.“

გურამ უგრეხელიძემ ჩინებული განათლება მიიღო თბილისის უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე, სადაც ის 1926 წელს ჩაირიცხა. აქ იგი ისმენდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილის, გიორგი ნანეიშვილის, იროდიონ სურგულაძისა და სხვა პროფესორების ღრმაშინაარსიან ლექციებს. მომავალი სასამართლო ორატორის პროფესიულ

ფორმი-რებაზე განსაკუთრებული ზეგავლენა

მაინც ლუარსაბ ანდრონიკაშვილს უნდა მოეხდინა. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი სტუდენტობას მარტო თეორიულ ცოდნას კი არ გადასცემდა, არამედ იგი ახალგაზრდებს აყვარებდა მჭევრმეტყველების კულტურასაც, რომლის უბადლო ოსტატიც თვითონ გახლდათ, როგორც რევოლუციამდელი რუსეთის გამოჩენილი ადვოკატი და თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებლესი პიროვნება.

სტუდენტობის წლებში გურამ უგრეხელიძემ დიპლომატურ კარიერაზე ოცნებობდა და ამიტომ ძლიერ იყო გატაცებული საერთაშორისო სამართლის კურსის შესწავლით. მაშინ ამ დისციპლინას იურიდიულ განყოფილებაზე საერთაშორისო სამართლისა და ევროპული ენების, განსაკუთრებით კი, ინგლისურის შესანიშნავი მცოდნე ერეკლე ტატიშვილი კითხულობდა. გურამ უგრეხელიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ერეკლე ტატიშვილთან, რომლის შემწეობით არა მარტო საერთაშორისო სამართლის მეცნიერებას ეუფლებოდა, არამედ მისი უშუალო ხელმძღვანელობით გულდასმით ემზადებოდა აგრეთვე ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში.

გურამ უგრეხელიძემ საუნივერსიტეტო განათლება 1931 წელს დაასრულა. ერთხანს იგი მოსკოვის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის კათედრაზე მუშაობდა პროფესორ კოროვინთან,

მაგრამ ამ კათედრის გაუქმების გამო, 1933 წელს საქარველოში დაბრუნდა და ქუთაისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის იურისკონსულტად დაინიშნა მუშაობა, ხოლო შეთავსებით საადვოკატო პრაქტიკასაც ეწეოდა. 1937 წლიდან კი მთლიანად ამ საქმიანობას მოჰკიდა ხელი.

ადვოკატურაში მოღვაწეობის ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გურამ ურეხელიძემ მრავალ სასამართლო პროცესში მიიღო მონაწილეობა და არაერთი შთაბეჭებითი დაცვითი სიტყვაც წარმოთქვა. დასაბამია, რომ მის მიერ სხვადასხვა დროს წარმოთქმული დაცვითი სიტყვის ნიმუშები ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად არის ცნობილი, რადგან მათი სტენოგრაფირება არ ხდებოდა, თვითონ ადვოკატი კი თავისი გამოხვედრის ტექსტს წინასწარ არ წერდა. ძველ ბერძენ მოაზროვნეთა მსგავსად, მას მიაჩნია, რომ სასამართლო პროცესზე ადვოკატის პოლემიკური გამოხვედრა ვერ ეტევა წინასწარ შემზადებული ტექსტის ჩარჩოებში და რომ მსმენელებზე ჭეროვანი ზემოქმედების მოსახდენად უმუალოდ წარმოთქმულ, ცოცხალ სიტყვას ვერაფერი შეედრება. ამის საწინააღმდეგო აბა ვის რა უნდა ჰქონდეს! მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ზეპირად ნათქვამი სიტყვა, მალე იშლება მსმენელის მეხსიერებიდან და დავიწყებას ეძლევა. ადვოკატის პროფესია ძალზე რთულია და ამ სირთულეს სხვადასხვა მიზეზი განაპირობებს. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი მაინც ის გახლავთ, რომ ადვოკატი, უპირველეს ყოვლისა, შესანიშნავი მჭევრმეტყველი უნდა იყოს, რაც რჩეულთა ხვედრია. მჭევრმეტყველება, როგორც ცნობილია, თავისებური ხელოვნებაა და ადამიანისაგან საგანგებო ნიჭიერებას მოითხოვს. სასამართლო მჭევრმეტყველებაც ოდითგანვე ორატორული ხელოვნების ერთ-ერთ ძირითად სახედ არის აღიარებული. გურამ ურეხელიძე შესანიშნავად ფლობს ამ ხელოვნებას. მას ამისათვის კარგი ბუნებრივი მონაცემები აქვს: საკმარისი სიძლიერის ხმა, საუკეთესო დიქცია, ამრის ზუსტად და ნათლად გადმოცემის უნარი, რასაც ემატება მშობლიური ენის ღრმა ცოდნა. ამიტომ არის, რომ

იგი ბუნებრივად ლაღად, დაუძაბავად მეტყველებს და ძალაუნებურად იზიდავს მსმენელის ყურადღებას. მის გამოხვედრაში იგრძნობა აგრეთვე ძლიერი ტემპერამენტი, რაც კიდევ უფრო ზრდის მსმენელებზე გავლენის ძალას. მაგრამ ემოციურ ელემენტს გურამ ურეხელიძე უზომოდ არაეკონომიურად როდი იყენებს. ემოცია მის გამხვედრაში ვერასდროს ვერ ჩრდილავს ლოგიკას, მსმენელებზე ზემოქმედებას იგი ძირითადად სწორედ ლოგიკური არგუმენტაციის წყალობით აღწევს.

გურამ ურეხელიძისათვის როგორც სასამართლო ორატორისათვის, მჭევრმეტყველება თვითმიზანი როდია, მისთვის უცხოა და მიუღებელი სიტყვის უსაგნო თამაში. მას შეუძლია თამამად გაიმეოროს პოეტის სიტყვები: „არა მართო ტკბილ ხმათათვის, გამომგზავნა ქვეყნად ცაშა“. გურამ ურეხელიძე უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება თითოეულ საქმეს. იგი ამ დროს მთელი არსებით არის განმსჭვალული პროფესიული მოვალეობის გრძნობით და ერთი ნუთითაც არ ავინწყდება, რომ განსასჯელის სკამზე მის ადამიანი, რომელიც ზოგჯერ ალაღმართალია, ზოგჯერ შეიძლება დამინაშავეც, მაგრამ მაინც ადამიანი, ვინც ნუხს, დარდობს, ვისაც სტკივა, ჰყავს ოჯახი, აქვს კანონიერი უფლებები და დამცველისაგან შველას ითხოვს.

სამსჯავრო პროცესის წარმართვა, როგორც ცნობილია, თავისებური და რთული ხელოვნებაა, სადაც მთავარ როლს სასამართლოს თავმჯდომარე ასრულებს. მაგრამ პროცესის სხვა მონაწილეებსა და მათ შორის ადვოკატსაც შეუძლია, რომ კვალი დაამჩნიოს პროცესის მსვლელობას. თანამედროვე სამსჯავრო პროცესი შეჭიბრობითობის პრინციპზეა აგებული. ბრალდებასა და დაცვას შორის შეჭიბრებაა გამართული და იმარჯვებს მხოლოდ ის, ვინც უფრო ძლიერია. გურამ ურეხელიძე ამ ბრძოლაში, შეიძლება ითქვას, ყოველთვის გამარჯვებული გამოდის. თუმცა გამარჯვება პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. შეჭიბრება ამ შემთხვევაში ემყარება არგუმენტაციისა და დარწმუნების ძალას.

თუკი ადვოკატმა შეძლო დაერწმუნებინა საზოგადოება თავისი პოზიციის სისწორეში, იგი უთუოდ გამარჯვებულია, მიუხედავად იმისა, გაიზიარა თუ არა მისი აზრი სასამართლოში.

გურამ უგრეხელიძე, როგორც კარგი რეჟისორი სპექტაკლს, ისე წარმართავს სამსჯავრო პროცესს და უყურადღებოდ არ ტოვებს არცერთ, თუნდაც სულ უმნიშვნელო დეტალს, რომელიც სამართალში მიცემულის სასარგებლოდ მეტყველებს. როგორც პროცესუალური მონინაალმდევე და მებრძოლი, იგი არა მარტო საუკეთესო ტაქტიკოსია, არამედ დიდებული სტრატეგიც. მის მიერ პროცესის მონაწილეთათვის დასმული კითხვები ღრმად გააზრებული და შორს გამიზნულია. სამსჯავრო გამოძიების დროს იგი ოსტატურად ახდენს სამართალში მიცემულისა და სხვათა დაკითხვას და ააშკარავებს მათ შორის არსებულ წინააღმდეგობებს, იშვიათი ხელოვნებით ავლენს ბრალდების სუსტ მხარეებს და უხვად აგროვებს მასალებს პროცესის დასკვნითი სტადიის - მხარეთა კამათისათვის. გურამ უგრეხელიძის გამოსვლას სასამართლო პროცესზე თავიდან ბოლომდე გასდევს ერთიანი ხაზი, რომელიც ლოგიკური აუცილებლობით აიძულებს სასამართლოს, გაიზიაროს მხოლოდ ადვოკატის მიერ წამოყენებული ვერსია.

გურამ უგრეხელიძე სასამართლოში, მართალია, სისხლის სამართლის საქმეებზე გამოდის, მაგრამ ამ სფეროდან ის ყველა საქმეს კი არ ჰკიდებს ხელს. მას უმთავრესად აინტერესებს პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებები: მკვლელობა, სხეულის დაზიანება, გაუპატიურება, უკანონო აბორტი და ზოგიერთი სხვ. ეს იმიტომ, რომ ადვოკატს ძლიერ იზიდავს ადამიანის ემოციური სამყარო. მას უყვარს დამნაშავის სულის სიღრმეში ჩანვდომა, სწორედ ამ დანაშაულების ჩადენის დროს გადაეჭაჭვება ხოლმე ერთმანეთს დაზარალებულისა და დამნაშავის მნეობრივი მოვალეობანი, როცა არც ისე იოლია იმის გარკვევა, თუ შექმნილ ვითარებაში, რამაც დანაშაული გამოიწვია,

ვინ უფრო მეტი შესცოდა, დამნაშავემ თუ დაზარალებულმა. ბევრ შემთხვევაში სწორედ ამის გარკვევაზე დამოკიდებული პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტაც.

მინდა ყურადღება გავამახვილო გურამ უგრეხელიძის, როგორც ადვოკატის, კიდევ ერთ მეტად საინტერესო თვისებაზე. ხშირად ამა თუ იმ პროფესიას ავტორიტეტს ხალხის თვალში ამ პროფესიის ცალკეული საუკეთესო წარმომადგენლები უქმნიან. ასეა ამ შემთხვევაშიც. ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია გურამ უგრეხელიძისთვის პროცესზე, შეუძლებელია ღრმად პატივისცემის გრძობით არ განიმსჭვალოს საზოგადოდ ადვოკატის პროფესიის მიმართ. მისი ყოველი გამოსვლა სასამართლოში ნამდვილი სკოლაა დამსწრეთათვის. ისინი თვალნათლივ ხედავენ და გრძობენ, რომ სამართალში მიცემულის დაცვა არ არის ვინმეს კერძო საქმე, რომ დაცვის ინსტიტუტს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. პროცესზე გამოსვლისას გურამ უგრეხელიძე იმ მწერალს ჰგავს, რომელსაც ცხოვრების რომელიმე კერძო შემთხვევის აღწერიდან საზოგადოებრივი მორალი გამოჰყავს და მკითხველს ამ მორალური ნორმის დაცვისათვის განაწყობს. გურამ უგრეხელიძის დაცვითი სიტყვა როდი გახლავთ პასიური დაცვის ნიმუში. მე მას ვუნოდებ აქტიურ დაცვას. ეს არ არის მხოლოდ კონკრეტული ადამიანის დაცვა, რომლის გამოც ადვოკატი სასამართლოში გამოდის. მსმენელი მის გამოსვლას აღიქვამს მხილებად ყოველგვარი უსამართლო ბრალდებისა, და ამგვარად, ის თავისებური საბრალდებო სიტყვაც არის. ამით გურამ უგრეხელიძე მნიშვნელოვან აღმზრდელობით ეფექტს აღწევს. დამსწრე საზოგადოება ადვოკატის გამოსვლით უდიდეს მორალურ კმაყოფილებას განიცდის, რაც ხელს უწყობს ადამიანებში სამართლებრივი გრძობის ვალვიძებას.

გურამ უგრეხელიძე ყოველ დღონეს ხმარობს სამართალში მიცემულის ინტერესების დასაცავად. მაგრამ ის მამხილებელი პათოსი, რომელიც მისი დაცვითი სიტყვისათვის არის დამახასიათებელი და რომელსაც აქტიური დაცვა ვუნოდეთ, სრულიადაც

არ გულისხმობს საადვოკატო ეთიკის ნორმების უგულვებელყოფას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ, ეთიკის თვალსაზრისით, გურამ უგრეხელიძის გამოსვლა პროცესზე სანიმუშო და მისაბაძივ კია ბევრისათვის. თუმცა ეს არც თუ ისე ადვილია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. განსაკუთრებით, ისეთ სიტუაციებში, როცა დაზარალებულის მცდარი, ზოგჯერ კი ზნეობრივად მიუღებელი ქცევა დანაშაულის უშუალო გამომწვევი მიზეზი გახდა და დაზარალებულ მხარესა და სამართალში მიცემულს შორის გამწვავებული ურთიერთობაა. ამ დროს სამართალში მიცემულის დაცვა, ისე რომ არ შეიბღალოს დაზარალებულის ღირსება, ადვოკატისგან დიდ ტაქტსა და დახვეწილ კულტურას მოითხოვს. მე მაგონდება ერთი გახმაურებული საქმე, სადაც ბატონმა გურამმა მისთვის ჩვეული ტაქტით ადვილად დასძლია აღნიშნული სირთულე. შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ დაზარალებულის ახლობლებმა თავი ვეღარ შეიკავეს და პროცესის დამთავრების შემდეგ გულწრფელი მადლობა გამოხატეს ადვოკატის მიმართ მიცვალებულის გულთბილად მოხსენიების გამო.

გურამ უგრეხელიძე ეროვნული ორატორული ხელოვნების მდიდარი ტრადიციების ერთ-ერთი საუკეთესო გამგრძელებელი, მრისხანე პროცესუალური მოწინააღმდეგე და შესანიშნავი პოლემისტი. სასამართლოში იგი თითქმის თანაბარი სიძლიერით გამოდის, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე და ამავე დროს კარგად იცის ინგლისურიც. გურამ უგრეხელიძე მხურვალე მამულიშვილი და უაღრესად პრინციპული ადამიანია. იგი ისეთი პიროვნებაა, რომლისათვისაც უცხოა ცხოვრებაში რაიმე კომპრომისი და

გაორება. ალბათ, ამიტომაც არის, რომ ყოველთვის ცდილობს თავი აარიდოს დაზარალებულის ინტერესების დაცვას. მას სწამს, რომ ადვოკატი, რომელიც დაზარალებულის მხარეზე გამოდის, არსებითად, შენიღბული სახით ბრალმდებლის ფუნქციას კისრულობს და ამით ღალატობს თავის პროფესიულ მოვალეობას.

საადვოკატო საქმიანობასთან ერთად გურამ უგრეხელიძე ლიტერატურულ და პუბლიცისტურ მოღვაწეობასაც ეწევა. ამაში მას ხელს უწყობს ფართო ისტორიულ-ლიტერატურული განათლება. იგი არა მარტო მშობლიური მწერლობის ჩინებული მცოდნეა, არამედ კარგად იცნობს აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ლიტერატურასაც. მან რამდენიმე საინტერესო წერილი უძღვნა „ვეფხისტყაოსანს“. ზოგიერთმა მისმა დებულებამ რუსთველოლოგთა მონონებაც დაიმსახურა (იხ. ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, გვ 135). საგულისხმოა ასევე გაზეთ „ქუთაისში“ (1965, N175, 180) დაბეჭდილი ერთი წერილი, სადაც ავტორი ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის საუკეთესო საშუალებად ბავშვთა და მოზარდთა ბუნებასთან უშუალო სიახლოვეს მიიჩნევს.

გურამ უგრეხელიძის კალამი მთარგმნელობით სფეროსაც გადასწვდა. მან ინგლისურიდან შექსპირის რამდენიმე სონეტი გადმოთარგმნა ლალი და ბუნებრივი ქართულით. თავის შემოქმედებით საქმიანობაში იგი იმ პრინციპით ხელმძღვანელობს, რომ სათარგმნი ნაწარმოები მთარგმნელის გუნება-განწყობას და ეპოქის სულისკვეთებას უნდა ეხმაურებოდეს. ალბათ, ამიტომაც მიიპყრო მისი ყურადღება შექსპირის უკვდავმა 66-ე სონეტმა, რომლის პირველი სტროფი გ.უგრეხელიძისეულ თარგმანში ასე ჟღერს:

***"გაბრაზებული ვუხმობ სიკვდილს,- სწუხან თვალები,
რომ კაცთ ღირსება დღეს მათხოვრად ვნახე შობილი,
და საზეიმოდ მოკაზმულან ნაძირალები
და წმინდა რწმენა წარყვნილია და დაგმობილი".***



ადვოკატთა საყურადღებოდ!

ყველა ადვოკატს შეუძლია ჟურნალში განათავსოს სამეცნიერო ნაშრომი. თქვენ მიერ გამოგზავნილი სტატია განიხილება სარედაქციო კოლეგიის სხდომაზე და, კოლეგიის წევრთა უმრავლესობის თანხმობის შემთხვევაში, გამოქვეყნდება ჟურნალ „ადვოკატის“ მომდევნო ნომერში.

გისურვებთ წარმატებებს!

თბილისი

ძმები ზუბალაშვილების ქ. 36
ტელ: 2 22 46 54

ეთიკის კომისიის ცხელი ხაზი:
ტელ: 2 200 262

სასწავლო ცენტრი:
ტელ (+995 32) 2 98 78 78

ქუთაისი:

ნინოშვილის 8
ტელ: (0431) 247 247

თელავი:

ვარლოშვილის 15
ტელ: (0370) 272 015

www.gba.ge

